სოციოლოგიური კვლევა A3

თავად შევადგინოთ სკოლის ბიუჯეტი A8

"ხალხის პირისპირ" ანკეტა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 19 ივნისი, 2004 წელი. №144 (693)

ფასი 50 თეთრი

# ხვალ არჩევნებია




ხვალ აჭარის მოსახლეობა თავისუფლად პირველად მივა საარჩევნო ყუთებთან და თავის მომავალს აირჩევს.

ბესო გულაშვილის ფოტო

## კრედიტის ხარჯვა აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს

ნინო გომართელი

საქართველოს პოლიტიკური სპექტრი ერთსულოვნად ქვეყნისადმი უდიდესი ნდობის გამოხატულებად აფასებს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ ერთი მილიარდი დოლარის ოდენობის გრძელვადიანი კრედიტის გამოყოფას, რომელსაც, თავისი დაბალი საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა საჩუქარს უწოდებს.

ეს თანხა დამოუკიდებელი დონორი ორგანიზაციების კრედიტთა ერთობლიობას წარმოადგენს. თითოეული მათგანი ინდივიდუალურია, მაგრამ დაბალი საპროცენტო განაკვეთით ხასიათდება, კრედიტის გასტუმრება კი 10-15 წლის შემდეგ დაიწყება.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოს მთავრობა ამ თანხებს ეკონომიკის განვითარებაზე, კერძოდ - ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის სფეროს განვითარებაზე, აგრეთვე, სიღარიბის დაძლევის პროგრამის შესრულებაზე, სოციალურ რეაბილიტაციაზე და აჭარაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე მიმართავს.

ყველა ამ პრიორიტეტს საპარლამენტო ოპოზიცია სრულად იზიარებს, თუმცა მეორე საკითხია, რამდენად მიზნობრივად და ეფექტურად დაიხარჯება ერთი მილიარდი დოლარი.

უცხოელი დონორების მხრიდან ამ ოდენობის კრედიტის გამოყოფას ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები" სერიოზული მხარდაჭერის და ნდობის გამოხატულებად მიიჩნევენ, რასაც აუცილებლად გამართლება სჭირდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## პარლამენტი არდადეგებზე "კუდით" მიდის

*2004 წლის მოწვევის პარლამენტმა თავისი პირველი სესია გუშინ მინორულ ნოტაზე დაასრულა. უკვე ტრადიციად ქცეული კვორუმის პრობლემის გამო, ვერ მოხერხდა რიგი კანონპროექტების დამტკიცება და საკადრო საკითხების გადაწყვეტა, კერძოდ - კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტზე ზურაბ სოსელიას არჩევა.*

გიორგი ასანიშვილი

ვინაიდან დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ვერ ამოწურეს, ნინო ბურჯანაძემ კანონშემოქმედთა კორპუსს "საშემოდგომო" გამოაყოლა: მიუხედავად იმისა, რომ დღეიდან პარლამენტი, ოფიციალურად, არდადეგებზე იმყოფება, მომავალ კვირას დეპუტატებს მაინც მოუწევთ შეკრება: 24-25 ივნისს რიგგარეშე სესიის ჩატარება იგეგმება.

გუშინდელი სხდომის მთავარ თემად კი აჭარის სტატუსი და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხები უნდა ქცეულიყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

### პოლიტიკა

#### დაპირისპირებები

აჭარაში ისეთი წინასაარჩევნო ფონია, როგორიც მანამდე საქართველოს დანარჩენ რეგიონში ნებისმიერი არჩევნების წინ იყო. ეს კი კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ აჭარა საქართველოს ნამდვილად დაუბრუნდა.

A3

### ეკონომიკა

#### ენერგეტიკის მინისტრს თბილისში პრობლემები ხვდება



გადაწყდა თუ არა ბრიუსელში ენერგეტიკის რეაბილიტაციისთვის თანხების გამოყოფის საკითხი, თბილისში ვნებათაღელვამ იმატა. ბრიუსელიდან დაბრუნებულ ენერგეტიკის მინისტრს სამშობლოში უსიამოვნო ამბები დახვდება.

A4

### უცხოეთი

#### ევროკავშირის რთული სამიტი



ბრიუსელში ევროკავშირის სამიტის პირველმა დღემ გაცხარებულ კამათში ჩაიარა.

A5

### საზოგადოება

#### შეხვედრა ორთაჭალის ციხეში



გუშინ თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა განათლების მინისტრ ალექსანდრე ლომაიასთან და იუსტიციის მინისტრ გიორგი პაპუაშვილთან ერთად ორთაჭალის ციხე დაათვალიერეს.

A6

### ამინდი

| | 19/07 | 20/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | 34 |
| ქუთაისი | 35 | 31 |
| ბათუმი | 33 | 27 |
| სოხუმი | 32 | 27 |
| ფოთი | 34 | 28 |
| თელავი | 29 | 33 |
| ზუგდიდი | 37 | 31 |
| გორი | 28 | 29 |
| ახმეტა | 29 | 33 |
| ჭიათურა | 32 | 30 |
| გაგრა | 30 | 24 |
| სამტრედია | 36 | 31 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3121 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5151 |
| რუბლი | 0.0661 |

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროსტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ანკეტა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## პარლამენტი არდადეგებზე "კუდით" მიდის

პირველი გვერდიდან


პარლამენტარებს უამრავი საკითხი დარჩათ გადასაწყვეტი.

როგორც ცნობილია, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" კონსტიტუციური კანონპროექტი ზუსტად ერთი თვის წინ გამოქვეყნდა საჯარო განხილვისთვის და სესიის ბოლო დღეს ამ განხილვის შედეგების შეჯამება იგეგმებოდა. თუმცა, კანონპროექტის პირველი მოსმენა გადაიდო. ამის მიზეზად ის ფაქტი დასახელდა, რომ კომისიაში ძალიან ბევრი შენიშვნა დაგროვდა და მათ განზოგადებას დიდი დრო სჭირდება. არადა, სულ ორიოდე დღის წინათ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელობა ჩიოდა, რომ აჭარის სტატუსთან დაკავშირებით კომისიაში შენიშვნები თითქმის არ შესულა და განხილვის ვადის ამოწურვის მოახლოების კვალობაზე, დეპუტატებს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებდა. ამდენად, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" კანოპროექტის განხილვის გადადების მიზეზი, შენიშვნების სიმრავლეზე მეტად, უფრო კვორუმის ვერშეგროვებაშია საძებნი, რამაც ბოლო კვირაა, პარლამენტი სამუშაო რიტმიდან ამოაგდო.

შექმნილ სიტუაციას ოპოზიცია თავის სასარგებლოდ იყენებს და ხელისუფლებას მორიგ ბრალდებას უყენებს.

**"ორ დღეში აჭარაში არჩევნები ისე ჩატარდება, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ ეცოდინება, რა ორგანოს ირჩევს და როგორი იქნება მისი უფლებამოსილება. გამოდის, რომ ეს არჩევნები კი არა, მთავრობის სურვილების გაფორმება იქნება,"** - აცხადებს დავით გამყრელიძე.

სხვათა შორის, აჭარის სტატუსის "დაჩქარებული წესით" დადგენას თავად უმრავლესობის წევრებიც ეწინააღმდეგებიან. მაგალითად, ელენე თევდორაძე მიიჩნევს, რომ კონსტიტუციური კანონპროექტის საპარლამენტო განხილვა მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაიწყოს, როდესაც ევროსაბჭოსთან არსებული "ვენეციის კომისია" მის შესახებ თავის ოფიციალურ დასკვნას წარმოადგენს.

## არასამთავრობოები "ელექტროკავშირის" გადასახადს აპროტესტებენ

არასამთავრობო ორგანიზაციები 1 ივლისიდან "ელექტროკავშირის" აბონენტთათვის სატელეფონო საუბრის ახალი გადასახადის დაწესებას აპროტესტებენ. როგორც თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ნაციონალების" წევრმა და არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნანული ქაჩიბაიამ განაცხადა, ამ მიზნით არასამთავრობოების წარმომადგენლები უახლოეს მომავალში კომუნიკაციის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ხელმძღვანელს დიმიტრი ქიტოშვილს შეხვდებიან. 1 ივლისიდან "ელექტროკავშირის" აბონენტებისთვის სხვა ქსელის აბონენტთან დაკავშირება ფასიანი გახდება და ერთ წუთის ღირებულება 2 თეთრი იქნება.

"ელექტროკავშირი" ამ გადაწყვეტილებას შექმნილი არაკონკურენტუნარიანი გარემოთი ხსნის. "ელექტროკავშირის გარდა, ბაზარზე არსებული სხვა ქსელები ფასიანია, ამიტომ აქამდე "გადმორეკვის" პრინციპი მუშაობდა, რის გამოც ელექტროკავშირის ქსელები იტვირთებოდა და ზიანდებოდა," - აცხადებენ კომპანიაში.

*ინტერ-პრესი*

## ახალქალაქში პური გაძვირდა

ახალქალაქის რაიონში პურის ფასი 20 თეთრით გაიზარდა. 350-გრამიანი პური 50 თეთრად იყიდება. რაიონის გამგებლის თქმით, ფასის ზრდა კონტრაბანდული ფქვილის გაყიდვის აღკვეთამ გამოიწვია. შექმნილი სიტუაცია დღეს სამცხე-ჯავახეთის ანტიმონოპოლიურმა ბიურომ ადგილზე შეისწავლა. როგორც აღნიშნული სამსახურის უფროსის მოადგილემ ბადრი კაველიძემ განაცხადა, ახალქალაქში ჯანსაღი კონკურენცია არ არსებობს: აქ მხოლოდ ერთი სახის, ერთი ხარისხის, წონისა და ფასის პური იყიდება. "ეს ეჭვსაც ბადებს, ამ ზონაში ხელოვნურად ხომ არ იქმნება დაძაბულობა. თუ ეჭვი გამართლდა, დამნაშავე, მონოპოლიური კანონების თანახმად, ჯარიმით და ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება," - აღნიშნა კაველიძემ. სამხარეო ადმინისტრაციის და ანტიმონოპოლიური სამსახურის წარმომადგენლებმა რაიონის ხელმძღვანელობას მოუწოდეს, ფქვილი ამიერიდან არა თურქეთიდან, არამედ ახალციხიდან, შედარებით დაბალ ფასებში შეიტანონ და რაიონში პურის ფასი დაარეგულირონ.

*ინტერ-პრესი*

## კრედიტის ხარჯვა აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს

პირველი გვერდიდან

თუმცა, **"რომ არ მოხდეს წარსული შეცდომების გამეორება, როდესაც გრანტებისა და კრედიტების გამოყენება სულ სხვა მიმართულებით ხდებოდა, ოპოზიციური ფრაქცია თანხების ხარჯვის მონიტორინგის ჯგუფის შექმნას აუცილებლად მიიჩნევს."**

როგორც დავით გამყრელიძემ "24 საათთან" ინტერვიუში აღნიშნა, საქართველოს პარლამენტი აუცილებლად უნდა ჩაერთოს კრედიტის ათვისების მონიტორინგში, მკაცრად გააკონტროლოს იგი და ქართული საზოგადოებისთვის ცნობილი გახადოს ხარჯვის დეტალები. რაც შეეხება ევროკომიკისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან მილიარდი დოლარის ხარჯვის გაკონტროლებას, ოპოზიცია ამასაც, გარკვეულწილად, ეჭვქვეშ აყენებს.

**"სამწუხაროდ, მათი მონიტორინგი ხშირად არაეფექტურია, რადგან უცხოური ორგანიზაციის ზოგიერთი ჩინოვნიკი თავად არის დაინტერესებული, გამოყოფილი თანხებიდან თუ გრანტებიდან ხელფასის თუ მივლინების დაფინანსება მიიღოს, რაც საბოლოოდ მთელი თანხის 70-80 პროცენტს შეადგენს, დარჩენილი თანხა კი, საზოგადოების ნაცვლად, ქვეყნის ჩინოვნიკების ჯიბეებში ილექება,"** - აღნიშნა გამყრელიძემ. კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების იდეას სრულიად იზიარებენ "დამოუკიდებელი მაჟორიტარები".

ამბროლაურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ნიკო ლეკიშვილი აცხადებს, რომ, წარსული მაგალითებიდან გამომდინარე, არსებობს შიში და ეჭვი იმისა, რომ თანხები არამიზნობრივად დაიხარჯება. ამის თავიდან აცილებისთვის კი პროცესის აბსოლუტური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა აუცილებელია.

**"ამ ოდენობის თანხის გამოყოფა უპრეცედენტო შემთხვევაა, მსგავსი რამ აქამდე არ მომხდარა. ეს უდიდეს ნდობას ნიშნავს და სირცხვილი იქნება, თუ მოლოდინი არ გამართლდება,"** - თქვა მან.

ქართული დელეგაციის ბრიუსელიდან დაბრუნებამდე, დონორების კონკრეტული მოთხოვნები საპარლამენტო უმრავლესობისთვისაც კი უცნობია.

ფრაქცია "მაჟორიტარების" წევრმა, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბეჟან ბუცხრიკიძემ აღნიშნა, რომ კრედიტი, რომელიც შესაძლოა, გრანტადაც იქნეს მიჩნეული, საქართველოსთვის ძალზე ხელსაყრელია, თუმცა, **"შემთხვევითი შეცდომების დროულად გამოსასწორებლად"** მონიტორინგი მილიარდი დოლარის ხარჯვაზე საქართველოს პარლამენტმა აუცილებლად უნდა განახორციელოს.

ბრიუსელში დონორთა კონფერენციაზე მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ აღნიშნული გრძელვადიანი სესხი უკიდურესად შეღავათიანი პირობებით გაიცა, გამოყოფილი თანხით დასაფინანსებელი პროგრამების ძირითადი მიმართულებები კი ადგილზე დაიხვეწება. ერთ მილიარდ დოლარს საქართველო 2004-2006 წლების მანძილზე მიიღებს. დონორთა განცხადებით, მათ მიერ საქართველოსთვის ასეთი სოლიდური თანხის გადაცემის გადაწყვეტილება ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა. ყველაზე ხშირად ამ კონტექსტში ისინი "ვარდების რევოლუციას" და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის დაწყებას მოიხსენიებდნენ.

თავის მხრივ, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი კი აცხადებს, რომ მისი ქვეყანა, ჯერჯერობით, კვლავ დახმარებას ითხოვს, თუმცა პირობას დებს, რომ ეს უკანასკნელად ხდება.

## პოლიციელი ქრთამის აღებისთვის დააკავეს

გენერალური ინსპექციის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად თანხის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის მე-7 განყოფილების უბნის ინსპექტორი ანზორ დ-ნი. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს ცნობით, უბნის ინსპექტორმა 16 ივნისს ა. ქავზინიძეს ნარკოტიკული ნივთიერების "ჩაგდებისა" და პასუხისგებაში მიცემის მუქარით 50 ლარი გამოსძალა. გამოძიებას გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურა აწარმოებს.

*პრაიმ-ნიუსი*

## ჟურნალისტებისთვის სამართლის საკითხებში სწავლება ჩატარდება

იუსტიციის სასწავლო ცენტრი დაბა ბაკურიანში სამართლის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებისთვის მეორე სასწავლო სემინარს გამართავს, რომელიც საკონსტიტუციო და ადმინისტრაციულ სამართალს ეძღვება. პირველი სემინარი ჟურნალისტებისთვის სისხლის სამართლის საკითხებზე 29-30 მაისს ჩატარდა. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, სწავლება, ძირითადად, მოიცავს ჟურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული სამართლის საკითხებს, მათ შორის ჟურნალისტის უფლებებსა და ვალდებულებებს საჯარო დაწესებულებებიდან დოკუმენტებისა და ინფორმაციის მოთხოვნისას. სემინარს ფინანსურ მხარდაჭერას უწევს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE) და უწყებრივი რეფორმისა და არასამთავრობო სექტორის ცენტრი (IRIS). ჟურნალისტებს სწავლებას ჩაუტარებენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნანა კლარჯეიშვილი, "IRIS საქართველოს" კანონის უზენაესობის პროგრამის იურისტი მაია კოპალეიშვილი და განვითარებისა და რეფორმების ფონდის დირექტორი, სამართლის დოქტორი კონსტანტინე კუბლაშვილი.

*მედია-ნიუსი*

## როგორ ებრძვის ჭიაბერაშვილი უკანონო მშენებლობებს


ერთ-ერთი შეჩერებული მშენებლობა ვაკეში.

გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სამთავრობო საათი თბილისის მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს დაეთმო, რომელმაც ქალაქში უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილა. ჭიაბერაშვილის განცხადებით, მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელმაც დედაქალაქში უკანონო მშენებლობების საკითხი უნდა მოაგვაროს. **"კანონპროექტის მიხედვით, "არქმშენინსპექცია" დედაქალაქის დაქვემდებარებაში უნდა გადმოვიდეს და მას უნდა ჰქონდეს უფლება, გააჩეროს მშენებლობა. ბიზნესმენი, რომელიც მშენებლობას აწარმოებს, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა წავიდეს სასამართლოში და შეეცადოს, შეჩერების შესახებ გამოცემული აქტი გაასაჩივროს,"** - აცხადებს თბილისის მერი, რომელსაც მიაჩნია, რომ ასეთი ცვლილების შემთხვევაში, მშენებლები აღარ იჩქარებენ შენობების უკანონოდ აგებას და დაელოდებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამასთან, ჭიაბერაშვილის ინიციატივით, უნდა შეიცვალოს უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებული საჯარიმო სანქციებიც. **"თითოეულ რაიონში აშენებული საცხოვრებლის ფართის ფასი უნდა განისაზღვროს მისი საბაზრო ღირებულების მიხედვით. ჯარიმა კი არსებულ საბაზრო ფასზე მეტი უნდა იყოს,"** - ამბობს ჭიაბერაშვილი.

*24 საათი*

## კახა ბენდუქიძე: აფხაზეთზე კონტროლის აღდგენა დიდ რესურსს მოითხოვს

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის განცხადებით, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნების ფონზე "სამხრეთ ოსეთთან" და აფხაზეთთან მოუგვარებელი ურთიერთობები უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. "ჩვენ "სამხრეთ ოსეთისა" და აფხაზეთის პრობლემებს ერთმანეთისგან არ ვანსხვავებთ, თუმცა გარკვეული სხვაობა მაინც არსებობს. აფხაზეთზე კონტროლის აღდგენა უფრო მეტ რესურსს მოითხოვს," - განაცხადა მინისტრმა. ბენდუქიძე საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთისთვის ფართო უფლებების მინიჭების მომხრეა. "ამ ეტაპზე აფხაზეთი საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროცესში მუხრუჭს წარმოადგენს. აფხაზეთზე კონტროლის უმტკივნეულოდ დამყარების შემთხვევაში, საქართველო გარკვეული პრობლემების წინაშე დადგება. აფხაზეთში მოშლილი ინფრასტრუქტურის აღსადგენად და საქართველოს ამ რეგიონში ნორმალური ცხოვრების რიტმის აღსადგენად საჭირო გახდება განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების დახარჯვა ცენტრალური ბიუჯეტიდან," - აცხადებს ეკონომიკის მინისტრი.

*მედია-ნიუსი*

## საქართველო ევროპის საგადასახადო ადმინისტრაციების ორგანიზაციის წევრი გახდა

საქართველო ევროპის საგადასახადო ადმინისტრაციების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა. 14-16 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით გალეგაშვილი ქალაქ პრაღაში გამართულ ევროპის საგადასახადო ადმინისტრაციების ორგანიზაციის მე-8 ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდა. დავით გალეგაშვილმა ასამბლეაზე საქართველოს საგადასახადო სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა და კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების სურვილი, რასაც კენჭისყრის შედეგად ყველა წევრმა დაუჭირა მხარი. საქართველოსთან ერთად, "ესაო"-ს სრულუფლებიანი წევრები საფრანგეთი და ირლანდია გახდნენ, რომლებიც მანამდე ორგანიზაციის ასოცირებული წევრები იყვნენ. ევროპის საგადასახადო ადმინისტრაციების ორგანიზაციაში გაწევრიანება საქართველოს ხელს შეუწყობს, განავითაროს ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგადასახადო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობა, დაეხმაროს ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციას მოდერნიზაციის პროგრამების განხორციელებაში და გადასახადების ადმინისტრირების გაუმჯობესების საქმეში.

*ინტერ-პრესი*

## "აზოტის" სასუქებს გალის სოფლებშიც შეიტანენ

*"იტერა" აფხაზეთიდან დევნილებს მდიდრულ საჩუქარს უკეთებს, მისი წარმომადგენელი კი აცხადებს, რომ შესაძლებელია სულ მალე "აზოტის" ქარხანა გაჩერდეს*

აზოტოვანი სასუქით - ამონიუმის გვარჯილით დატვირთული 4 ვაგონი გუშინ რუსთავიდან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით გაიგზავნა. "იტერამ" დაახლოებით 80 ათასი ლარის ღირებულების 250 ტონა გვარჯილა საჩუქრად გადასცა აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, რომელიც სასუქს ხვალ და ზეგ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას იმერეთში, გურიაში, სენაკში, ზუგდიდსა და გალის რაიონის 7-8 სოფელში თავად დაურიგებს.

"საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენ გალის ტერიტორიას საერთოდ ველარ ვაკონტროლებთ. პირველ რიგში 90 ტონა სასუქი გალის ქვედა ზონის სოფლებზე გადანაწილდება. საკმაოდ ჯანმრთელი აჟიოტაჟი ახლავს თან ამ აქციას. გალის სოფლებში უკვე ელოდებიან ამ ტვირთს და ყველა ვინც გამოეხმაურება ამ აქციას, მიიღებს სასუქს," - განუცხადა "24 საათს" აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ. მისი ვარაუდით, სასუქის დარიგებას გალში აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობა არ შეხვდება, რადგან "ეს არის ჰუმანიტარული აქცია და ისინიც დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, რომ ხალხმა ეს საჩუქარი მიიღოს."

"აზოტმა" აფხაზეთიდან ლტოლვილებს გასულ წელსაც აჩუქა 200 ტონა გვარჯილა.

"დეფაქტო ხელისუფლების მხრიდან შარშან წინააღმდეგობა არ ყოფილა და, ალბათ, წელსაც არ იქნება. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო "იტერას" წარმომადგენელს თამაზ პატარიძეს, "აზოტის" ხელმძღვანელობას, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ეს არ არის მხოლოდ ეკონომიკური აქცია, მას პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. თქვენ უნდა გენახათ შარშან გალელი გლეხების სიხარულით გაფართოებული თვალები, თბილისიდან რომ გაუგზავნეს აზოტოვანი სასუქი," - იხსენებს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი გურამ ესაკია.



"იტერა-აზოტის" ნობათი დევნილებს.

- "იტერამ" დიდი საქმე გააკეთა. "იტერას" ვიცე-პრეზიდენტის, ვალერი ოტჩერცოვის მითითებით, რომელიც თბილისში ეკონომიკურ ფორუმზე იყო ჩამოსული, გადაწყდა ეს და გვიხარია, რომ რაღაც წვლილი ჩვენც შეგვაქვს იმაში, რაც დღეს საქართველოში ხდება. "აზოტის" გვარჯილა შევიდა აჭარაშიც და სამაჩაბლოშიც. საქართველოს სახელმწიფო და "იტერა" ამ მხრივ შეხმატკბილებულად მუშაობენ," - განაცხადა საქართველოში "იტერას" წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თამაზ პატარიძემ. მისი თქმით, "იტერა" საქართველოს მხრიდან მხარდაჭერას იმსახურებს და ელოდება კიდეც მისგან ამ ნაბიჯს.

"ცნობილია, რომ "აზოტს" ბიუჯეტის 22 მილიონ ლარიანი დავალიანება გააჩნია. აქციათა პირობით გადაცემის დოკუმენტის ხელმოწერამდე ფინანსთა სამინისტროში შედგა მოლაპარაკება, რომ ეს 22 მილიონი ლარი უნდა გაქვითულიყო "იტერასადმი" "თბილგაზის" დავალიანებაში. ეს დიდი შეღავათი იქნებოდა "თბილგაზისათვის", რათა შემდგომ ის ინვესტორებისათვის მიმზიდველი გახდეს. ასევე "აზოტს" აღარ ექნებოდა ბიუჯეტის ვალი. სამწუხაროდ, ეს საკითხი დღემდე გადაწყვეტილი არ არის. დღეს ზოგიერთი ამბობს - საქონელი გაყიდეთ და ვალებზე ცალკე ვილაპარაკოთო. მე ვთვლი, რომ ეს უფრო დამღუპველი იქნება და რომ იჩივლოს "იტერამ", მოგებული დარჩება. დღეს ვალების გაქვითვა ჩვენც გვმართებს და მათაც. საქართველოს ხელისუფლებამ გამოგვიწოდა თავის დროზე ხელი და ახლაც გამოგვიწოდოს. მით უფრო, ეს დიდი შეღავათი იქნება "თბილგაზისსთვის". არ ვეთანხმები ბევრ რაღაცაში ზოგიერთებს, რომლებიც გამოდიან და თავი ყველაფრის მცოდნეებად მოაქვთ. ასე არ არის, გადაწყვეტილების მიღება ერთ კაცზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, რაც უნდა მცოდნე იყოს ის. თუ ახლა "აზოტი" გაჩერდა, აღარც ამუშავდება. ყველამ კარგად იცის, რომ "იტერას" საკუთრებაში რომ იყოს მისი აქციები, გაცილებით იოლი იქნებოდა ბანკიდან კრედიტის გამოტანა. ჩვენ გვინდა, რომ სახელმწიფომ აკონტროლოს ეს პროცესი. თუ ეს საკითხი უახლოეს დღეებში არ გადაწყდა, შესაძლებელია "აზოტი" გაჩერდეს, რაც ნამდვილად არ აწყობს ჩვენს ქვეყანას. მე ვფიქრობ, რომ სახელმწიფო აუცილებლად წამოვა ჩვენთან მოლაპარაკებაზე," - აცხადებს საქართველოში "იტერას" წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.

*მაია მოსიაშვილი*

## ვაზიანის ბაზაზე ქართულ-ინგლისური სწავლებები ჩატარდება

20 ივლისს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ქართულ-ინგლისური ერთობლივი სამხედრო სწავლებები ჩატარდება. სწავლების კოდური სახელწოდებაა "საქართველოს ექსპრესი - 2004" და მასში 150 ბრიტანელი ოფიცერი და მე-11 ბრიგადის მოტომსროლელი ბატალიონი მიიღებს მონაწილეობას.

*მედია-ნიუსი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გენადი გაგულია გუშინ თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ მას ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია. თუმცა აღნიშნა, რომ აფხაზეთში შემოდგომაზე დაგეგმილი "საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების გარკვეული სცენარი" არსებობს და ის ამ სცენარში არ ჯდება". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს ოფიციალური ვიზიტით აშშ-ს საზღვრის პატრულირებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის წარმომადგენლები ეწვევიან. აშშ-ს ჯგუფის წევრები დეპარტამენტის თავმჯდომარეს, გენერალ-მაიორ ბადრი ბიწაძეს და შტაბის უფროსს, პოლკოვნიკ კორნელი სალიას შეხვდებიან. ვიზიტისას, აგრეთვე გათვალისწინებულია საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის პერიმეტრის, საავიაციო ბაზისა და საზღვაო საზღვრის მონახულება. ვიზიტი 2 ივლისამდე გასტანს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი თამაზ ბაკურიძე აცხადებს, რომ აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულის ლევან ვარშალომიძის მამის გურამ ვარშალომიძისადმი "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერის ოთარ ზოიძის მიერ წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის 225-ე ბრძანებულების თანახმად, 2004 წლის 16 ივლისიდან მთელი რიგი საელჩოებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების რეორგანიზაცია იგეგმება. კერძოდ, გაუქმდება საქართველოს საელჩო ავსტრიის, სლოვაკიის, სლოვენიის, უნგრეთის და ჩეხეთის რესპუბლიკებში და მათ ნაცვლად ჩამოყალიბდება შემდეგი დიპლომატიური წარმომადგენლობები: საქართველოს საელჩო ავსტრიასა და უნგრეთში, საქართველოს საელჩო სლოვენიასა და სლოვაკიაში, საქართველოს საელჩო ჩეხეთის რესპუბლიკაში. გაუქმდება ასევე საქართველოს საელჩო ეგვიპტეში და მის ნაცვლად შეიქმნება საქართველოს საელჩო ეგვიპტესა და სირიის არაბთა რესპუბლიკაში. საქართველოს საელჩო გაიხსნება პოლონეთის რესპუბლიკაშიც. **ინტერ-პრესი**


btc

**მოთხოვნა წინადადებების შესახებ (RFP) - არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების მცირე გრანტების პროგრამის მენეჯმენტი SCP და BTC მილსადენების მარშრუტზე - გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის კონტექსტში**

SCP South Caucasus Pipeline

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) პროექტები**

**აპლიკანტების კონფერენცია**

**2004 წლის 21 ივნისი**

2004 წლის 24 მაისს, კომპანია BP-მ, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების აქციონერი კომპანიების სახელით მოქმედმა ოპერატორმა კომპანიამ, გამოაქვეყნა მოთხოვნა სატენდერო წინადადებების შესახებ, რომლის მიხედვით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საქართველოში მოქმედმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები SCP და BTC მილსადენების მარშრუტზე არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების *მცირე გრანტების პროგრამის* მენეჯმენტის განხორციელების მიზნით.

კომპანია BP ტენდერში მონაწილეობის კანდიდატებისათვის აწყობს განმარტებით შეხვედრას, რომელიც გაიმართება ამა წლის 21 ივნისს, ორშაბათს, თბილისში, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" (ოთახი "ლილე") 14-დან 16 საათამდე. **შეხვედრა განკუთვნილია მხოლოდ იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც გეგმავენ წინადადების წარმოდგენას მცირე გრანტების პროგრამის მენეჯმენტის განხორციელების თაობაზე, და არა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომელთაც გარკვეულ ეტაპზე ასეთი მცირე გრანტის მიღების პრეტენზია გააჩნიათ.**

შეხვედრა მიზნად ისახავს პასუხის გაცემას იმ ორგანიზაციების შეკითხვებზე, რომლებიც გეგმავენ სატენდერო წინადადების შემოტანას და ესაჭიროებათ განმარტებები, რათა მათი წინადადება სრულყოფილად პასუხობდეს "წინადადებების მოთხოვნის" (RFP) პირობებს.


გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ხვალ არჩევნებია

*ხვალ აჭარის მოსახლეობა ავტონომიის უმაღლეს საბჭოს აირჩევს. დილის შვიდი საათიდან გახსნილი იქნება ყველა საარჩევნო კომისია. პირველი ამომრჩევლები კი უბნებზე რვა საათისთვის გამოჩნდებიან. კენჭისყრის მიმდინარეობას დააკვირდებიან 14 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ჟურნალისტთა საკმაოდ დიდი კორპუსი. გუშინ ბათუმში ჩამოვიდა ევროსაბჭოს რვაწევრიანი სადამკვირვებლო მისიაც. ერთი სიტყვით, ხვალ აჭარის მოსახლეობამ, პირველად ბოლო 13 წლის მანძილზე, საკუთარი ნებით და, თუკი აჭარის ხელისუფლების პირობას დავუჯერებთ, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ის ადამიანები უნდა აირჩიოს, ვინც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უშუალოდ მათ ბედზე იზრუნებენ.*

თამარ მჭედლიშვილი

აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ბოლო მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. ორი დღის წინ, გვიან ღამით, თბილისიდან უკვე ჩამოტანილი იყო საარჩევნო ურნები და ამომრჩეველთა ნაბეჭდი სიები, რომელიც საარჩევნო უბნებზე უკვე გამოიკრა. გუშინვე ბათუმში საარჩევნო ბიულეტენებიც ჩამოვიდა.

აჭარის პოლიცია ერთი კვირაა, რაც საგანგებო რეჟიმზეა გადასული. როგორც აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ აბაშმაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, კენჭისყრის დღეს თითოეულ რაიონში პოლიცია მაქსიმალურად მობილიზებული იქნება. **"პოლიცია დაიცავს წესრიგს, ჩვენ აპოლიტიზირებული უწყება ვართ და, შესაბამისად, არანაირად არ ჩავერევით პოლიტიკურ პროცესებში. თუკი რომელიმე პარტიის წარმომადგენელი ოფიციალური საჩივრით მოგვმართავს და მიუთითებს ნებისმიერი რანგის პოლიციელზე, რომელიც საარჩევნო პროცედურებში ჩარევას ცდილობდა, დაუყოვნებლივ რეაგირებას მოვახდენთ ასეთ საჩივარზე,"** - ამბობს მერაბ აბაშმაძე.

საინტერესოა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში აჭარელ პოლიციელებს სპეციალური ტრენინგები უტარდებოდათ. ამ სწავლებების ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში". ორგანიზაციის აჭარის კოორდინატორის ვახტანგ გორდელაძის თქმით, პოლიციელებს 21 ტრენინგი ჩაუტარდათ. მეცადინეობები კი ორი მიმართულებით მიმდინარეობდა. პირველი - პოლიციელებისთვის, როგორც თავად ამომრჩევლებისთვის საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობა და მეორე - პოლიციელთა მოვალეობები კენჭისყრის დღეს. თავად პოლიციელები არჩევნებში მონაწილეობას იმ უბნებზე მიიღებენ, სადაც მიმაგრებულები იქნებიან და რეგისტრაციას უშუალოდ უბნებზე, სპეციალურ სიაში გაივლიან.

არჩევნების დღეს ყველა უბანზე კენჭისყრის პროცედურებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებლები და ჟურნალისტები მიადევნებენ თვალს, რამდენიმე ორგანიზაციას კი საკუთარი მობილური ჯგუფები ეყოლებათ. დღეს საინფორმაციო სემინარს გამართავს არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი თაობა ახალი ინიციატივისთვის". სემინარში მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი და ადგილობრივი დამკვირვებლები და ჟურნალისტები, ასევე აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის და არჩევნებში მონაწილე პარტიათა წარმომადგენლები. ამ სესიის ძირითადი თემა აჭარაში დემოკრატიული არჩევნების გამართვისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა იქნება.

არჩევნების დღეს აჭარელი ამომრჩეველი საკმაოდ აქტიური რომ იქნება, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ჩვენთან საუბარში თითქმის ყველა რიგითი მოქალაქე აცხადებს, რომ აუცილებლად მივა არჩევნებზე. სხვათა შორის, მოსახლეობა არც საკუთარ პოლიტიკურ სიმპათიებს მალავს. უდავო ფაქტია, რომ ფავორიტები "ნაციონალური მოძრაობა" და "რესპუბლიკელები" არიან.

# დაპირისპირებები

გუშინ არჩევნების ფავორიტ პარტიებს საკმაოდ დაძაბული დღე ჰქონდათ. თბილისში გამომგზავრებამდე საქართველოს პრეზიდენტი გონიოში, ბათუმსა და ქედაში მოსახლეობას შეხვდა (ბათუმში იგი ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სახურავისა და ლიფტის მდგომარეობითაც დაინტერესდა). როგორც ყოველთვის, გუშინ პრეზიდენტმა აჭარის მოსახლეობის მაღალ პოლიტიკურ თვითშეგნებასა და მათი სოციალური პრობლემების მოგვარებაზე ისაუბრა, მოგვიანებით კი ბათუმი-ოზურგეთის "ელექტრიჩკითაც" იმგზავრა (ეს პირველი რეისია, რომელიც ამ მიმართულებით შესრულდა. ამიერიდან მატარებელი ამ მიმართულებით ყოველდღე ივლის და მგზავრობის ღირებულება 80 თეთრი იქნება. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ეს აქცია წინასაარჩევნო აგიტაციის ჩარჩოში შესანიშნავად ჩაჯდა). მატარებელს კი აჭარის რწმუნებული აჭარაში ლევან ვარშალომიძე მართავდა.

თუმცა მანამ, სანამ მატარებლის სამართავ პულტს მიუჯდებოდა, ლევან ვარშალომიძემ არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებაც შეძლო: ბათუმში გაუქმდა ათივე გამგეობა და მათ მაგივრად სერვის-ცენტრები შეიქმნა. ამავე დროს, პრეზიდენტის რწმუნებული ბათუმელებს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას შეჰპირდა.

რაც შეეხებათ პრეზიდენტის საპარლამენტო გუნდის წარმომადგენლებს, ისინი, ფრაქციის თავმჯდომარის მაია ნადირაძის მეთაურობით, ბათუმელ ამომრჩევლებს ხვდებოდნენ. სხვათა შორის, საზღვაო აკადემიის სტუდენტებთან შეხვედრისას მათ საკმაოდ საფუძვლიანი პრეტენზიების მოსმენაც მოუხდათ. საქმე ის არის, რომ ხუთოსან სტუდენტთა უმრავლესობამ ვერ მიიღო პრეზიდენტის მიერ დაპირებული 50-50 ლარი, 120 ფრიადოსნიდან ეს ბედნიერება მხოლოდ 18-ს ერგო წილად. ასე რომ, მაია ნადირაძე იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ სპეციალური ფონდი უძირო არ არის და მან არ იცის, რა კრიტერიუმებით მოხდა დასაჯილდოებელ სტუდენტთა სიის შედგენა.

გუშინვე აჭარის დღევანდელი ხელმძღვანელობა მოსახლეობაში ნაკლებად პოპულარული კადრისაგან გათავისუფლდა. თანამდებობა დატოვა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსმა ავთო ბერიძემ, მეტსახელად "რემბომ", რომელიც ასლან აბაშიძის მმართველობის დროს მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევასა და ჟურნალისტების ცემაში არაერთხელ იყო შემჩნეული.

"რესპუბლიკელების" საჯარო გამოსვლები კი კვლავ და კვლავ აჭარის ხელისუფლების თავზეხელაღებულ ქმედებებს ეხებოდა. ასე მაგალითად, გუშინ სპეციალური განცხადება გააკეთა ხელვაჩაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა ევგენი თავდგირიძემ, რომლის თქმითაც მას კობა ხაბაზის ცოლის ნათესავმა, ფაქტობრივად, ამომრჩეველთან შეხვედრა ჩაუშალა. თავის მხრივ, კობა ხაბაზმა ამ ბრალდებას პროვოკაცია უწოდა.

მთლიანობაში კი უნდა ითქვას, რომ აჭარაში ისეთი წინასაარჩევნო ფონია, როგორიც მანამდე საქართველოს დანარჩენ რეგიონში ნებისმიერი არჩევნების წინ იყო. ეს კი კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ აჭარა საქართველოს ნამდვილად დაუბრუნდა.

P.S. საღამოს ცნობილი გახდა, რომ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" სასამართლოში უჩივლა უსკო-ს. იურისტები კომისიის იმ დადგენილებას აპროტესტებენ, რომლის თანახმად საძოვრებზე გასული ამომრჩევლისათვის 12 დამატებითი უბანი გაიხსნა.

# წინასაარჩევნო პროგრამები

უნდა ითქვას, რომ აჭარელმა ამომრჩეველმა თითქმის არაფერი იცის პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამებზე. ასე რომ, მოსახლეობა მხოლოდ პოლიტიკურ სახეებზეა ორიენტირებული.

საარჩევნო პროგრამის პოპულარიზაციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არც პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობა ანიჭებს. თუმცა, გამონაკლისი აქაც "ნაციონალური მოძრაობა" და "რესპუბლიკელები" არიან, რომელთაც მოსახლეობასთან საუბრის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ. დანარჩენი საარჩევნო სუბიექტები კი წინასაარჩევნო აგიტაციას ან საერთოდ არ აწარმოებენ, ან ეს აგიტაცია იმდენად დუნედ მიმდინარეობს, რომ იგი მოსახლეობის ყურადღების მიღმა რჩება. მით უფრო, რომ, როგორც ვთქვით, თავად მოსახლეობისთვის აქტუალური უფრო პოლიტიკური სახეები არიან, ვინემ მათი წინასაარჩევნო პროგრამები.

სხვათა შორის, გუშინ "მწვანეთა პარტიამ" საკუთარი თავი რეგისტრაციიდან მოხსნა. მაგრამ განაცხადი უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დაგვიანებით შევიდა. შესაბამისად, პარტიის საარჩევნო ბიულეტენებიდან ამოღება ვერ მოხერხდა, თუმცა როგორც უსკო-ს მდივანი გიზო მჭედლიძე აცხადებს, ყველა საუბნო საარჩევნო კომისია ამის თაობაზე ამომრჩეველს ოფიციალურად გააფრთხილებს.

და მაინც, საინტერესოა, რას ჰპირდებიან არჩევნებში მონაწილე სუბიექტები საკუთარ ამომრჩეველს.

**1. "რესპუბლიკური პარტია":**

აჭარა აბაშიძის ნარჩენების გარეშე, რეალური თვითმმართველობა, ფინანსური ავტონომია, უმაღლესი საბჭოსთვის ბიუჯეტის განკარგვისა და კადრების დანიშვნის უფლების მინიჭება.

**2. "ახალი კომუნისტური პარტია":**

მეციტრუსეობის, მეჩაიეობის, მეთამბაქოების, თევზის რეწვის, ტურიზმის, მეფუტკრეობის განვითარება, სტრატეგიული ობიექტების პრივატიზების აკრძალვა, მეანაბრეებისათვის ფულის დაბრუნების პროცესის დაწყება, სოციალურად დაუცველი ფენებისთვის საჭირო დახმარების აღმოჩენა, სოციალურად სამართლებრივი საბაზრო ეკონომიკის შექმნა.

**3. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს:**

დანგრეული და განადგურებული გადამამუშავებელი მრეწველობის აღდგენა, საწარმოთა პრივატიზაციის პროცესის დაწყება, მოსახლეობის დასაქმება.

**4. "ლეიბორისტული პარტია":**

სამართლიანობის დამკვიდრება, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, სასკოლო რეფორმა, სოფლის მეურნეობის დარგების აღდგენა, ბიზნესის ხელშეწყობა.

**5. "ნაციონალური მოძრაობა":**

ინვესტიციების მოზიდვა, მოსახლეობის დასაქმება, ტურიზმის განვითარება, მოსახლეობის გაზიფიცირება, მაღალმთიანი სოფლების გზის პრობლემების მოგვარება, ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელშეწყობა.

**6. "ერთიანი კომუნისტური პარტია":**

სოფლის მეურნეობის განვითარება, ფერმერებისათვის სახელმწიფოს მიერ შეღავათიანი კრედიტებისა და სხვა სახის დახმარებების გაცემა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის აკრძალვა.

**7. "ძლიერი აჭარა - ერთიანი საქართველოსთვის":**

ტურიზმის განვითარება, მოსახლეობის დასაქმება, ადგილობრივი მოსაკრებლების სწორი პოლიტიკის განსაზღვრა.

**9. "მერაბ კოსტავას საზოგადოება":**

არაწარმოებითი სფეროს, განსაკუთრებით ტურიზმის განვითარება, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მოსახლეობის დასაქმება.

**14. "დემოკრატიული სიმართლის პარტია":**

ადგილობრივი აგრარული რესურსების ადგილზე გადამუშავება, პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე გატანა, 16 წლამდე ასაკის ბავშვებზე ყოველთვიური ფულადი დახმარება, საყოველთაო-სავალდებულო დაზღვევის მეთოდით უფასო სამედიცინო მომსახურება, მინიმუმ ერთი წლით პრივატიზაციის პროცესის შეჩერება.

# სოციოლოგიური კვლევა

**გამოკითხვა ქ. ბათუმში, 8 ივნისი, 2004 წელი. გამოკითხვა ჩაატარა "დემოკრატიული განვითარების ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრმა." გამოკითხულია 640 რესპონდენტი.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | არჩევნებში მონაწილეობას აპირებს | ...563 | 88 % |
| 2 | არ გადაუწყვეტია | ...48 | 7,5 % |
| 3 | მონაწილეობაზე უარს აცხადებს | ...8 | 4,5 % |

**საარჩევნო სუბიექტებს შორის ხმები განაწილდა შემდეგნაირად:**

| | | |
|---|---|---|
| 1 | "მ. სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარა" | 60,5% |
| 2 | "ბერძენიშვილი - რესპუბლიკელები" | 10,0% |
| 3 | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" | 0,25% |
| 4 | არ გადაუწყვეტია | 16,6% |
| 5 | "საიდუმლოა" | 13,65% |

**მაჟორიტარი კანდიდატების პოპულარობის რეიტინგი ქ. ბათუმში**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნაზი მიქელაძე | 16,1% |
| 2 | გიორგი მასალკინი | 14,1% |
| 3 | დავით ბაციკაძე - | 10,9% |
| 4 | ჯელალ ქიქავა | 4,5% |
| 5 | როსტომ დოლიძე | 4,4% |
| 6 | ირაკლი ჩავლეიშვილი | 2,1% |
| 7 | კახა გუჩმანიძე | 1,9% |
| 8 | თავს იკავებს | 46% |

**გამოკითხვა მთელ აჭარაში ჩატარებულია BCG-ს მიერ 13-15 ივნისს. გამოკითხულია 2000 რესპონდენტი**










## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**21 ივნისს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**

რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), ზუბალაშვილების(ნაწილობრივ), ბარნოვის(ნაწილობრივ), ბესიკის, ბორბალოს, ჩაბანოს, ცხემის, ეკატერინე გაბაშვილის, გურიის, კაკაბაძეების, ოძელაშვილის, რიწის, ვანო სარაჯიშვილის, ტარიელის, ვეძინის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ზალდასტანიშვილის, ქუჩების მაცხოვრებლებს.

## ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს ფოლადის უჟანგი ლენტის და უჟანგი ლენტის ბალთის მოწოდებაზე:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ 2004 წლის 21 ივნისამდე; მისამართი:

თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.

ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 23ივნისი.

## ს.ს. თელასი გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის მასალა:

საშემდუღებლო აგრეგატი, მობილური დიზელის ძრავით - 1ც

სასურველია, რომ მასალა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები ამა წლის **24** ივნისამდე სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.

## რას წარმოადგენს მართვის სისტემა და როგორ მივიღოთ ISO სერთიფიკატი

დამოუკიდებელი საერთაშორისო სერტიფიცირების ორგანო - **Moody International,** საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია - **Quadra** და მისი პარტნიორი საქართველოში - **CTC**, გიწვევთ სემინარზე:

**ხარისხის მართვისა და ინტეგრირებული მართვის სისტემები -**

მათი დანერგვა, სერტიფიცირება, შენარჩუნება და მოსალოდნელი სარგებელი.

შეხვედრა გაიმართება სასტუმრო **Marriott**-ში 23 ივნისს 10:00-დან 14:00სთ-მდე.

რეგისტრაცია მიმდინარეობს 21 ივნისამდე.
დაგვიკავშირდით - **CTC**-ის ოფისი:
ელ-ფოსტა: ctc@ctc.org.ge,
ტელ.: 32 53 81; 25 19 82/75.
საკონტაქტო პირი: ელენე ჯიბლაძე

# ახალი საგადასახადო ინიციატივები ადგილობრივ თვითმმართველობებს ასუსტებს

*სანამ საქართველოს მთავრობა ბრიუსელში "მილიარდიან" წარმატებას ზეიმობდა, საქართველოში ხელისუფლების მიერ პრეზენტირებული საგადასახადო კოდექსის ძირითადი პარამეტრების ირგვლივ ვნებები არა და არ ცხრება. გუშინ საგადასახადო კოდექსს საპარლამენტო, ანუ "მემარჯვენე ოპოზიცია" გამოეხმაურა და მის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესუსტება დაასახელა:*

თამარ ივანიძე

ფრაქციის წევრი დავით საგანელიძე აცხადებს, რომ მთავრობის მიერ რამდენიმე დღის წინ "ზარ-ზეიმით" წარდგენილი საგადასახადო კოდექსის ძირითადი პარამეტრები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აკნინებს, რადგან, ამ კოდექსის თანახმად, საქართველოს რაიონები ფინანსურად მთლიანად დამოკიდებული ხდება ცენტრზე.

მისივე ინფორმაციით, გაუქმებულ გადასახადთა ნუსხაში უმეტესობა ადგილობრივი ბიუჯეტების შევსების წყაროა, რომლის შეწყვეტაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს საქართველოს რეგიონებს.

შეგახსენებთ: ახალი კოდექსის ძირითადი პარამეტრებით, 2005 წლიდან უქმდება მავნე ნივთიერებათა დაბინძურების გადასახადი, ავტოტრანსპორტის მესაკუთრეთა, ქონების გადაცემის, ეკონომიკური საქმიანობის, ავტოტრანსპორტის ზენორმატიული დაცვის, მცირე ბიზნესის, ფიქსირებული, საკურორტო, სასტუმრო, რეკლამის, ადგილობრივი სიმბოლიკის და გზით სარგებლობის გადასახადები.

საგანელიძე აცხადებს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე ცენტრალური ბიუჯეტის შევსება ქვეყნის ეკონომიკაში გარდატეხას ვერ შეიტანს.

ზემოთ ჩამოთვლილ გადასახადთა უმრავლესობა, რეალურად, მართლაც ძირითადი წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსების; საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან კი, სპეციალური ნორმატივების მიხედვით, ადგილობრივ ბიუჯეტებს მხოლოდ რამდენიმე პროცენტი რჩება, გარდა აჭარისა, რომელსაც განსაკუთრებული პრივილეგიის ვადა, როგორც "24 საათი" უკვე იუწყებოდა, 1 ივლისს გასდის.

"24 საათის" ინფორმაციით, საგადასახადო კოდექსის ძირითადი იდეის ავტორ ხელისუფლებას ჯერჯერობით არ აქვს გათვლები იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი წყაროებიდან უნდა შეივსოს ის დეფიციტი, რომელსაც ადგილობრივ ბიუჯეტებს მოუტანს აღნიშნული გადასახადების გაუქმება.

სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ საგზაო გადასახადისა და მავნე ნივთიერებათა დაბინძურებისთვის გადასახადების "ანაზღაურება" ნავთობპროდუქტების აქციზის გაზრდის ხარჯზე მოხდება.

"24 საათი" უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ აქციზის გაზრდის პერსპექტივას გამოეხმაურნენ ნავთობმწარმოებლები. გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ფრაქციის "მემარჯვენე ოპოზიცია" ლიდერმა დავით გამყრელიძემ, რომელიც აცხადებს, რომ ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადის გაზრდა ავტომატურად გაზრდის მის ფასს, რაც პირდაპირ უკავშირდება ფართო მოხმარების საგნების ფასწარმოქმნას. გამყრელიძეს მისაღებად მიაჩნია მხოლოდ თამბაქოსა და სპირტიან სასმელებზე აქციზის გადასახადის გაზრდა.

აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული ნავთობპროდუქტების აქციზის ზრდის მაჩვენებელი, თუმცა აქვე ირწმუნებიან, რომ ზრდის მასშტაბები გაუქმებული გადასახადების ტვირთის ადეკვატური იქნება და იგი ნავთობპროდუქტებზე ტვირთის გაზრდას არ ითვალისწინებს.

# შესაძლოა, "თბილწყალკანალი" ფრანგულ კომპანიას არ გადაეცეს

"თუ ჩვენი მოქალაქეებისთვის მიუღებელი იქნება, შესაძლოა, "თბილწყალკანალი" ფრანგულ კომპანიას არ გადაეცეს," - აცხადებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი. "თბილწყალკანალის" ფრანგული კომპანია "ჟენერალ დ`ეზოსთვის" გადასაცემ ხელშეკრულებას განიხილავს შერეული კომისია ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისა და თბილისის საკრებულოს კომისიის წევრების შემადგენლობით. "ჩვენ თბილისელებს შევთავაზებთ ფრანგული კომპანიისთვის წარსადგენ სრულიად სხვა ხელშეკრულებას და თუ ესეც არ იქნება მისაღები, შესაძლოა, ფრანგულ კომპანიასთან ხელშეკრულება არც გაფორმდეს," - აცხადებს საკრებულოს თავმჯდომარე.

*მედია-ნიუსი*

# ენერგეტიკის მინისტრს თბილისში პრობლემები ხვდება

ნიკა მარიამიძე

გადაწყდა თუ არა ბრიუსელში ენერგეტიკის რეაბილიტაციისთვის თანხების გამოყოფის საკითხი, თბილისში ვნებათაღელვამ იმატა. ბრიუსელიდან დაბრუნებულ ენერგეტიკის მინისტრს სამშობლოში უსიამოვნო ამბები დახვდება. სანამ ნიკა გილაური ბრიუსელში საქართველოს ენერგოსექტორის დონორებს 80 მილიონი ევროს გამოყოფის აუცილებლობას უსაბუთებდა, აქ პრობლემა პრობლემას ემატებოდა: ჯერ ერთი, "ენგურჰესზე" პერიოდულად ზიანდებოდა აგრეგატები და ქვეყანაში ენერგოკრიზისი მწვავდებოდა, მეორე - სადგურიდან გატაცებული, რეაბილიტაციის მმართველის აბესალომ ჯიქიას ასავალ-დასავალი ვერავინ გაარკვია, მესამე - რუსეთიდან დენის იმპორტი შეწყდა და, მეოთხეც, "ლეიბორისტებმა" მისი "სასწრაფოდ გადადგომა" მოითხოვეს(!).



ბესო გულაშვილის ფოტო

*სანამ ნიკა გილაური ბრიუსელში საქართველოს ენერგოსექტორის დონორებს 80 მილიონი ევროს გამოყოფის აუცილებლობას უსაბუთებდა, საქართველოში პრობლემა პრობლემას ემატებოდა.*

"ლეიბორისტების" ერთ-ერთი ლიდერის გელა დანელიას თქმით, ენერგოკრიზისში დამნაშავე სწორედ ნიკა გილაურია, რომელმაც ენერგოსისტემის რეაბილიტაციისთვის "გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მიერ გამოყოფილი 12 მილიონი ევრო არამიზნობრივად განკარგა: "ეს თანხა მთლიანად იმპორტზე დაიხარჯა და რუსეთში წავიდა. თანაც, თუ გილაურის გამინისტრებამდე რუსეთიდან 1 კილოვატსაათ ელექტროენერგიას 2,45 თეთრად ვყიდულობდით, გილაური 2,50 თეთრს იხდის," - განაცხადა გუშინ საგანგებო პრესკონფერენციაზე დანელიამ.

"ლეიბორისტები" იმასაც ეჭვობენ, რომ გილაური კორუფციაშია გარეული: "პროკურატურა ცოტა ხნის წინ დაკავებულ საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის მოადგილეს სოსო ნატროშვილს ედავებოდა, რომ ბაზარმა არასწორი ფინანსური ოპერაციები ჩაატარა. დავა 2002 წელს შეეხება, როცა გილაური საბითუმო ბაზრის ფინანსური მენეჯერი იყო და ბიუჯეტთან ანგარიშსწორება მის უშუალო მოვალეობას წარმოადგენდა. ის დეკლარაციაც, რომელსაც ნატროშვილმა ხელი მოაწერა, გილაურის მომზადებული უნდა იყოს."

ერთი სიტყვით, "ლეიბორისტები" ახმაურდნენ და ხელისუფლებას მოუწოდეს, სასწრაფოდ შექმნას "პროფესიონალ ენერგეტიკოსთა ჯგუფი, რომელიც ენერგოკრიზისის დაძლევის გზებს იპოვის."

ენერგეტიკული კომპლექსის პოლიტიკას აკრიტიკებს თბილისის საკრებულოს წევრი, საქართველოს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი ზურაბ მინდელიც და ენერგოკრიზისის ძირითად მიზეზად ხელისუფლების უყურადღებობას მიიჩნევს. მისი თქმით, ათი წელია, დარგი "მიზანმიმართულად ინგრევა". მინდელი იმედოვნებს, რომ "ახალი ხელისუფლება მაინც იფიქრებს ენერგოობიექტების სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულ ენერგეტიკას მომავალი არა აქვს."

მოკლედ, "ენერგეტიკის ნაციონალიზაციაზე" საუბარი დღეს ისევ მოდაშია.

ამასობაში კი ენერგოსექტორის დონორები დარგის რეფორმას (ძირითადად, სისტემაში აღრიცხვიანობის მოწესრიგებას) აგრძელებენ და იმედოვნებენ, რომ ამ რეფორმების ხელისშემშლელი ფაქტორები საქართველოში აღარ წარმოიშვება. ამ იმედის შესრულების ყველაზე მყარი გარანტია კი ისაა, რომ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს დარგის განვითარების პროგრამა, რომელიც ბრიუსელში წარადგინა, სწორედ მათი რეკომენდაციებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით აქვს შემუშავებული.

# ასტანაში ევრაზიის ქვეყნების ლიდერების ეკონომიკური სამიტი გაიხსნა

*გუშინ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მეთაურთა სამიტი გაიხსნა. ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავება შეკრების ძირითადი თემა იყო.*

დიანა ჩაჩუა

ასტანაში შეხვედრაზე გამოსვლისას რუსეთის პრეზიენტმა ვლადიმირ პუტინმა აქცენტი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებზე გააკეთა. **"ვფიქრობ, რომ ყველა მხარე დაინტერესებულია ამ საკითხში ეფექტური კოორდინაცია მოხდეს. ასეთი შეთანხმებული მიდგომა არსებითად აძლიერებს ჩვენს პოზიციებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დიალოგში,"** - აღნიშნა მან.

ცნობისთვის, გაერთიანება 2000 წელს შეიქმნა. მისი წევრი ქვეყნებია რუსეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. დამკვირვებლების სტატუსი აქვს სომხეთს, მოლდოვასა და უკრაინას.

სამიტის გახსნის წინ, საერთაშორისო ფორუმზე გამოსვლისას, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებს ინტეგრაციისკენ მოუწოდა. **"ჩვენ ვცდილობთ, აღვადგინოთ ის, რაც საბჭოთა კავშირის შემდეგ დაიკარგა, მაგრამ სრულებით ახალ ბაზაზე - მსოფლიოს განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით,"** - განაცხადა პუტინმა და დაამატა, რომ დანგრევა ყოველთვის უფრო ადვილია, ვიდრე აშენება.

რუსეთის ლიდერის აზრით, დღეს წარმატებულ ინტეგრაციას ოთხი ფაქტორი უშლის ხელს: დიდმპყრობელური შოვინიზმი, ნაციონალიზმი, იმ ადამიანების პირადი ამბიციები, ვინც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს და, უბრალოდ, სიბრიყვე. ამასთან, პუტინმა ფორუმის მონაწილეებს შეახსენა რუსეთის მსოფლიო როლის შესახებ: **"ვიცი, რომ შეიძლება იცხოვრო პრონციპით - რა საჭიროა გეოგრაფია. მაგრამ საკმარისია გაშალოთ ნებისმიერი რუკა და მიხვდებით - რუსეთი ევრაზიის შუაგულში მდებარეობს,"** - განაცხადა მან.

გუშინვე ასტანაში შედგა დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის საბჭოს სხდომა, რომელშიც რუსეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, სომხეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთია გაერთიანებული.

ცნობისათვის, პუტინი ასტანაში ტაშკენტიდან ჩავიდა, სადაც გუშინ შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის 6 წევრი ქვეყნის (რუსეთი, ჩინეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი) ლიდერთა შეხვედრა გაიმართა. სამიტის ფარგლებში მონაწილეებმა განიხილეს ტერორიზმთან, ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები და ავღანეთის აღდგენის პრობლემა.

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** ბათუმში თურქეთის სავაჭრო პალატის ათკაციანი დელეგაცია ჩავიდა. თურქმა ბიზნესმენებმა აჭარაში საკურორტო ობიექტები მოინახულეს. ისინი აჭარაში სასტუმროების ქსელით დაინტერესდნენ და ტურისტებისთვის საცხოვრებელი ადგილების მშენებლობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** პრეზიდენტის რწმუნებულმა აჭარაში ლევან ვარშალომიძემ განაცხადა, რომ ბათუმში მიკრორაიონების გამგეობები გაუქმდება და მათ ადგილს საფინანსო-კომუნალური სერვის-ცენტრები დაიკავებს, რომლებიც კომუნალური საკითხების მოგვარებით დაკავდებიან. ცენტრების ზუსტი რაოდენობა ქალაქის რეალური საჭიროების მიხედვით, უახლოეს ხანებში განისაზღვრება. ვარშალომიძემ აჭარაში თურქი ბიზნესმენების ვიზიტის შესახებაც ისაუბრა, რომლებიც, სავარაუდოდ, ქალაქის კომუნალური მოწყობის პროექტებში ჩადებენ ინვესტიციებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "იტერამ" "აზოტის" მიერ წარმოებული 250 ტონა სასუქი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჩუქრად გადასცა. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, 67 500 ლარის ღირებულების სასუქი იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას გაუნაწილდება, 90 ტონა კი გალის რაიონში დაბრუნებულ მოქალაქეებს გადაეცემათ. "აზოტის" ხელმძღვანელობამ სამინისტროსთვის სასუქის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება რამდენიმე კვირის წინ მიიღო. როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ლონდერ ცაავამ დააკონკრეტა, სასუქი იმ დევნილებს დაურიგდებათ, რომლებიც დევნილობის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით დაკავდნენ. **ინტერ-პრესი**



# ევროკავშირის რთული სამიტი

ბრიუსელში ევროკავშირის სამიტის პირველმა დღემ გაცხარებულ კამათში ჩაიარა. სხდომა, რომელზეც ევროკომისიის თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატურები განიხილებოდა, უშედეგოდ დასრულდა და მაშინვე სკეპტიკოსებმა ევროპის ახალ "განხეთქილებაზეც" დაიწყეს საუბარი. ევროკომისიის ამჟამინდელ თავმჯდომარეს, იტალიელ რომანო პროდის უფლებამოსილების ვადა ოქტომბერში ეწურება. მისი მემკვიდრის თაობაზე კი ევროპის ლიდერები ვერ შეთანხმდნენ - ერთ მხარეს საფრანგეთი და გერმანია აღმოჩნდა, ხოლო მეორე მხარეს, როგორც ტრადიციულად ასეთ შემთხვევებში ხდებოდა ხოლმე - დიდი ბრიტანეთი. თუმცა, ბრიტანელები აცხადებენ, რომ ისინი მარტონი არ არიან და საფრანგეთისა და გერმანიის მიერ წამოყენებულ კანდიდატს კიდევ ბევრი წევრი-სახელმწიფო ეწინააღმდეგება.

ბრიტანელები კატეგორიულად წინააღმდეგნი არიან ამ პოსტზე პარიზის მიერ წამოყენებული, ბელგიის პრემიერ-მინისტრის გი ვერჰოვსტადტის კანდიდატურის, და პირიქით, ფრანგებსა და გერმანელებს არ მოსწონთ ბრიტანელი ევროკომისრის, კრის პატენისა და ირლანდიის პრემიერ-მინისტრის, ბერტ აჰერნის კანდიდატურები.



REUTERS

*ბრიუსელში ევროკავშირის სამიტის პირველმა დღემ გაცხარებულ კამათში ჩაიარა.*

ევროპელებისთვის ბელგიის პრემიერ-მინისტრსა და ევროკომისარს შორის არჩევანი პრინციპულად მნიშვნელოვანია. ვერჰოვსტადტი ევროპის სახელმწიფოთა მჭიდრო ინტეგრაციის მომხრეა და ამიტომ საფრანგეთის და გერმანიის მხარდაჭერით სარგებლობს, რომლებიც ევროპის გაერთიანების იდეოლოგებად ითვლებიან.

თუმცა, ევროკავშირის ზოგიერთი წევრი, დიდი ბრიტანეთის მეთაურობით, მიიჩნევს, რომ ვერჰოვსტადტის მიდგომა მეტისმეტად ფედერალისტურია და ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებს პატენის კანდიდატურას დაჟინებით სთავაზობს. ამის გამო, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ძალზე უკმაყოფილოა.

"ძალზედ რთულია, ამ პოსტზე იმ ქვეყნის წარმომადგენელი იყოს, რომელიც ევროპული პოლიტიკის ყველა სპექტრში არ მონაწილეობს," - განაცხადა მან ჟურნალისტებთან შეხვედრისას. ჟაკ შირაკს მხედველობაში ჰქონდა ის ფაქტი, რომ დიდი ბრიტანეთი აქტიურად ცდილობს, დამოუკიდებელი საგადასახადო და სოციალური პოლიტიკის გატარების უფლება შეინარჩუნოს. შირაკი ევროკომისიის მომავალ თავმჯდომარეს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმებით განიხილავს. მისი აზრით, "ევროკავშირის ხელმძღვანელი კარგად უნდა ფლობდეს ფრანგულს და უნდა წარმოადგენდეს იმ ქვეყანას, რომელიც ევროზონასა და შენგენის ხელშეკრულების სისტემაში შედის." ანუ ფრანგები არაორაზროვნად მიანიშნებენ, რომ პრეტენდენტებს სკანდინავიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ირლანდიიდან სერიოზულად არ განიხილავენ.

როგორც ჩანს, ევროპის ლიდერები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ და, სავარაუდოდ, ევროკომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევაზე მუშაობა კვლავაც მოუწევთ.

სამიტის მეორე, ალბათ, უფრო დიდი მნიშვნელობის საკითხი ევროკავშირის კონსტიტუციის თაობაზე შეთანხმების მიღწევაა. მართალია, ევროკავშირის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ, ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ბერტი აჰერნმა სადავო საკითხებზე მთელი რიგი კომპრომისული წინადადებები წარმოადგინა, მაგრამ კონსტიტუციის ამ მოდელსაც საკმაო მოწინააღმდეგეები ჰყავს.

მაგალითად, ბრიტანეთს სურს, სოციალურ და თავდაცვის სფეროებში დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს, რითაც ჟაკ შირაკის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია. შირაკის გამოსვლამ კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ერთი ქვეყანა (კერძოდ კი, დიდი ბრიტანეთი ჰქონდა მხედველობაში) ევროკავშირის განვითარებას ამუხრუჭებს.

მხარეებს შორის დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. გუშინ დილით ტონი ბლერის წარმომადგენელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა: "სამწუხაროა, რომ პრეზიდენტმა შირაკმა მანამდე არჩია ჩვენს პოზიციაზე თავდასხმა, სანამ მოლაპარაკებები რეალურად დაიწყებოდა." ბლერის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გერმანელებზეც მიიტანა იერიში და მათ, ევროკავშირის კონსტიტუციაზე მსჯელობისას, ევროკომისიის პრეზიდენტის კანდიდატურით მანიპულირებაში დასდო ბრალი. საკმაოდ გამომწვევი იყო მისი სიტყვები - "ჩვენ ვცხოვრობთ 25 ქვეყნისაგან შემდგარ ევროკავშირში, და არა ექვსის, ან ორის, ან ერთის".

კონსიტუტუციის მთავარ დაბრკოლებას, გადაწყვეტილების მიღებისას, ხმის მიცემის სისტემა წარმოადგენს. ევროკავშირის დეკემბრის სამიტზე პოლონეთმა და ესპანეთმა დაბლოკეს შეთანხმება ხმის მიცემის სისტემაზე, რადგანაც ამ ვარიანტით ისინი აქამდე დაცულ, მათთვის სასარგებლო გარიგებებს კარგავდნენ. მას შემდეგ პოლიტიკური სიტუაცია ორივე ქვეყანაში შეიცვალა - ესპანეთს ახალი მთავრობა ჰყავს, ხოლო პოლონეთში მძაფრი პოლიტიკური კრიზისია. კიდევ 13 პატარა ქვეყანა, მათ შორის - ფინეთი და ავსტრია, ეწინააღმდეგება ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილების მიღების ახალ სისტემას. ახალი გეგმით, საკითხთა უმეტესობაზე გადაწყვეტილებები მიიღება წევრ-სახელმწიფოთა 55 პროცენტის თანხმობისას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ სახელმწიფოებში ევროკავშირის მთელი მოსახლეობის 65 პროცენტი უნდა ცხოვრობდეს. პატარა ქვეყნები მიიჩნევენ, რომ ეს ფორმულა დიდ ქვეყნებს გაცილებით მეტ უპირატესობას ანიჭებს.

აღნიშნული ვარიანტისადმი წინააღმდეგობის გამო, ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ახალი კომპრომისული წინადადებაც წამოაყენა, რომლის მიხედვითაც, უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად კიდევ უფრო მეტი სახელმწიფოს მანდატი იქნება საჭირო. სახელმწიფოთა რიცხვი 65 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო მოსახლეობის რიცხვი 72 პროცენტი უნდა იყოს.

# პუტინი გაზის კარტელს ქმნის

ვლადიმირ სოკორი

16-17 ივნისს "გაზპრომის" თავმჯდომარის ალექსეი მილერისა და მისი მოადგილის ალექსანდრ რიაზანოვის მიერ გაკეთებული განცხადებები ცხადყოფს, რომ თურქმენული გაზის ევროპისკენ ტრანზიტის მონოპოლიზების რუსული გეგმა რეალურად ხორციელდება. თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი რუსეთთან ამ სფეროში აქტიურად თანამშრომლობს.

თურქმენეთის გაზის ექსპორტის პოტენციალი რუსეთისას აღემატება. "გაზპრომის" კუთვნილი მილსადენებით თურქმენული გაზის ევროპაში ექსპორტი ვლადიმირ პუტინის გეგმის ხორცშესხმას წარმოადგენს. ამ გეგმის თანახმად, "გაზის ევრაზიული ოპეკი" უნდა შეიქმნას, რაც რუსეთს საშუალებას მისცემს, ევროპაში გაზის მიწოდების დიდი ნაწილი თავად აკონტროლოს.

მილერმა გაზის ექსპორტის საკითხები ნიაზოვთან ერთად აშხაბადში განიხილა, ხოლო რიაზანოვმა ამის შესახებ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა. "გაზპრომის" ორივე მაღალჩინოსანი 2003 წლის აპრილში მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულების განხორციელებაზე ლაპარაკობდა. "გაზპრომი" სატრანზიტო მილსადენის ყოველწლიური საექსპორტო სიმძლავრის 40 მილიარდ კუბურ/მეტრამდე გაზრდას გეგმავს 2004 წელს, ხოლო 2005 წელს - 50 მილიარდ კუბ/მ-მდე. ეს მოსკოვის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. ამ ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი 2004 წელს 5 მილიარდ კუბურ/მეტრ გაზს შეისყიდის, 2007 წელს უკვე 60 მილიარდ კუბ/მ-ს და მომავალი 25 წლის განმავლობაში 70 მილიარდ კუბ/მ-ს ყოველწლიურად. ფაქტობრივად, "გაზპრომი" თურქმენული გაზის ევროპაში ტრანსპორტირების ოპერატორი იქნება.

თურქმენეთსა და უკრაინას შორის ცალკე გაფორმებული ხელშეკრულება ყოველწლიურად 36 მილიარდი კუბური მეტრი თურქმენული გაზის უკრაინაში ექსპორტს ითვალისწინებს, რისთვისაც "გაზპრომის" კუთვნილი მილსადენები იქნება გამოყენებული. ნიაზოვის წინადადებით, ჩრდილოეთ თურქმენეთიდან ყაზახეთისაკენ ახალი საექსპორტო მილსადენი უნდა აშენდეს, რომელიც რუსეთის ტერიტორიის გავლით უკრაინას დაუკავშირდება. თურქმენეთი მზადაა, თავის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენის მონაკვეთის მშენებლობა დააფინანსოს, "გაზპრომი" და "ნაფტოჰაზ უკრაინი" დანარჩენ ნაწილს დააფინანსებენ. ნიაზოვს ეს მარშრუტი ხელს იმიტომ აძლევს, რომ ამ შემთხვევაში მილსადენები უზბეკეთზე არ გავა. დღეს არსებული სადენების ინფრასტრუქტურა კი სწორედ უზბეკეთზე გადის.

7 ივნისს ნიაზოვმა გაზის დეჰიდრაციისა და გაწმენდის ქარხანა გახსნა უზბეკეთის საზღვრის მახლობლად დერიალიკში, რომელიც ჩრდილოეთ თურქმენეთში მდებარეობს. გერმანულ-ბელგიურ-შვედურმა კონსორციუმმა აღნიშნული ქარხანა 15 თვეში ააშენა. დამატებითი ინფრასტრუქტურა "გაზპრომს" საშუალებას მისცემს, 2007 წლისთვის დარიალიკის გავლით 100 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზის იმპორტი მოახდინოს.

ამ მონაცემებთან შედარებით, თურქმენეთის გაზის ექსპორტმა ირანში 2003 წელს მხოლოდ 6.5 მილიარდი კუბური მეტრი შეადგინა და, როგორც ჩანს, ეს მაჩვენებელი მომავალ წლებში მკვეთრად არ გაიზრდება. აშშ-ს მიერ მხარდაჭერილი პროექტი, რომელიც თურქმენული გაზის შაჰ-დენიზის გაზსადენით თურქეთსა და ევროპაში ექსპორტს ისახავდა მიზნად, 2001 წელს რუსეთთან და ირანთან ნიაზოვის პირადმა გარიგებებმა ჩაშალა. შეერთებული შტატების კიდევ ერთი პროექტი, რომელიც თურქმენული გაზის ავღანეთის გავლით პაკისტანსა და ინდოეთში ექსპორტს ითვალისწინებდა, 2002-2003 წლებში ავღანეთში გაუარესებული უსაფრთხოების მდგომარეობის გამო ჩავარდა. ამას დაემატა ინდოეთის პოლიტიკური წინააღმდეგობა, რომ გაზი პაკისტანის გავლით მიეღო.

ევროკავშირი, რომელიც თურქმენული გაზის ძირითადი მომხმარებელი იქნება, როგორც ჩანს, თანახმაა, რუსეთს ევროპისკენ სატრანზიტო მარშრუტების მონოპოლიზების საშუალება მისცეს. ამგვარი პოლიტიკის შედეგი კი ისაა, რომ რუსეთი ერთადერთ სატრანზიტო სახელმწიფოდ რჩება. აღსანიშნავია, რომ 2007 წლისთვის თურქმენეთი იმდენივე მოცულობის გაზს გაიტანს ევროპაში (დაახლოებით, 100 მლრდ. კუბ/მ), რასაც თავად "გაზპრომი" (დაახლოებით, 120 მლრდ. კუბ/მ ყოველწლიურად). ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპა "გაზპრომის" მეშვეობით გაზის ორმაგ რაოდენობას მიიღებს და, ფაქტობრივად, ევროკავშირის გაზის მოწოდების დივერსიფიკაციის სტრატეგია გამოირიცხება.

მოსკოვს შეეძლება, უზარმაზარი შემოსავალი მიიღოს იაფი თურქმენული გაზის გადაყიდვით, ან თურქმენული იაფი გაზით შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილებით, ხოლო ევროპაში შედარებით ძვირი რუსული გაზის გაყიდვით. ამას გარდა, რუსეთს შეეძლება, ევროპაში გაზის ფასი აკონტროლოს. მოსკოვი ევროპაზე უპრეცედენტო პოლიტიკურ გავლენას მოიპოვებს. ამ ვითარებაში შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ერთადერთი პასუხი, რომელიც დასავლეთის ინტერესებს დააკმაყოფილებს, არის ტრანსკასპიური მილსადენის აშენება. სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის გავლით, ეს მილსადენი ევროკავშირს გაზს მიაწვდის.


ძვირფასო აბონენტებო!

ჯეოსელი გილოცავთ ზაფხულის დადგომას და შეგახსენებთ, რომ თუ საკრედიტო ან საავანსო სისტემის აბონენტი ბრძანდებით, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი ფასდაკლებებით:

ჯეოსელი



GEOCELL

-50% - ღამის საათებში (24:00-08:00) განხორციელებულ ლოკალურ ზარებზე

-10% - დღის საათებში (08:00-24:00) ჯეოსელსა და ლაი-ლაიზე განხორციელებულ ზარებზე

1 ივლისიდან ღამის ფასდაკლება გავრცელდება მხოლოდ ჯეოსელსა და ლაი-ლაი-ზე განხორციელებულ ზარებზე.

www.geocell.ge

# შეხვედრა ორთაჭალის ციხეში



საკნიდან გამოსულ ბიჭებს ლამის ენა წაერთვათ.

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

გუშინ თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა განათლების მინისტრ ალექსანდრე ლომაიასთან და იუსტიციის მინისტრ გიორგი პაპუაშვილთან ერთად ორთაჭალის ციხე დაათვალიერეს.

"ექსკურსია" პრევენტული ხასიათისა იყო. იმისთვის, რომ მოზარდმა ბიჭებმა იცოდნენ, რა ბოლო აქვს ქურდული სამყაროთი დაინტერესებას და, რეალურად, რა მოაქვს სულიერებასა და ზნეობას მოკლებული ფასეულობებით ცხოვრებას.

ორთაჭალის ციხის საკნებში ორჯერ მეტი პატიმარია, ვიდრე უნდა იყოს - საკანში ოც ნარზე, საშუალოდ, ორმოცი პატიმარი. ასაწერადაც არ ღირს მძიმე ყოფითი პირობები - ეს ენით აუწერელი საშინელებაა. ამბობენ, - ციხის სუნს ყოფილი პატიმრები წლების განმავლობაში ვერ იცილებენო. გუშინდელი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ეს ასეა.

მოსწავლეებმა მინისტრებთან ერთად მოინახულეს ყველა ტიპის პატიმართა საკნები - არასრულწლოვანების, სრულწლოვანების, ქალების და "ქურდებისაც", რომელიც ამჯერად გათავისუფლებული იყო, რადგან რევოლუციის შემდეგ კარგრემონტიანი საკნიდან ქურდები ისეთივე საკანში გადაუყვანიათ, როგორშიც "ჩვეულებრივები" სხედან - საშინელში.

"ცოდოები არიან, ასეთ პირობებში როგორ უნდა გაძლონ"; "კონცლაგერშიც კი უკეთესი იქნებოდა"; "სანამ დანაშაულს ჩაიდენს, ამაზე მანამ უნდა იფიქრონ"; "როგორ, შვილებიცა ჰყავთ?!"; "ქალები მაინც არ ჩასვან", - ციხის დერეფნებსა და კამერებში მოსწავლეთა რეპლიკები ისმოდა. პატიმარი დედები მოსწავლეებს ჭკუას არიგებდნენ. გოგონები ჩვეულ სიკეკლუცეს კამერის სარკმლიდან მოლაპარაკე პატიმარ ვაჟებთანაც არ თმობდნენ. მოსწავლეებს აუხსნეს, რომ პატიმართა სეირნობის რეჟიმი არსებობს, - თავისი სურვილით ვერავინ გაისეირნებსო. შეიყვანეს სამზარეულოში და აჩვენეს დღის საკვები - ბორშჩი, - საღამოს ფლავი ექნებათო. "რასაც სახელმწიფო გვაძლევს, იმას ვამზადებთ. ნახეთ, საწყობში რა კარგი თევზი გვაქვს", - ეუბნება ბავშვებს სამზარეულოს შეფი. მზარეულების შეთავაზებაზე, - ბორშჩი გასინჯეთო, - მაინცდამაინც არავის გაუკლავს თავი - სიტყვაზე ენდნენ.

"ეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია - მოსწავლეები ეცნობიან ციხის პირობებს", - აღნიშნეს მინისტრებმა.

ბოლოს კი სკოლის დირექტორმა გია ჭანტურიამ მოსწავლეები თვლით გაიყვანა ციხის ტერიტორიიდან "სვაბოდაზე".

განსასჯელი და თავისუფალი თანატოლების ციხის საკანში შეხვედრამ ორივე მხარე დააფიქრა. საკანში დარჩენილ ბიჭებს ხასიათი წაუხდათ, დამძიმდნენ. საკნიდან გამოსულებს კი - ლამის, ენა წაერთვათ. ინტერესი და შეკითხვების სურვილი მხოლოდ რამდენიმე გოგონასღა შერჩა. "ეს, რაც თქვენ ნახეთ, რეალობაა, უფრთხილდით "ქურდული რომანტიზმის" ხიბლს და ნამდვილი ფასეულობებით იცხოვრეთ", - დამშვიდობებისას უთხრა 55-ე სკოლის მოსწავლეებს განათლების და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ.

*24საათი*

# კიდევ ერთი რეფორმა ჯანდაცვაში

*ევროკავშირი საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის რეფორმირებას იწყებს. ამისთვის გამოყოფილია 2,5 მლიონი ევრო. სამუშაოს შეასრულებს ტენდერში გამარჯვებული საერთაშორისო კონსორციუმი გერმანიიდან GVG-EROS (ცნობისათვის, ამ ორგანიზაციას ეროსი კიწმარიშვილთან კავშირი ნამდვილად არ აქვს). პროექტის ხანგრძლივობა 2 წელია.*

ზაზა ფაჩუაშვილი

საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის რეფორმირების პროექტი დაიწყო გუშინ, ჯანდაცვის სისტემის რეფორმიდან მეცხრე წლისთავზე. რა თქმა უნდა, ძალიან დაგვიანებულია, მაგრამ წინასწარ ვინ იფიქრებდა, რომ ჯანდაცვის ბიუჯეტი 9 წლის მანძილზე არც ერთხელ არ შესრულდებოდა. იშვიათი გამონაკლისი იყო 1996 და 2000 წელი, როცა ჯანდაცვის დაფინანსებამ 90 პროცენტს მიაღწია. თუმცა, ეს იმდენად მიზერული თანხა იყო, რომ მხოლოდ სტატისტიკისთვის თუ გამოდგება (ჯანდაცვის წლიური ბიუჯეტი 25 მილიონ დოლარს არ ასცილებია). იმის გათვალისწინებით, რომ ჯანდაცვის ბიუჯეტის სიმწირე ბევრის გაკეთების საშუალებას ისედაც არ იძლეოდა, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში იყო სისტემა 40-50 პროცენტით დაფინანსების შემთხვევაში. ცენტრალურს ემატებოდა მუნიციპალური დაუფინანსებლობაც, რაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებდა რეგიონის მოსახლეობას.

ახლა საქმეს ხელი მოჰკიდეს უცხოელებმა და იმის გარანტია მაინც გვაქვს, რომ 2- წლიანი მუშაობის შემდეგ სასარგებლო რეკომენდაციებს მაინც დაგვიტოვებენ.

პროექტის საბოლოო მიზანია ჯანდაცვის დაფინანსების ეფექტური სისტემის შემუშავება და მისი განვითარების ხელშეწყობა. სამოდელო ტერიტორიად არჩეულია კახეთი. როგორც პროექტის კოორდინატორი ლარს კიუბურგი აცხადებს, წარმატების შემთხვევაში, რაშიც მას, თურმე, ეჭვიც არ ეპარება, ჯანდაცვის დაფინანსების ეფექტური სისტემა მთელი საქართველოს მასშტაბით დაინერგება. ეს სისტემა გულისხმობს მდგრადი ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; ულარიბესი ჯგუფებისა და კატეგორიების იდენტიფიცირებისა და პერსონიფიცირების მექანიზმების შემუშავებას; სადაზღვევო რგოლის პასუხისმგებლობების განსაზღვრას; სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესაძლებლობების განვითარებას; მოსახლეობის მაქსიმალურად ინფორმირებას და ა.შ.

ამ საქმეს მოემსახურება GVG-EROS-ის 4 ოფისი: სათავო - კიოლნში, ერთი - ჯანდაცვის სამინისტროში, ერთი - სადაზღვევო ფონდში და ერთიც - კახეთში. საქმეში ჩართული იქნება 4 უცხოელი ექსპერტი და არაერთი ადგილობრივი სპეციალისტი.

ამრიგად, თუ ყველაფერი კარგად იქნება, 2 წლის შემდეგ ჯანდაცვის დაფინანსების ეფექტური სისტემის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით გვეცოდინება და ბიუჯეტის შესავსებად მხოლოდ ფულის შოვნა დაგვჭირდება.


## ქალაქ თბილისის მერის ინიციატივა საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი

**იწვევს მოხალისეებს**
სამეზობლო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობისათვის.

თქვენი დახმარებით და სახელმწიფო რესურსების მინიმალური გამოყენებით, მნიშვნელოვან ადგილობრივ პრობლემებს გადავჭრით.

ჩვენი მიზანია:

საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმა თბილისის მერიის მიერ განსახორციელებელ საქმიანობაში;
მოსახლეობისა და ქალაქის ადმინისტრაციის თანამშრომლობის განმტკიცება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას;
მოსახლეობის ჩართვა გადაწყვეტილებების მიღებაში;
სამეზობლო ამხანაგობების განვითაების ხელშეწყობა;

**გახდი თბილისის კორპუსის მოხალისე!**
**შექმენი ამხანაგობა, მიხედე შენს უბანს შენ თვითონ!**
დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 93-36-32
ელ-ფოსტა: tbilisi-corps@hotmail.com


ფოსტა

# ცილისწამებასაც ხომ აქვს საზღვარი?!

მაგრამ, როგორც ჩანს, - ყოველთვის არა; არა აქვს ცილისწამებას საზღვარი.

გაზეთ "24 საათის" 14 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში - "თუ პრობლემა ჩემშია, წავალ, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა" - ვკითხულობთ: "არმაზ სანებლიძე... ვითარებიდან გამომდინარე, აფუძნებს რედაქტორის ფონდს, რომლისგანაც რამდენიმე ადამიანს აქვს კიდეც მიღებული რაღაც დახმარება".

ამასთან დაკავშირებით ჩვენ, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტებს და თანამშრომლებს, გვსურს განვაცხადოთ შემდეგი:

პირველი - საგადასახადო ინსპექციის მიერ მიმდინარე წელს ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ არავითარი "სანებლიძის ფონდი" არ არსებობდა და არც არსებობს;

რომ არმაზ სანებლიძემ, ჩვენი გაზეთის ყოფილმა მთავარმა რედაქტორმა, "საქართველოს ბანკში" გახსნა თავისი პირადი ანგარიში, რომელზეც თანხების მოზიდვით და შემდგომ ჩვენთვის დარიგებით, შეძლებისდაგვარად, გვეხმარებოდა მატერიალურად.

ჩვენ ამ ფაქტში სიკეთის მეტს ვერაფერს ვხედავთ; თანაც, აქ კანონის არავითარი დარღვევა არ არის და არც შეიძლება იყოს.

საგადასახადო შემოწმების აქტიდან, რომელიც მთაწმინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ გასვლითი საგადასახადო შემოწმების შედეგების მიხედვით დაწერა და რომელიც 2004 წლის 22 მარტით არის დათარიღებული, მითითებულია, რომ ამ ანგარიშზე არსებული 10004 ლარი და 60 თეთრი რედაქციის ჟურნალისტებზე არის გაცემული და რომ საგადასახადო კოდექსის მე-4 თავი არ ითვალისწინებს აღნიშნული გაცემების დაბეგვრას.

მეორე - რაც ჩვენს აღშფოთებას იწვევს არის, თითქოს გაკვრით, თითქოს სასხვათაშორისოდ ნათქვამი წინადადება, რომელიც თავისი არსით ცილისწამებაა და უსინდისობა: ამ ფონდიდან "რამდენიმე ადამიანს აქვს კიდეც მიღებული რაღაც დახმარება".

ამასთან დაკავშირებით საჯაროდ ვაცხადებთ, რომ არა ერთმა-ორმა, არა ზოგიერთმა, როგორც ამას თქვენს პუბლიკაციაში ვკითხულობთ, არამედ ყველამ, ზოგმა კი რამდენჯერმე, მათ შორის, პუბლიკაციის რესპონდენტმაც მიიღო ეს ფულადი ჯილდო თუ დახმარება.

როდიდან გახდა ხელის გამართვა დანაშაული?! ვის აძლევს ხელს ასეთი ცილისწამება? ჩვენ კარგად ვიცით, რისთვის და რა მიზნითაც ააგორეს ეს კამპანია, მაგრამ, ალბათ, დროა, სამართალმა თქვას თავისი სიტყვა.

თქვენს გაზეთს კი იმიტომ ვუგზავნით ამ წერილს, რომ არავინ იფიქროს, თითქოს საქართველოში, კონიუნქტურული ინტერესების გამო, იმ მარადიულ მცნებას ივიწყებენ, რომელსაც მადლიერება ჰქვია.




# ქრისტესმიერ სიყვარულს ვერაფერი დააბრკოლებს

## მოკითხვა ქართველ ხალხს

გასული ექვსი წლის განმავლობაში ქ. ნორვიჯის (დიდი ბრიტანეთი) კათედრალური ტაძრის საერთაშორისო კონტაქტების ჯგუფი საქართველოდან იწვევდა როგორც სასულიერო, აგრეთვე, საერო პირებს და თითოეულს შინ მასპინძლობდა.

წმიდა პანტელემონის მართლმადიდებელი ეკლესიის გუნდმა ორჯერ გამართა შესანიშნავი კონცერტი ნორფოლკისა და ნორვიჯის ფესტივალებზე. ჩვენ, ასევე, წლების განმავლობაში დახმარებას ვუწევთ საქართველოში მართლმადიდებელი და ბაპტისტური ეკლესიების ეგიდით განხორციელებულ სოციალურ პროექტებს.

გასული კვირის განმავლობაში ნორვიჯის კათედრალური ტაძრის ჯგუფი საქართველოს ვეწვიეთ. ჩვენ კიდევ ერთხელ მოვიხიბლეთ ტრადიციული ქართული სტუმარმოყვარეობით და მოვინახულეთ ის პროექტები, რომელთა განხორციელებასაც ჩვენ ვუწყობთ ხელს.

როდესაც 1993 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოში ანგლიკანური ეკლესიის მეთაური, კენტერბერიის მთავარეპისკოპოსი, ჯორჯ ქერი მოიწვია, მათ ერთად აღავლინეს ლოცვა ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. ამ ამბავმა მრავალი ადამიანი გაახარა, რადგან ამით ინგლისის და საქართველოს ეკლესიებმა საფუძველი ჩაუყარეს საერთო ქრისტიანულ მოწმობას. მას შემდეგ საქართველოში და ინგლისში არის მცდელობა ერთმანეთთან დაახლოებისა.

გასულ კვირას ჩვენ პატივი გვქონდა, ჩვენს მეგობრებთან ერთად დავსწრებოდით საკვირაო ლიტურგიას წმიდა პანტელემონ მკურნალის მართლმადიდებელ ეკლესიაში. ჩვენს მეგობრებთან ერთად ღვთის სახლში ყოფნამ და ღვთის თაყვანისცემამ სულიერი სიხარულით აღგვავსო. მოგვიანებით მწუხარებით შევიტყეთ, რომ ლიტურგიაზე ჩვენმა დასწრებამ ზოგიერთის აღშფოთება გამოიწვია. ვიღაცის აზრით, ჩვენმა დასწრებამ ღვთისმსახურებაზე ტაძარი შებილწა და საჭირო გახადა მისი ხელახლა კურთხევა. მსგავსი რამ შეუძლებელია ინგლისში მომხდარიყო. ჩვენ ძალიან შევწუხდით იმის გამო, რომ ჩვენმა მეგობრებმა წმიდა პანტელემონის ეკლესიიდან უსაფუძვლო სასჯელის საშიშროება იგრძნეს იმ რეაქციის გამო, რომელიც ამ ამბავს მოჰყვა მართმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობის მხრიდან. მიუხედავად ამისა, ჩვენ ქართველი მართლმადიდებელი დებისა და ძმების სიყვარულზე ხელს ვერაფერი აგვაღებინებს. არც იმათთვის პატიებაზე ვიტყვით უარს, ვისი აზრითაც, ჩვენ უსაზღვროდ განვსხვავდებით ერთმანეთისგან, მიუხედავად იმისა, რომ ერთ ღმერთს ვცემთ თაყვანს. ჩვენ ჩამოვედით საქართველოში ეკუმენური ურთიერთობის ხელშესაწყობად და არა მის გასართულებლად. იმედი გვქონდა, რომ ღვთისმსახურებაზე ჩვენი დასწრება მხოლოდ გაახარებდა ეკლესიის მრევლს, რადგან მხოლოდ ასეთ დროსაა შესაძლებელი გასულ საუკუნეებში დარღვეული ურთიერთობების აღდგენა, იმ ერთობისა და სიყვარულის გამყარება, რომლისკენაც ჩვენი უფალი იესო ქრისტე მოგვიწოდებს.

ჩვენ გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდება მომავალშიც და წმიდა პანტელემონის ეკლესიის მრევლს და სამღვდელოებას საშუალება ექნება, მიგვიღოს სიყვარულითა და მეგობრობით. ჩვენ ვლოცულობთ, რომ საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია გაძლიერდეს და შეიწყნაროს თავისი დები და ძმები სხვადასხვა ქრისტიანული მიმდინარეობებიდან.

უფალი იყოს ყველა ჩვენგანთან!

*მამა გრეგორ დრეიკი,*
*ნორვიჯის კათედრალის კანონიკი;*
*დოროთი სპრაი,*
*საერთაშორისო კონტაქტების ჯგუფი;*
*სილვია დადი,*
*საერთაშორისო კონტაქტების ჯგუფი;*
*პიტერ დადი,*
*ნორვიჯის კათედრალის მრევლი;*
*დაიანა ბეზვიკი,*
*ნორვიჯის კათედრალის მრევლი.*

### კომენტარი

13 ივნისს, კვირას თბილისის წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძარს ინგლისელ სტუმართა დელეგაცია ეწვია ქალაქ ნორვიჯიდან, რომელიც ანგლიკანური ეკლესიის ერთი სასულიერო პირისა და მრევლის წარმომადგენლობისაგან შედგებოდა. წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი ჩაჩავა სტუმრებს მიესალმა და საჩუქრად წმ. გიორგის ხატი გადასცა. როდესაც ეს ამბავი ალავერდის მიტროპოლიტმა დავითმა (მახარაძე) შეიტყო, მოახდინა ზეწოლა სქართველოს საპატრიარქოზე, რათა მათ სადამსჯელო ზომები მიეღოთ დეკანოზ გიორგი ჩაჩავას მიმართ, რადგან, მისი აზრით, ინგლისელი სტუმრების მართლმადიდებელ ტაძარში მიღება ღვთის გმობაა.

ორშაბათს, 14 ივნისს წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურმა მამა გიორგი ცნობილაძემ ღვთისმსახურების აღსრულება დაიწყო. ამ დროს მას ტელეფონით დაუკავშირდა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე) და ღვთისმსახურების შეწყვეტა უბრძანა, იმ მოტივით, რომ - ინგლისელი სტუმრების მიღებით ტაძარი წაიბილწა და სანამ შენობა თავიდან არ იკურთხება, იქ ყოველგვარი ლოცვა იკრძალებაო.

წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრის შებილწულად გამოცხადება, იმ მიზეზით, რომ იქ ანგლიკანი ქრისტიანები შევიდნენ, ერთი მხრივ, რელიგიური ექსტრემიზმისა და შუასაუკუნებრივი სიბნელის გამოვლინებას წარმოადგენს, ხოლო მეორე მხრივ, იმ დევნა-შევიწროების ახალ ეტაპს, რომელიც, უკვე დიდი ხანია, ხორციელდება დეკანოზ გიორგი ჩაჩავას მიმართ, მისი ჭეშმარიტად მართლმადიდებლური პოზიციების გამო.

შემდგომ მოვლენები ასე განვითარდა: იმავე დღის საღამოს დეკანოზი გიორგი ჩაჩავა ამ გაუგონარი გადაწყვეტილების გასაპროტესტებლად საპატროარქოში მივიდა, მაგრამ გარკვეული პერიოდი მას ყურადღება არავინ მიაქცია. როგორც კი საპატრიარქოს თანამშრომლებმა იქ მისული ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტები შეამჩნიეს და მიხვდნენ, რომ საზოგადოება მათი ამ არაქრისტიანული დადგენილების შესახებ შეიტყობდა, მაშინვე შეიყვანეს დეკანოზი გიორგი ჩაჩავა საპატრიარქოს შენობაში და ტაძრის შებილწვის შესახებ ზემოთ აღნიშნული დადგენილების გაუქმება შესთავაზეს.

ჟურნალისტებთან საუბრისას მამა გიორგიმ თქვა, რომ აღნიშნულ მოვლენებს, მართლაც, ჰქონდა ადგილი და შემდეგ საპატრიარქოს აპარატმა გააუქმა "ინგლისელების მიერ ტაძრის შებილწვის შესახებ დადგენილება". სინამდვილეში მისი გაუქმების ნამდვილი მიზეზი ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტების გამოჩენა და საჯაროობისადმი საპატრიარქოს აპარატის თანამშრომლების შიში გახდა.

*დეკანოზი ბასილ კობახიძე*

# გაზეთ "24 საათის" რედაქციას

თქვენი გაზეთის ა.წ. 14 ივნისის ნომრის B1 გვერდზე დაბეჭდილ მასალასთან დაკავშირებით (წმინდა საყდრის სადესპანო (ვატიკანის საელჩო საქართველოში) მომხდარი ინციდენტის მისეული განმარტების გამოქვეყნების შესახებ) სხვადასხვა მხრიდან მიღებული თხოვნის პასუხად, აცხადებს, რომ ა.წ. 2 ივნისს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში წმინდა საყდრის დესპანის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედება ჩაიდინა საერო პირმა.

არც ერთ საეკლესიო პირს მოძალადისათვის მხარი არ დაუჭერია. უფრო მეტიც, ერთმა ადგილობრივმა მღვდელმა მოძალადის შეჩერებაც კი სცადა.

წმინდა საყდრის სადესპანომ მოხდარი აქტი შეაფასა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად და, აქედან გამომდინარე, მიმართა შესაბამის ორგანოებს.

წმინდა საყდრის სადესპანო გთხოვთ, დროულად გამოაქვეყნოთ წინამდებარე განმარტება თქვენს გაზეთში გამოსაჩენ ადგილზე.

*ღრმა პატივისცემით*
*წმინდა საყდრის სადესპანო*
*(ვატიკანის საელჩო)*


## სამშენებლო კომპანია "ბურჯი" აცხადებს კონკურსს შემდეგ სპეციალისტებზე

გვესაჭიროება ენერგიული, კომუნიკაბელური კადრები საპროექტო ჯგუფში, საწარმოო ტექნიკურ განყოფილებაში და სამშენებლო ობიექტებზე სამუშაოდ, მაღალი ანაზღაურებით. სამშენებლო ობიექტები განთავსებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**საპროექტო ჯგუფი:**
1. ელექტო ინჟინერი (პროექტანტი);
2. წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი (პროექტანტი);
3. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი (პროექტანტი).

**საწარმო ტექნიკური განყოფილება:**
1. მშენებელ ინჟინერი (სტგ-ში მუშაობის გამოცდილებით);
2. ელექტო ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება);
3. წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება);
4. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება).

**სამუშაოთა მწარმოებელი:**
1. ინჟინერ მშენებელი;
2. ელექტო სამონტაჟო;
3. წყალმომარაგება კანალიზაციის;
4. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების.

**მოთხოვნები:**
1. უმაღლესი ტექნიკური განათლება (შესაბამისი სპეციალობით);
2. საწარმოო და საპროექტო (მოთხოვნის შესაბამისად) გამოცდილება არანაკლებ 5 წელი;
3. დარგში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მასალების ღრმა ცოდნა;
4. სათანადო კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (საპროექტო ნაწილისთვის);
5. სასურველია საერთაშორისო და საზღვარგარეთის ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება.

**წარმოსადგენი საბუთები:**
1. CV
2. განხორციელებული პროექტების დეტალური აღწერა.

საბუთები მიიღება 2004 წლის 15 ივლისამდე შემდეგ მისამართზე:
ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზ.N39ა მისაღები (მიანიშნეთ შპს "ბურჯი" კონკურსისათვის)
ტელ.: 25-34-86, 25-34-87
FAX: 25-34-93
E-mail:office@inter-servise.com.ge

ორგანიზაცია არ გასცემს ახსნა-განმარტებებს კონკურსის შედეგების შესახებ

მთავარი სპეციალისტი (ელექტო ინჟინერი; წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი; თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი, ავტო ტრანსპორტისა და მექანიზმების ინჟინერი)

გვესაჭიროება ენერგიული, კომუნიკაბელური კადრები მაღალ ანაზღაურებად სამუშაოზე. სამშენბლო ობიექტები განთავსებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**საკვალიფიკაციო მონაცემები:**
1. უმაღლესი ტექნიკური განათლება - ელექტო ინჟინერი; წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი; თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი, ავტო-მექანიკოსი (შესაბამისი სპეციალობით);
2. საპროექტო და საწარმოო მუშაობის გამოცდილება სპეციალისტად ან ხელმძღვანელად არანაკლებ 5 წელი;
3. დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების, საპროექტო გადაწყვეტების და მასალების ღრმა ცოდნა;
4. უცხოურ ფირმებში მუშაობის ან თანამშრომლობის გამოცდილება 1999წ.-დან 2004წ.-მდე;
5. სათანადო კომპიუტერულ პროგრამების ცოდნა Windows XP, MS Office, MS Internet Explorer, AutoCAD;
6. ინგლისური და რუსული ენების კარგი ცოდნა;

**სამუშაოს შინაარსი:**
პროექტის შესაბამის ნაწილში პრინციპული სქემების შემოწმება და გადაწყვეტილებების მიღება, საპროექტო დავალებების გაცემა შესაბამისი სპეცილაობების პროექტანტებისთვის და მათი ხელმძღვანელობა. მონაწილეობის მიღება მომარაგების სამსახურთან ერთად საჭირო მასალების და დანადგარების მოძიებაში. მიღებული მასალების და დანადგარების კომპლექტაციის და ხარისხის შემოწმება. სამუშაოთა მწარმოებლებზე საჭირო რეკომენდაციების, სამონტაჟო სქემების გაცემა და სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობა. პირადი პასუხისმგებლობა მთელი ტექნიკური ციკლის ხარისხიან და დროულ შესრულებაზე.

ავტო ტრანსპორტისა და მექანიზმების ინჟინერისათვის: ავტო ტრანსპორტისა და მექანიზმების მომსახურებისა და ექსპლოატაციის კოორდინირება და მათი ხელმძღვანელობა მონაწილეობის მიღება მომარაგების სამსახურთან ერთად საჭირო მექანიზმებისა და სათადარიგო ნაწილების მოძიებაში. მიღებული მექანიზმებისა და სათადარიგო ნაწილების კომპლექტაციის და ხარისხის შემოწმება.

**წარმოსადგენი საბუთები:**
1. CV
2. განხორციელებული პროექტების დეტალური აღწერა.

საბუთები მიიღება 2004 წლის 15 ივლისამდე შემდეგ მისამართზე:
ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზ.N39ა მისაღები (მიანიშნეთ შპს "ბურჯი" კონკურსისათვის)
ტელ.: 25-34-86, 25-34-87 ("ქართუ ჯგუფის" შენობა)
FAX: 25-34-93
E-mail:office@inter-servise.com.ge

ორგანიზაცია არ გასცემს ახსნა-განმარტებებს კონკურსის შედეგების შესახებ

# ექსპერტ-ფსიქიატრები დედაქალაქის პროკურორის ბრალდებებს ბრალდებებითვე პასუხობენ

სოფიკო ჩხაიძე

*გუშინ ქართველ ფსიქიატრებს იმ ბრალდებების გაქარწყლება სურდათ, რომლებიც დაახლოებით ერთი კვირის წინ მათ ერთ ნაწილს თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა წაუყენა. თუმცა, მათი პრესკონფერენციის მსვლელობას სახალხო დამცველის ოფისში მისულმა შავოსანმა დედებმა შეუშალეს ხელი.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ფსიქიატრები იშველიებენ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ კვლევათა ცენტრის დასკვნას, რომლის თანახმადაც, განსასჯელი სამსიანი ნაცემიც იყო და ელექტროდენით ნაწამებიც.*

თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა ქართველი ფსიქიატრები არაერთხელ გახადა ყურადღების ღირსი. პირველად გაკეთებულ ზოგად განცხადებას ექსპერტების მიერ მკვლელობაში თუ მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ პირთა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით შეურაცხადად გამოცხადების პრობლემის შესახებ ათიოდ დღის წინ უკვე კონკრეტული ბრალდება დაემატა: ვალერი გრიგალაშვილმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტიზის სამსახურის ექსპერტ-ფსიქიატრები სამედიცინო დასკვნის გაყალბებაში დაადანაშაულა. პროკურორის განცხადებით, ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის მიხედვით, ადამიანის გატაცებისთვის განსასჯელი პიროვნება - გოჩა სამსიანი - შეურაცხადად არის გამოცხადებული, რაც ბევრ ეჭვს ბადებს. ამ ეჭვების საფუძველზე კი ქალაქის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც კი აღუძრავთ.

საქმე ეხება ბიზნესმენ ირაკლი კორტავას გატაცებაში ბრალდებულ გოჩა სამსიანს.

გოჩა სამსიანს თბილისის საოლქო სასამართლოში ასამართლებენ. მისთვის განმეორებითი ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება მისმა ადვოკატმა სასამართლოში მოითხოვა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სამსიანის შესახებ გაცემულ ექსპერტიზის ახალ დასკვნას გაითვალისწინებს, მას პატიმრობას ვერ მიუსჯიან და იძულებით მკურნალობას შეუფარდებენ. ქართველი სამართადამცველები ვარაუდობენ, რომ სამსიანის გათავისუფლებით გავლენიანი პირები არიან დაინტერესებულნი და ყალბი დასკვნის გაცემაც გარკვეულწილად ანგარებით მოხდა.

ქალაქის პროკურორის განცხადებებზე არც თუ ოპერატიული რეაგირება საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოებამ, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრმა "ემპათიამ" და ავლიპ ზურაბაშვილის სახელობის საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოებამ პრესკონფერენციის ჩატარებით გადაწყვიტეს, თუმცა პრესკონფერენცია ფაქტობრივად ჩაიშალა; უფრო ზუსტად - ფსიქიატრებსა და სახალხო დამცველის ოფისში მისულ შავოსან დედებს შორის დაწყებული კამათი შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. კერძოდ, ვინმე ნანა შოშიტაიშვილმა ფსიქიატრები მკვლელობაში ბრალდებული გურამ ელიზბარაშვილისთვის ყალბი დოკუმენტის გაცემაში დაადანაშაულა. მისი თქმით, 2001 წლის 9 მაისს ფირმა "ელიზის" პრეზიდენტის თამაზ ელიზბარაშვილის შვილმა გურამ ელიზბარაშვილმა თავის დაბადების დღეზე მოკლა მისი შვილი მიშიკო ცირეკიშვილი. ფსიქიატრებმა კი გურამ ელიზბარაშვილისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა თავიდან რომ აეცილებინათ, მისი მამის - თამაზ ელიზბარაშვილის დახმარებით იგი ფსიქიურად დაავადებულად ცნეს.

შავოსანი დედების მიერ პრესკონფერენციაში ჩაშლაში ფსიქიატრებმა კიდევ ერთი დასტური დაინახეს იმისა, რომ ვალერი გრიგალაშვილი მათზე მორალურ და სხვა სახის ზეწოლას ახორციელებს. მათივე თქმით, ვალერი გრიგალაშვილს სურს, რომ ფსიქიატრია არაოფიციალურად ძალოვან სტრუქტურებს დაუქვემდებაროს, რათა ამით მათთვის არასასურველი პირების დისკრედიტაცია მოახდინოს.

სამსიანთან დაკავშირებით კი ავლიპ ზურაბაშვილის სახელობის საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი ნანეიშვილმა განაცხადა, რომ გოჩა სამსიანს ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ექვსი თვის განმავლობაში 13-კაციანი კომისია უტარებდა. მათ შორის 11-მა ექსპერტმა დაადასტურა ერთსულოვანი პოზიცია, რომ გამოსაკვლევი გოჩა სამსიანი ფსიქიკურად დაავადებულია.

მეტიც, ფსიქიატრთა მიერ გავრცელებული პრესრელიზის თანახმად, კომისიის ჩატარებისას ადგილი ჰქონდა ექსპერტ-ფსიქიატრთა მიმართ პირდაპირ ზეწოლას. კერძოდ, მათი თქმით, თბილისის პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი კომისიის წევრებს ურეკავდა და მოუწოდებდა, განსასჯელი, მიუხედავად მისი ფსიქიური და ფიზიკური მდგომარეობისა, ჯანმრთელად ეცნოთ. მეტიც, ფსიქიატრები ითხოვენ, გაირკვეს, რამ გამოიწვია განსასჯელი სამსიანის ფიზიკური მდგომარეობის თანდათან გაუარესება და კრიტიკულ ზღვრამდე მიყვანა. კერძოდ, მათ მოჰყავთ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ კვლევათა ცენტრის დასკვნა, რომლის თანახმადაც, განსასჯელი სამსიანი ნაცემიც იყო და ელექტროდენით ნაწამებიც, რაც, ფსიქიატრთა თქმით, წარუშლელ კვალს ტოვებს ადამიანის ფსიქიკაში და იწვევს მყარ ფსიქიკურ ცვლილებებს.

პრესკონფერენციის ორგანიზატორები საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავენ და სთხოვენ, რეაგირება მოახდინონ სამართალდამცველი ორგანოების, კერძოდ, დედაქალაქის პროკურორის მხრიდან ექსპერტ-ფსიქიატრებზე ზეწოლის მოხდენის მცდელობაზე.

თბილისის პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი კი ფსიქიატრთა მხრიდან გამოთქმულ ბრალდებებს ამგვარად პასუხობს:

**"პრესკონფერენციების ჩატარებას სჯობს, რომ გამოძიებასთან ითანამშრომლონ. სამსიანის დასკვნის გამო სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. გამოძიება კომისიის იმ წევრებს, რომლებმაც განსასჯელი ფსიქიურად დაავადებულად აღიარეს, დაკითხვაზე იბარებს, ისინი კი არ მოდიან. მათ კიდევ ერთხელ გაეგზავნებათ უწყება და თუ კიდევ არ გამოცხადდებიან, იძულების წესით მოგვიწევს მათი მოყვანა".**

# საარქივო დეპარტამენტიდან უნიკალური წიგნები გაიტაცეს

საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის სამკითხველო დარბაზიდან ბიბლიოგრაფიული იშვიათობის ორი წიგნი - მე-19 საუკუნეში, 1895 წელს რუსეთში გამოცემული უნიკალური სამტომეულის - "სამეფო ნადირობა რუსეთში" - ორი ტომი მოიპარეს.

დეპარტამენტის დირექტორის ზურაბ მახარაძის თქმით, წიგნები დეპარტამენტიდან 7 ივნისს ყალბი მოწმობებით გაიტანა ვინმე ირაკლი დუმბაძემ. მან წიგნები სამკითხველო დარბაზში ორჯერ გამოიწერა, როგორც აღმოჩნდა, ორჯერვე ყალბი სტუდენტური ბილეთითა და ყალბი ბლანკით. ზურაბ მახარაძის თქმით, ყალბ ბლანკზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის გაყალბებული ხელმოწერა იყო. ბლანკების სიყალბე მალევე დადგინდა და დეპარტამენტმა ვაკე-საბურთალოს პოლიციას მიმართა. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა.

ამჟამად სამართალდამცავები ამ პირის ვინაობის დადგენაზე მუშაობენ. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალები არ ხმაურდება. არ არის გამორიცხული მომხდარში დეპარტამენტის თანამშრომელთა ბრალეულობაც გამოიკვეთოს.

საარქივო დეპარტამენტის დაცვის წევრები აცხადებენ, რომ ახალგაზრდა მამაკაცს არქივის შენობა ცენტრალური გასასვლელიდან არ დაუტოვებია; სავარაუდოდ, იგი პირველი სართულის ფანჯრიდან გადახტა. აღსანიშნავია, რომ თითოეული მოპარული ტომი 6 კილოგრამს იწონის.

დეპარტამენტის დირექტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნები ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, ისინი არც თუ ისე ძვირადღირებულია. თუმცა, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ბიბლიოფილებმა ამ წიგნებში შეიძლება რამდენიმე ათეული ათასი დოლარი გადაიხადონ.

*24 საათი*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ინფორმაცია

### რუსული ენის შემსწავლელ საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მიღების მსურველთათვის

ქ. მოსკოვის მერია 2004 წლის 6-28 ივლისს მოსკოვის გარეუბანში, გამაჯანსაღებელ კომპლექსში მოსკოვია" აწყობს საერთაშორისო საზაფხულო სკოლას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ბალტიისპირეთისა და სხვა ქვეყნების საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის, დასვენებისა და რუსული ენის შემსწავლელი კურსების გასავლელად.

საქართველოდან იწვევენ **16 მოსწავლეს**, რომლებმაც დაამთავრეს მე-10 კლასი და გადადიან მე-11 კლასში და ორ თანმხლებ პირს, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, რომლებიც წარმოდგენილი პროგრამის დროს გაივლიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს. მოსწავლეებს ჩაუტარდებათ რუსული ენის გაკვეთილები: კვირაში 5 დღე, ექვს-ექვსი საათი, სამი კვირის განმავლობაში. დაგეგმილია ასევე საექსკურსიო პროგრამა და ყოველდღიური გასართობი ღონისძიებები.

კურსების დამთავრების შემდეგ, რუსული ენის დამოუკიდებლად შესწავლისათვის, მოსწავლეებს გადაეცემათ რუსული ენის სახემძღვანელოები, მეთოდური თვალსაჩინოებები და აუდიო კასეტები.

მოსწავლეთა შერჩევა მოხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შექმნილი კომისიის მიერ გასაუბრების საფუძველზე.

**საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 25 ივნისი.**

კონკურსი ჩატარდება **2004 წლის 28 ივნისს 14.00 საათზე**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.
მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52

**პირობები და მოთხოვნები:**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან, რომლებმაც დაამთავრეს მე-10 კლასი და გადავიდნენ მე-11 კლასში;

სავალდებულოა რუსული ენის ცოდნა (საშუალოზე მაღალი დონე);

ხელმძღვანელად გამგზავრების მსურველები უნდა იყვნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები;

**მოსკოვის მთავრობა ფარავს ბავშვებისა და ხელმძღვანელთა სწავლების, გამაჯანსაღებელ კომპლექს მოსკოვიაში" ცხოვრებისა და კვების ხარჯებს;**

**მგზავრობის (თბილისი-მოსკოვი-თბილისი), ვიზისა და სამედიცინო დაზღვევის თანხებს ფარავენ საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მსურველები.**

**მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

განცხადება;

მშობლის წერილობითი თანხმობა ზემოჩამოთვლილი ხარჯების დაფარვის შესახებ;

მე-10კლასის დამთავრების დამადასტურებელი საბუთი და ნიშნების ფურცელი *(დამაკმაყოფილებელი ნიშნების მქონე მოსწავლეთა საბუთები არ მიიღება);*

კლასის დამრიგებლის ან რუსული ენის მასწავლებლის რეკომენდაცია;

**ხელმძღვანელად გამგზავრების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

- განცხადება;
- წერილობითი თანხმობა ზემოჩამოთვლილი ხარჯების დაფარვის შესახებ;
- სკოლის დირექტორის რეკომენდაცია.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52. ოთახი N218.**
**ტელეფონი: 95-48-69; 95-70-10**

# საიდუმლო მიღება გენერალურ პროკურატურაში

*გუშინწინ, გვიან ღამით, გენერალურ პროკურატურაში "დიდი მიღება" გაიმართა. ახალი გენერალური პროკურორის მიწვევით პროკურატურაში გამოცხადდნენ თბილისის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე და მერიის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელები. შეხვედრა, რომელიც გენერალური პროკურორის კაბინეტში ზურაბ ადეიშვილსა და საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებს შორის შედგა, ჟურნალისტებისთვის გასაიდუმლოებული აღმოჩნდა.*

ინგა ალავიძე

შეხვედრის შესახებ კომენტარს არც ერთი მხარე არ აკეთებს. პროკურატურის მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ შეხვედრის დეტალების შესახებ საქმის კურსში არ არიან, რადგან პრემიერსა და მერიის სხვა მოხელეებს მხოლოდ გენერალური პროკურორი შეხვდა. **"არც პრემიერი და არც სხვა თანამდებობის პირი გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში არ ყოფილა. ამ შეხვედრის შესახებ მე არაფერი ვიცი და, საერთოდ, პროკურატურაში წესიერი ადამიანები არ მოდიან, ვინც მოდის, უკან აღარ ვუშვებთ,"** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა გიორგი ლაცაბიძემ.

ერთადერთი, ვინც ამ საიდუმლო ვიზიტის დეტალები (მართალია, მცირე დოზით, მაგრამ მაინც) გაახმაურა, მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი დავით ოქიტაშვილი გახლავთ. მისი განცხადებით, პროკურატურაში პირადად მისი ვიზიტი თბილისში არსებული სპორტული ობიექტების უკანონო გასხვისებას ეხებოდა.

დავით ოქიტაშვილმა სპორტული დანიშნულების ობიექტების უკანონოდ გასხვისების შესახებ დოკუმენტაცია გენერალურ პროკურორს გადასცა.

ოქიტაშვილის ინფორმაციით, მან შეისწავლა თბილისის მერიის ყოფილ სამსახურში - საქალაქო სპორტის სამსახურში არსებული მდგომარეობა და აღმოჩნდა, რომ სპორტული ნაგებობებისა და ბაზების უმრავლესობა კერძო პირებზე უკანონოდაა გასხვისებული.

**"ვალდებული ვიყავი, ჩემ მიერ მოკვლეული მასალების შესახებ საქმის კურსში ჩამეყენებინა პროკურატურა,"** - განაცხადა დავით ოქიტაშვილმა. დავით ოქიტაშვილის განცხადებით, უკანონოდ გასხვისებული ერთ-ერთი სპორტული ობიექტი კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე სპორტის საქალაქო სამსახურის კუთვნილი შენობაა, რომელიც 18 ათას დოლარად კერძო პირზე უკანონოდ გაასხვისეს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გენერალურ პროკურორს სხვა სამსახურების ხელმძღვანელებმაც გადასცეს მოკვლეული მასალები; უფრო ზუსტად - დამატებითი მასალები, რადგანაც ყოფილ გენერალურ პროკურორს ირაკლი ოქრუაშვილს რამდენიმე თვის წინ საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ შექმნილი 6-ტომიანი საქმე უკვე გადაეცა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გენერალურ პროკურატურაში გამართული საიდუმლო შეხვედრა სწორედ ამ მასალების დეტალების დაკონკრეტების მიზნით გაიმართა.

საკრებულოს სარევიზიო კომისიამ კორუფციული მასალების პროკურატურისთვის გადაცემა ნოემბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო და მათმა რაოდენობამ დაახლოებით 200 ტომს მიაღწია. მასალებში საუბარია 2000-2003 წლებში მერიის მაღალჩინოსანთა მიერ ჩატარებულ ფინანსურ ოპერაციებსა და ამ პერიოდში არსებულ სერიოზულ ფინანსურ გარღვევებზე. სხვათა შორის, მაშინდელი გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი საკრებულოში სწორედ სარევიზიო კომისიას თავმჯდომარეობდა და, შესაბამისად, პროკურატურაში შესული მასალების დიდი ნაწილი, რომელიც მერიის კორუმპირებულ მოხელეებს ამხელს, სწორედ ამ პერიოდშია შექმნილი.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საკრებულოს სარევიზიო კიმისიის კომპრომატებში შეხვდებით მიწისძვრისგან დაზარალებულთა ფონდის, ტრანსპორტის, ავტოსადგომების, გამგეობების სოციალური ფონდის, საბინაო - კომუნალური თანხების განკარგვისას ჩატარებულ ფინანსურ ოპერაციებს. თავის დროზე პროკურატურისთვის გადაცემულ სოლიდურ მასალებში, კულტურისა და სპორტის გარდა, სხვა ყველა სფეროში არსებულ სერიოზულ ფინანსურ დარღვევებზე იყო საუბარი და ახლა მას მერიის სპორტის საქალაქო სამსახურში ჩატარებული ფინანსური მაქინაციების თაობაზეც შეემატა მასალები.

გუშინწინ პროკურატურისთვის გადაცემულ მასალებში სამარშრუტო ბიზნესისა და მისი არაოფიციალური "მეპატრონის" შესახებაცაა კომპრომატები. საუბარია მერიის ყოფილ მოხელეზე, რომელიც სამარშრუტო ტაქსების ბიზნესს მფარველობდა და რომელიც ხსენებულ ბიზნესში "კანონიერ ქურდებთან" ერთად საქმოსნობდა. სხვათა შორის, ირაკლი ოქრუაშვილმა გენერალური პროკურორის თანამდებობაზე მოღვაწეობისას სამარშრუტო ბიზნესი ერთხელ გაიხსენა, გენერალურ პროკურატურაში მაშინ დაიბარეს საკრებულოს ნაციონალი წევრი, საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე კობა ბექაური, თუმცა, როგორც გენერალური პროკურატურიდან გამოსულმა ბექაურმა განაცხადა, პროკურატურაში ის შეცდომით მიიყვანეს და მას არანაირი კავშირი არა აქვს ხსენებულ საქმესთან.

სხვათა შორის, სამარშრუტო ტაქსების ბიზნესის მფარველი მოხელის თაობაზე კულუარული საუბრები კარგა ხანია მიმდინარეობს და მის შესახებ დეტალური ინფორმაცია ახლანდელ გენერალურ პროკურორსაც მოეპოვება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** იყალთოს გორაზე მდებარე ჯვართამაღლების სახელობის მშენებარე ტაძარი გაძარცვეს. საპატრიარქოს ცნობით, დაუდგენელი პირები ეკლესიაში ფანჯრიდან შეიპარნენ და იქ არსებული თანხა მთლიანად გაიტანეს. მძარცველებმა ტაძრიდან გაყიდული სანთლის ფული წაიღეს და შესაწირი ყუთიც გაიტაცეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ დილით ქუთაისში, რუსთაველის გამზირზე მკვლელობა მოხდა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა "მაგთის" საბაზო სადგურის ინჟინერი, 25 წლის თორნიკე სვანიძე გულ-მკერდის არეში ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობით გარდაცვლილი ნახეს. ქუთაისელმა სამართალდამცველებმა დანაშაული გუშინვე გახსნეს და დაადგინეს, რომ მკვლელობა ქუთაისელმა, ასევე "მაგთის" საბაზო სადგურის ტექნიკოსმა, 32 წლის ნიკოლოზ ლომინაშვილმა ჩაიდინა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი ლომინაშვილი მიმალულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** სამართალდამცველები აგრძელებენ იმ მსჯავრდებულების ძებნას, რომლებიც 14 ივნისს გეგუთის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაიქცნენ. გუშინ საღამოს სამტრედიის პოლიციას კიდევ ერთი პატიმარი ჩაბარდა. 23 წლის ლაშა ფესვიანიძე ნებაყოფლობით გამოცხადდა რაიონულ პოლიციაში. გეგუთის კოლონიიდან 41 პატიმარი გაიქცა. სამართალდამცველებმა, ჯერჯერობით, უკან მხოლოდ 11-ის დაბრუნება შეძლეს, დანარჩენებზე ძებნაა გამოცხადებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის მინისტრის გიორგი პაპუაშვილის განცხადებით, ამ დროისთვის გეგუთის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცეული 41 პატიმრიდან "15-მდე უკვე დაკავებულია". გიორგი პაპუაშვილის თქმით, მართალია, პატიმრებს ორდღიანი ულტიმატუმის ვადა ამოეწურათ, რა დროსაც მათ ნებაყოფლობით ჩაბარების შემთხვევაში ახალი სასჯელი აღარ დაემატებოდათ, მაგრამ თუ გაქცეული პატიმრები ნებაყოფლობით გამოცხადდებიან, მაშინ ეს მათთვის სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვლება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალი წლიდან დედაქალაქის ქუჩებს საგზაო პოლიციისა და უბნის ინსპექტორების ნაცვლად ქალაქის საპატრულო სამსახურის თანამშრომლები გააკონტროლებენ. თბილისის საპატრულო სამსახურის ჩამოყალიბება 2004 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ნაწილს წარმოადგენს და მის ასამოქმედებლად 20 მილიონი ლარის გამოყოფა იგეგმება. თბილისის ვიცე-პრემიერის თემურ ქურხულის განცხადებით, სექტემბრის დასაწყისში 1500 ვაკანსიაზე გამოცხადდება კონკურსი და მასში გამარჯვებული პოლიციელები გადამზადების სამთვიან კურსებს გაივლიან. ქურხულის განმარტებით, პროექტის მიხედვით, ქალაქი 80 სექტორად დაიყოფა. თბილისის მასშტაბით 24 საათის განმავლობაში 137 საპატრულო მანქანა იმოძრავებს საჭირო ეკიპირებით, ხოლო თითო პოლიციელის ხელფასი 600 ლარი იქნება. ამჟამად მუნიციპალიტეტი 450 პოლიციელს აფინანსებს. მათი ხელფასი 70-დან 130 ლარამდეა განსაზღვრული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, თბილისელი კახა ბერძენიშვილი, რომლისგანაც ამოიღეს 0.118 გრ ჰეროინი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ოქროყანაში მცხოვრები დავით ქორიძე და თბილისელი კონსტანტინე ქათამაძე, რომლისგანაც ამოიღეს პისტოლეტები "მაკაროვი" და "ვალტერი" თითო მჭიდით. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველო. ასევე იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავეს თბილისელი ხვიჩა მურადიანი, რომლისგანაც ამოიღეს თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამსახური. **მედია-ნიუსი**

www.liberty.ge

# თავისუფლება

N5

19 ივნისი, შაბათი

„თავისუფლების ინსტიტუტის" საგაზეთო ჩანართი

## მშობლებისა და მასწავლებლების რეკომენდაციები და მოთხოვნები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ

- შემცირდეს კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა;
- შემცირდეს მასწავლებელთა განაკვეთის საათები;
- გამარტივდეს სასწავლო პროგრამა;
- შემცირდეს კერძო ინსტიტუტები;
- გაიზარდოს მასწავლებელთა ხელფასები;
- უმაღლესში ჩაბარებისას ყურადღება მიექცეს სკოლის ატესტატის ნიშნებს;
- სკოლებში მოსწავლეთა კვებისათვის ისეთი გარემო შეიქმნას, რომ აღსაზრდელმა თავისი ასაკის და ჯანმრთელობის შესაბამისი საკვები მიიღოს;
- რატომ გაუქმდა მედალი? მედალი უნდა არსებობდეს და მედალოსანი ბავშვები უმაღლესში უგამოცდოდ უნდა ირიცხებოდნენ;
- კლასის დამრიგებელმა, მისი ფუნქციების მიხედვით, დამატებითი ანაზღაურება უნდა მიიღოს;
- მოეწყოს შეხვედრები სხვადასხვა სკოლის მასწავლებელთა შორის (მაგალითად, წარმატებული და არაწარმატებული სკოლების პედაგოგებს შორის), რათა შემუშავდეს სტრატეგია, აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების სპეციალური პროგრამის შემუშავების მიზნით;
- პედაგოგი არ უნდა იყოს ვალდებული, იხდიდეს "საშემოსავლოს" - ჩვენ ხომ პროდუქციას არ ვაწარმოებთ;
- უნდა მომზადდეს პედაგოგთა გადამზადების პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება არა მხოლოდ საგნის ცოდნა, არამედ ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილებაც, რადგან პიროვნების ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდ როლს სწორედ დაწყებითი და საშუალო სკოლის პედაგოგები ასრულებენ;
- ბავშვები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს, არ არიან მზად უმაღლესი განათლების მისაღებად. უმეტეს შემთხვევაში, მათი პროფესიის არჩევა მშობლების გადაწყვეტილების მიხედვით ხდება. ამიტომ ვფიქრობ, სასურველია, სკოლის შემდგომ განათლებას მეტი პრიორიტეტი მიეცეს და ბავშვსაც მეტი თავისუფლება ექნება გადაწყვეტილების მიღებისას;
- მიაქციეთ ყურადღება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში კაბინეტ-ლაბორატორიების თანამედროვე დონეზე აღჭურვას;
- დაწყებით კლასებში მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უფასოდ უნდა ეძლეოდეთ. იგივე უნდა ვრცელდებოდეს მაღალი კლასების წარჩინებულ მოსწავლეებზეც;
- თუ ჩვენ პრეტენზია გვაქვს ახალი სახელმწიფოს შენებისა, სასურველია და აუცილებელიცაა რეფორმა ყველა სფეროში გატარდეს; პირველ რიგში კი - განათლებისა და ჯანდაცვის სისტემაში. მაგრამ, ჩვენი დიდი სურვილია, ეს რეფორმა დაფუძნებული იყოს ეროვნულობაზე; მოხდეს ახლისა და ძველი ტრადიციების სინთეზი, ისე, რომ არც ჩვენი ეროვნული ცნობიერება დაკნინდეს და არც ერთ ადგილზე იყინებოდეს;
- უნდა მოხდეს მასწავლებელთა კონტინგენტის პირადი საქმეების შემოწმება. სკოლიდან არაპროფესიონალი მასწავლებლები უნდა გათავისუფლდნენ;
- უნდა ჩატარდეს შერჩეული პედაგოგების გადამზადება თანამედროვე მეთოდების მიხედვით;
- საპენსიო ასაკის მასწავლებლებს უნდა მიეცეთ საარსებო მინიმუმი პენსიის სახით, რათა ასპარეზი მიეცეთ ახალგაზრდა კვალიფიცირებულ სპეციალისტებს;
- უნდა შეიცვალოს და გადახალისდეს სასკოლო ინვენტარი მოსწავლეთა ასაკის მიხედვით;
- სასწავლო გეგმების შემუშავებაში ექსპერტებმა და ფსიქოლოგებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა;
- სკოლის თავდაცვის მიზნით, შემოღებულ იქნეს პირადობის დამადასტურებელი ბარათები მშობლებისათვის, ხოლოს კომპიუტერული კლას-კაბინეტებისათვის ჩაირთოს სიგნალიზაციის სისტემა;
- ჩემი ნება რომ იყოს, სკოლაში რომელიმე პროფესიულ კურსს შემოვიღებდი;
- უნარშეზღუდული ბავშვებისათვის დამატებითი მეცადინეობის წრეებს შევქმნიდი;
- სკოლის მიმდებარე ტერიტორია, მისი ეზობაღი მოეწყოს ისე, რომ აღსაზრდელთათვის ის "იმედის ბაღად" იქცეს;
- პედაგოგებს სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა უფასოდ უნდა დაურიგდეთ;
- სასკოლო სახელმძღვანელოებს პრაქტიკოსი მასწავლებლები უნდა ადგენდნენ.

# თავად შევადგინოთ სკოლის ბიუჯეტი

სექტემბრიდან საშუალო სკოლის მშობლებსა და პედაგოგებს ბევრად მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, ვიდრე ეს ადრე ჰქონდათ. პირველ რიგში, მშობლებმაც და პედაგოგებმაც ახლა უკვე რეალურად უნდა აირჩიონ სამეურვეო საბჭოს წევრები. სამეურვეო საბჭოს წევრებმა კი რეალურად უნდა იზრუნონ სკოლის ბიუჯეტების შედგენაზე და მათ ხარჯვაზე კონტროლი ახორციელონ.

მშობლებსა და მასწავლებლებს ამ საქმეში რომ დახმარებოდნენ, თავისუფლების ინტიტუტმა თავის პროექტში ბიუჯეტირების სახელმძღვანელოს შედგენა ჩასვა. სახელმძღვანელოს შემდგენელმა, ექსპერტ-ეკონომისტმა ნინო მეტრეველმა წიგნის პირველადი ვარიანტი შერჩეული ათი სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრებს წარუდგინა და მათ სამდღიანი ტრეინინგი ჩაუტარა. წიგნის ავტორისათვის საინტერესო იყო, როგორ აღიქვამდნენ მასალას სემინარების განმავლობაში. სემინარებზე მიღებული გამოცდილების შედეგად იგი წიგნის კორექტირებას მოახდენს და საზოგადოებას სახელმძღვანელოს საბოლოო ვარიანტს წარუდგენს. თუმცა, როგორც ქალბატონი ნინო ამბობს, ჯგუფის წევრები მასალას იმდენად ენთუზიაზმით მოეკიდნენ და ყველაფერი ისე კარგად აღიქვეს, რომ წიგნში დიდი კორექტივების შეტანა საჭირო არ გახდება.

სემინარებზე სამეურვეო საბჭოს წევრები სწავლობდნენ, როგორ უნდა მოახდინონ პირველ ეტაპზე მასწავლებლების და მშობლების გამოკითხვა; როგორ შეადგინონ ამ გამოკითხვის საფუძველზე სტრატეგიული გეგმის მონახაზი, შემდეგ ისევ გააცნონ იგი მშობლებსა და მასწავლებლებს და როგორ უნდა შეიტანონ, მათი აზრის გათვალისწინებით, გეგმაში საბოლოო კორექტივები. სტრატეგიული გეგმის შემუშავება მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ შეიძლება. სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში შედგენილი ბიუჯეტის განხორციელებაზე კონტროლიც სამეურვეო საბჭოს მოვალეობაა.





[illegible] ბაბაიძის ფოტოები

# როგორია დამოკიდებულება რეფორმის მიმართ

*თავისუფლების ინსტიტუტი ორგანიზაცია ALPE-თან ერთად ატარებს პროექტს, რომელიც სკოლების მართვაში მშობელთა და მასწავლებელთა აქტიურ ჩართვას ითვალისწინებს. თავისუფლების ინსტიტუტის დაკვეთით, BCG ჯგუფმა, მშობლებისა და მასწავლებლების მონაწილეობით, ფოკუს ჯგუფები ჩაატარა. გთავაზობთ ჯგუფის მოდერატორების - მარინე ჭავჭანიძისა და ნადიკო თავაძის მიერ დაწერილი კვლევის მოკლე შედეგებს.*

რესპოდენტებს განათლების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ არ გააჩნდათ სრული ინფორმაცია. ინფორმაციას იღებდნენ ნაცნობებისგან ან კოლეგებისაგან და ეს ინფორმაცია არასწორად, ძირითადად უარყოფითი კუთხით, იყო ინტერპრეტირებული მათ მიერ. ინფორმაციის ნაკლებობა და არასრულობა არის სწორედ ერთ-ერთი მიზეზი რესპოდენტების უარყოფითი დამოკიდებულებისა განათლების რეფორმისა და განათლების მინისტრის მიმართ.

მშობლები თვლიდნენ, რომ უნდა არსებობდეს უკუკავშირი სამინისტროს, სკოლას და მშობლებს შორის და შემოიტანეს წინადადება, რომ ყოფილიყო სამინისტროსთან საფოსტო ყუთი, რომელშიც ისინი თავის მოსაზრებებსა და წინადადებებს მიაწოდებდნენ განათლების სამინისტროს. თუმცა, ეეჭვებოდათ, რომ მათ წინადადებებს ვინმე წაიკითხავს და გაითვალისწინებს.

მშობლების უმრავლესობა და მასწავლებლების ნაწილი მზად იყო უსასყიდლო თანამშრომლობაზე სამინისტროსთან რეფორმების განსახორციელებლად.

რესპონდენტების აღშფოთებას იწვევდა განათლების მინისტრისა და, შესაბამისად, რეფორმაში მოსალოდნელი ცვლილებები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიმართ ჰაგიოგრაფიისა და "ვეფხისტყაოსნის" სწავლების საკითხები. გამოთქვეს აზრი, რომ შესაძლებელია, ეს ნაწარმოებები შექცეული მიმდევრობით ესწავლათ. გარდა ამისა, ისინი მიიჩნევდნენ, რომ ბავშვებმა ეს ნაწარმოებები ადაპტირებული სახით კი არ უნდა შეისწავლონ, არამედ კომენტარებდართული სახელმძღვანელოთი, რადგან ეს განსაკუთრებულ ესთეტიზმსა და ნაციონალური სიამაყის გრძნობას აღზრდის მოსწავლეებში.

ასევე, მათ აშფოთებდათ სექსუალური განათლების საკითხების მიმართ დამოკიდებულება და თვლიდნენ, რომ სასურველი იქნებოდა, ეს საკითხები შესულიყო ჰიგიენის ზოგად კურსში ან ბიოლოგიის შესაბამის კურსში.

აზრი გაიყო რელიგიის ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით. ზოგი თვლიდა, რომ სკოლებში მხოლოდ მართლმადიდებლური რელიგიის დოგმები უნდა ისწავლებოდეს (საღვთო სჯული), ხოლო რელიგიების ისტორია შესაძლებელია - ისტორიის კურსის ფარგლებში. ნაწილი მშობლებისა წინააღმდეგი იყო საღვთო სჯულის გაკვეთილებისა და მიესალმებოდნენ რელიგიების ისტორიის შესწავლას. ამან შეუწყნარებელი და უკომპრომისო კამათი გამოიწვია და საბოლოოდ ვერანაირი შეთანხმება ამ თემაზე ვერ მოხერხდა.

### სასკოლო ფონდებთან დამოკიდებულება

რესპონდენტები მიიჩნევდნენ, რომ სასკოლო ფონდების არსებობა ერთადერთი გზა იყო სკოლის გადარჩენისათვის. ამ თანხებით შესაძლებელი გახდა სასწავლო პროცესისიათვის აუცილებელი მინიმალური პირობების შექმნა. თუმცა, ეთანხმებოდნენ აზრს, რომ ფონდების თანხების აკრეფა არ ხდებოდა მხოლოდ ნებაყოფლობის საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ სკოლებში, სადაც ფონდის თანხას აგროვებდა და განკარგავდა მშობელთა კომიტეტი (სამეურვეო საბჭო), ფონდის თანხების განკარგვა იყო გამჭვირვალე და მიზნობრივი. ისინი ეთანხმებოდნენ აზრს, რომ ეს თანხები ნებაყოფლობით უნდა აკრეფილიყო და სამეთვალყურეო საბჭოს განკარგვაში ყოფილიყო.

### 12-წლიანი სწავლებისადმი დამოკიდებულება

მშობელთა უმრავლესობა კატეგორიულად წინააღმდეგი გახლდათ 12-წლიანი სწავლებისა. მათი აზრით, ასეთი მეთოდით სასწავლო პროგრამები არ განიტვირთება, რადგან სკოლაში ისედაც ჩაშლილია სწავლის პროცესი და სწავლის გახანგრძლივება მხოლოდ მოწაფეების უსაქმურ არსებობას გაახანგრძლივებდა.

მათ მიაჩნიათ, რომ 12-წლიანი სწავლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თუ იარსებებს შემდეგი სქემა:

1. ყოფილიყო აუცილებელი ზოგადსაგანმანათლებლო კურსი და შემდგომ შექმნილიყო კოლეჯის ან პროფესიული სასწავლებლების სისტემა, სადაც მოწაფეები დაასრულებდნენ სასკოლო პროგრამას და, პარალელურად, არა მარტო მოემზადებოდნენ პროფილით უმაღლესში ჩასაბარებლად, არამედ რაიმე, მონათესავე და ნაკლებკვალიფიციურ პროფესიასაც დაეუფლებოდნენ.
2. ასეთ შემთხვევაში, მშობლები აიცდენდნენ ბავშვების უმაღლესი სასწავლებლებისათვის მომზადების პროცესს, ხოლო ისინი, ვინც ამ კურსს წარმატებით ვერ აითვისებდა, უკვე გარკვეული პროფესიით შეძლებდნენ მუშაობას.

### სასწავლო პროგრამების შესახებ

რესპონდენტები მომხრენი არიან უნიფიცირებული აუცილებელი სასკოლო პროგრამისა ყველა საკითხში. მხოლოდ სპეციალიზირებულ სკოლებში მიაჩნდათ გამართლებულად გაძლიერებული სწავლება სპეციალურ საგნებში. ეს, მათი აზრით, ერთნაირ სასტარტო პირობებს შეუქმნიდა მოსწავლეებს.

პროგრამების გადატვირთულობაზე ყველა მშობელი საუბრობდა. მათ მიაჩნდათ, რომ შესაძლებელია პროგრამების გამარტივება და შეკვეცა, ძირითადად, საბუნებისმეტყველო საგნებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მათი ურთიერთკავშირების წინ წამოწევისა და ერთ სისტემაში მოქცევის ხარჯზე.

მათ მიაჩნიათ, რომ მათემატიკის სწავლების მოცულობა კი არა, ფორმები უნდა შეიცვალოს და მეტი ყურადღება მიექცეს ლოგიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

განსაკუთრებულად აღინიშნა საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიისა, ენისა და ლიტერატურის პროგრამების დახვეწის სურვილი. ისინი თვლიდნენ, რომ მოსწავლეებისათვის ეს ცოდნა აუცილებელი და საჭიროა; ამავდროულად, მიაჩნდათ, რომ შემუშავებული უნდა იყოს პროგრამები სამოქალაქო სამართალში, გარემოსდაცვასა და პირად ჰიგიენაში.

### სახელმძღვანელოები

სახელმძღვანელოების თაობაზე მშობლები ერთხმად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას - მათი ხარისხის (პოლიგრაფია, შრიფტი, ქაღალდი), შინაარსის, რაოდენობის და სიძვირის მიმართ. მათ მიაჩნდათ, რომ უნდა იყოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ერთიანი პროგრამის შესაბამისი ძირითადი სახელმძღვანელო და მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უფლება, საჭიროების შემთხვევაში, მოიხმაროს დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც, ასევე, რეკომენდებული უნდა იყოს სამინისტროს მიერ.

### ობიექტური შეფასებები (მასწავლებლებისათვის და მოწაფეებისათვის)

რესპონდენტებმა გამოთქვეს აზრი ობიექტური შეფასებების კრიტერიუმების აუცილებლობაზე მოსწავლეებისთვისაც და მასწავლებელთათვისაც. ისინი თვლიან, რომ ვინაიდან მასწავლებლები შეფასებისას სუბიექტური კრიტერიუმებით სარგებლობენ და ამ სუბიექტივიზმის დაძლევა შეუძლებელია, ბავშვების ცოდნის შესაფასებლად უნდა არსებობდეს ობიექტური შეფასების სისტემა, რომელიც შესაძლებელია, განხორციელდეს ერთდროული და ხშირი (სემესტრში ერთხელ მაინც) ტესტირებით. ისინი თვლიან, რომ ტესტირების საშუალებით შესაძლებელი იქნება არა მარტო მოწაფეების, არამედ მასწავლებელთა შეფასებაც. ტესტირების საშუალებით, შესაძლებელია, შეიქმნას საშუალო სტანდარტი, რაც უვარგისი მასწავლებლების განთესვისა და საუკეთესოების წახალისებას შეუწყობს ხელს. ტესტირების სტრუქტურაში ისინი მისაღებად მიიჩნევდნენ სხვადასხვა სიძნელის კოეფიციენტის მქონე შეკითხვებს, რომლებიც ასახავენ მოსაზრების სისხარტეს, ლოგიკური აზროვნების უნარსა და ა.შ.

### სკოლის ფინანსური დამოუკიდებლობა და ბიუჯეტირება

უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტებს გაუჭირდათ სკოლის ფინანსური დამოუკიდებლობის შესახებ მსჯელობა. მათ ვერ წარმოიდგინეს, როგორ და რა გზებით შეიძლება ხდებოდეს სკოლის ფინანსირება, რადგან სკოლის ძირითად დამფინანსებლად სახელმწიფოს მოიაზრებდნენ. თუმცა, საბოლოოდ დაასკვნეს, რომ სკოლის ფინანსირება შესაძლებელია შემოწირულობების საშუალებით, მაგრამ ძირითად ნაწილს უნდა აფინანსებდეს სახელმწიფო.

მათი აზრით, სკოლის ბიუჯეტირებას უნდა ახდენდეს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან ერთად, ხოლო ბიუჯეტს უნდა განკარგავდნენ მშობელთა და მასწავლებელთა სამეურვეო საბჭოები, რომლის წევრებსაც სპეციალური განათლება უნდა ჰქონდეთ ფინანსების მართვის საკითხებში. მშობლების აზრით, სამეურვეო საბჭოებში დასაქმებულ მშობლებზე უნდა გაიცემოდეს ხელფასი და მათთვის ეს უნდა იყოს სამუშაო ადგილი, რადგან მხოლოდ ენთუზიაზმზე მუშაობას მშობელი ვერც შეძლებს და არც მოისურვებს.

### გაკვეთილების ფორმატი (ინტერაქტიული სწავლება)

მშობელთა ნაწილისათვის ინტერაქტიული გაკვეთილების ფორმატი მისაღები იყო და მიესალმებოდნენ მას. მეორე ნაწილი ეჭვს გამოთქვამდა იმის თაობაზე, რამდენად მიზანშეწონილია, ბავშვს მხოლოდ სახალისო ფორმით მიეწოდებოდეს სასწავლო მასალა, რადგან ეს შეუშლის ხელს მასში გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავებას - წიგნთან მუშაობის ჩვევას, ყურადღების კონცენტრაციის უნარს, სიძნელეების გადალახვისა და დამოუკიდებლად წიგნზე მუშაობის ჩვევებს. შეთანხმდნენ, რომ ასეთი ტიპის გაკვეთილები მეტად სასურველია დაბალი კლასის მოსწავლეებთან, ისიც - გარკვეული სიხშირით.

მასწავლებლები უდავოდ მიიჩნევდნენ იმ ფაქტს, რომ ამ ტიპის გაკვეთილის ჩასატარებლად მასწავლებლები მზად არ არიან.

**თავისუფლების ინსტიტუტი იწყებს სამოქალაქო სწავლების პროგრამას, სადაც მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ სკოლის მასწავლებლებს. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია თავისუფლების ინსტიტუტში: გრიბოედოვის 23. ტელ: 936615.**
**საკონკურსო განაცხადების მიღება - 30 ივნისამდე.**

**თავისუფლების ინსტიტუტში ფუნქციონირებს სამართლებრივი კლინიკა, რომლის ძირითადი მიზანია, დაეხმაროს პირებს, სკოლაში მათი დარღვეული უფლებების აღსადგენად. თუ ირღვევა თქვენი ან თქვენი შვილის უფლებები, გთხოვთ, მიმართოთ თავისუფლების ინსტიტუტში ქეთევან კობიაშვილს.**



გვერდი მომზადებულია ფონდ "ღია საზოგადოების ინსტიტუტის" მხარდაჭერით

## დღეს წიგნის VI ფესტივალი იხურება



დღეს წიგნის ფესტივალის ბოლო დღეა. ასე რომ, თუ აქამდე ვერ მოახერხეთ ფილარმონიაში მისვლა, უნდა იჩქაროთ - სალამომდე არცთუ დიდი დრო დარჩა.

B2

## ყველაზე თავისუფალი კინო-მხატვარი



გოგიტა ჭყონიაზე ორიოდე სიტყვით ეს შეიძლება ვთქვათ: ექსცენტრული ექსპერიმენტატორი და ნონკონფორმისტი 80-იანელთა თაობიდან.

B3

## მთავარი მატჩი წინ არის




სკანდინაველებმა ბულგარეთის ნაკრები ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაამარცხეს და ჯგუფიდან გასვლის უპირობოდ კარგ შანსს ინარჩუნებენ.

B4

შაბათის სტუმარი

# პრიმა, რომელიც ვერ ამხელს, რომ ბალერინაა

მაია ჭალაგანიძე

*არა, ბალეტი არ უყვარდა, არც კი იცოდა, რა იყო ეს... მოძრავი ბავშვი იყო, არ ჩერდებოდა. სულ მღეროდა და ცეკვავდა. 6 წლისა სუხიშვილების სტუდიაში და კონსერვატორიაში ერთდროულად მიაბარეს.. 9 წლისა კი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიიღეს გამოსაცდელი ვადით. დედა წინასწარ გააფრთხილეს – დაბალია, შეიძლება გაუჭირდეს და არ გეწყინოთ, თუ გავრიცხავთო... როგორც ხვდებით, არ გარიცხეს და დღეს ის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის პრიმა ბალერინაა. ცოტა ხნის წინ ლალი კანდელაკი ნინო ანანიაშვილთან ერთად იაპონია-ინგლისში და ამერიკაში ცეკვავდა. ლალის პირველი პედაგოგი ნინა დიდებულიძე იყო. საბოლოოდ დაამთავრა ეს სასწავლებელი, მაგრამ ისეთი პერიოდიც ჰქონდა, თავად აპირებდა იქიდან წამოსვლას. მხოლოდ პირველი კურსიდან მიხვდა, რომ ბალერინობა უნდოდა და აი, რატომ:*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*როგორც კი დავინახავ, რომ დღეს უარესად ვცეკვავ, ვიდრე გუშინ, დავინახავ, რომ აღარ ვვითარდები, იმავე დღეს აღარ ვიცეკვებ.*

აღარ შეიძლება ამდენ ხანს ერთსა და იმავე კოსტიუმებში და ერთი და იგივე ცეკვის შესრულება. განახლებული სპექტაკლების ნახვა მინდა.

ყოველდღე ყოველ სპექტაკლზე უნდა ამტკიცო, რომ იმაზე უკეთესი ხარ, ვიდრე გუშინ იყავი.

მინდა, რომ თეატრი ისეთი იყოს, როგორიც ვახტანგ ჭაბუკიანის დროს იყო - ცხენოსანი პოლიცია იდგა და შემთხვევითი ადამიანი სპექტაკლზე ვერ მოხვდებოდა.

- რაც საჭირო იყო, ყოველთვის ვაკეთებდი. არ მინდოდა, ვინმეს ეთქვა, ეს არ ვარგა, ვერ იცეკვებსო... ზარმაცი ვიყავი, მაგრამ საკუთარ თავს ხშირად ვაიძულებდი და ყველაფერს მაღალ დონეზე ვაკეთებდი.

პირველ კურსზე კი შევიტყვე, რომ ვახტანგ ჭაბუკიანს თავის კლასში გოგონების აყვანა სურდა. იქამდე მხოლოდ ვაჟების პედაგოგი იყო. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს არჩევდა ბავშვებს. ჭაბუკიანთან მოხვედრის შანსი რომ გამიჩნდა, პირველი ორი კურსი სერიოზულად ვიმუშავე... მეორე კურსის ბოლოს კი ვახტანგმა ამიყვანა. ეს იყო მისი უკანასკნელი გამოშვება...

**- როგორი პედაგოგი იყო ჭაბუკიანი?**

- პედაგოგად არასდროს აღვიქვამდი. მისი ორი სიტყვაც კი დიდი გაკვეთილი იყო ჩემთვის. მას უზარმაზარი გამოცდილება და სახელი ჰქონდა. ვახტანგს რომ დავინახავდი, ყველაფერი მეხსნებოდა - სიზარმაცე, დაღლილობა და სხვა. ზედმეტად ყურადღებიანი ბავშვი ვიყავი და ამიტომ ვუყვარდი ძალიან. ყველაზე მეტად უყურადღებობა აბრაზებდა. მიუხედავად იმისა, რომ ხნიერი იყო, მაინც დიდი ენთუზიაზმით, სულითა და გულით ატარებდა გაკვეთილებს. უყვარდა, როცა ყველა დაძაბული ვიყავით და ვმუშაობდით.

ჭაბუკიანამდე უამრავი პედაგოგი გამოვიცვალე. ჩემში ყველა მათგანი ამჩნევდა რაღაცას, მაგრამ ამ ყველაფერს თავი მხოლოდ ვახტანგ ჭაბუკიანმა მოუყარა და რაც კი ოდესმე ვინმეს დაუნახავს, ყველაფერი ერთად შეკრა.

**- თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში როდის მოხვდით?**

- სასწავლებლის დამთავრებისთანავე დასში პირდაპირ სოლისტად ჩავირიცხე, კორდებალეტში არასდროს მიცეკვია. პირველი როლი გოგი ალექსიძის დადგმაში, "კონკიაში" ვიცეკვე. მერე ყველაფერი მქონდა - "გედების ტბა", "დონ კიხოტი", "ბაიადერა"...

1997 წლიდან თურქეთში, ქალაქ მერსინში მიმიწვიეს. იქ 6 წელი დავყავი. 2000 წელს კი ვარნის საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი და ოქროს მედალოსანი გავხდი. ამის შემდეგ ვინოგრადოვმა მიმიწვია სეულში და როგორც პრიმა, თვენახევრიან ტურნეში ევროპაში გავემგზავრე. ევროპის ყველა თეატრში ვიცეკვე წამყვანი პარტიები. მერე ფრანგმა ბალეტამაისტერმა მაიკლ ბობოტმა ბუდაპეშტში სამუშაოდ ერთი წლით მიმიწვია. ბუდაპეშტის შემდეგ კი თბილისში ჩამოვედი, ჩემს შვილთან, რომელმაც ახლა დაამთავრა მაკა მახარაძის სტუდია და ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გადავიდა.

**- მონაცემები აქვს?**

- ვერ ვიტყვი, რომ არ აქვს, მაგრამ არ მინდა, ხელოვნების ამ დარგს გაჰყვეს. ეს ძალიან რთული საქმეა. მაქსიმალისტი ვარ და თუ ის არ იქნება, რაც მინდა, ჯობს, სულ არ იცეკვოს.

**- თქვენ საუბრობთ როგორც მშობელი თუ როგორც ბალერინა, რომელსაც შვილი მძიმე შრომისთვის და შესაძლო იმედგაცრუებისთვის ენანება...**

- დღესდღეობით საქართველოში ყველაზე კარგ ბალერინად ვითვლები და ვერ ავიტან, რომ ჩემი შვილი ამ მიზეზით "ამოქაჩონ," ჩემთვის ეს მიუღებელია. შესაძლებლობები ერთია, მონდომება მეორე და იღბალი - მესამე. ეს ყველაფერი ერთად უნდა იყოს.

**- ძველი, კლასიკური რეპერტუარი, პოზიციები, ვარიაციები ანბანივითაა, ყველა მოცეკვავემ უნდა იცოდეს. საქართველოში ახერხებენ ამის საფუძველზე რაღაც ახლის, უფრო თანამედროვის შექმნას?**

- ბუდაპეშტში კლასიკა არ მიცეკვია, თანამედროვე ბალეტს, ე.წ. ნეოკლასიკას ვცეკვავდი პუანტებზე. სიმართლე გითხრათ, მუდმივად კლასიკის ცეკვა ცოტა მოსაბეზრებელია, ზოგჯერ რაღაც ახალი გინდა. ნეოკლასიკა ძალიან მომეწონა. უფრო გახსნილი ხარ, სხეულს უფრო ფლობ. როდესაც ჩამოვედი, თბილისში მსგავსი არაფერი იყო. თამაზ ვაშაკიძის მოღვაწეობას თუ არ ჩავთვლით, თანამედროვე ბალეტი არ არსებობს, ეს არავის გაუკეთებია, ოპერის სცენაზე აქამდე არავის დაუდგამს.

**- როგორც ვიცი, თანამედროვე ქართულ ბალეტს ახლახან არსებობიდან ხუთი წელი შეუსრულდა.**

- დიახ. თამაზს ყოველთვის ვამხნევებდი და ვეუბნებოდი, რომ ძალიან კარგ რამეს აკეთებს. ხალხმა სულ სხვა თვალით უნდა შეხედოს ბალეტს.

**- მსოფლიოშიც ასეა?**

- მსოფლიოს დიდ თეატრებში კლასიკა, დაახლოებით, თვეში ერთხელ გადის, დანარჩენი სულ თანამედროვე ბალეტია.

**- საქართველოში, თითქოს, განელდა ბალეტისადმი ინტერესი. ამის მიზეზი არის ცუდი რეპერტუარი, ცუდი შემსრულებელი თუ საერთოდ მაყურებელი გახდა კლასიკური ჟანრების მიმართ გულგრილი?**

- პრობლემა არის მოცეკვავე, პერსონა, ვისზეც შეიძლება სპექტაკლის დადგმა, ან კლასიკის განახლება... აღარ შეიძლება ამდენ ხანს ერთსა და იმავე კოსტიუმებში და ერთი და იგივე ცეკვის შესრულება. იმდენჯერ ვიცეკვე "დონ კიხოტი", ასე მგონია, იქ დავიბადე... განახლებული სპექტაკლების ნახვა მინდა. ცეკვა ჩემი პროფესია და საქმეა, მაგრამ მეც ველარ ვცეკვავ და ხალხი როგორღა შეხედავს?

**- არის საქართველოში ამის ინტერესი?**

- თითქოს უნდა იყოს. რამდენიმე ხნის წინ თანამედროვე ცეკვებით რაღაც უცხოური დასი ჩამოვიდა. მოძრაობებს აკეთებდნენ, მუსიკა იყო, ფეხშველები იდგნენ, მაგრამ ეს არ იყო ბალეტი. ქართულმა დასმა რომ მსგავსი რამ გააკეთოს, დაგვცინებენ. მათ გასტროლზე კი ანშლაგი იყო. რატომ დადიან ამ სპექტაკლებზე?! პრესტიჟია ბილეთში 100 ლარის მიცემა? აი, ეს მიკვირს, ამას ვერ ვიგებ...

**- თანამედროვე ქართულ ბალეტს მხარდამჭერები ჰყავს?**

- ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თამაზ ვაშაკიძეს იმისთვის, რომ "მატა ჰარი" ჩემთვის დადგა. ვიყავი პირველი ქართველი ბალერინა, რომელმაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში თანამედროვე ბალეტი იცეკვა... თუმცა, ეს ხაზგასმულად ბალეტი არ იყო. უფრო თანამედროვე დადგმა განხორციელდა, სადაც ყველაფერი ერთად შეირწყა.

**- რა აიღეთ კლასიკიდან?**

- ნეოკლასიკური პატარა ვარიაციები, დეტალები, რაც ჩემი პლასტიკით შემეძლო გამეკეთებინა. თამაზს დიდი პოტენციალი და პერსპექტივები აქვს და მხოლოდ დამხმარე, გვერდით მდგომი სჭირდება.

**- რა ურთიერთობები აქვთ თბილისის ოპერის ბალეტის მოცეკვავეებს მსოფლიოში ცნობილ ქართველ მოცეკვავეებთან? ვინმემ რომ მათთვის თანამედროვე სპექტაკლი დადგას, მშობლიურ თეატრში იცეკვებენ?**

- არ ვიცი, ამის შესახებ ყველას საკუთარი მოსაზრება და ამბიცია აქვს. ჩვენს თეატრში კი პრიმა მხოლოდ მე ვარ, სხვა არ არის.

**- ქორეოგრაფიულის გოგონები სად მიდიან?**

- მოდიან თეატრში და საკმაოდ კარგი შესაძლებლობები აქვთ, მაგრამ კორდებალეტიდან ვერ გამოდიან. არავინ არ აცეკვებს და რატომ, ვერ გავიგე... ერთი-ორი წლის მოსული გოგონები რატომ უნდა იდგნენ კორდებალეტში, როდესაც მათზე გაცილებით ნაკლები შესაძლებლობების მქონენი ცეკვავენ წამყვან პარტიებს?

**- პრობლემა როგორ უნდა გადაწყდეს?**

- თეატრის ხელმძღვანელობა უნდა შეიცვალოს და მოვიდეს ისეთი, ვინც მოცეკვავეებს დაინახავს და ეს ხელოვნება უყვარს.

**- დღეს საუკეთესო ფორმაში ხართ. ჭაბუკიანის მოსწავლე ძველი თაობის ბალერინად იწოდება?**

- ასაკს გულისხმობთ, არა? ყველას თავისი პოტენციალი აქვს. შეიძლება, 8 წლის მერეც შევძლო ცეკვა, მაგრამ როგორც კი დავინახავ, რომ დღეს უარესად ვცეკვავ, ვიდრე გუშინ, დავინახავ, რომ აღარ ვვითარდები, იმავე დღეს აღარ ვიცეკვებ. ჩემი წლოვანება არის პიკი იმისთვის, რომ ბალერინამ კიდევ რაღაც შეიძინოს. 33-34 წლიდან ბალერინა უკან მიდის.

**- პლისეცკაია?**

- ეს გამონაკლისია. პლისეცკაია ისეთი სიდიდის ფიგურაა, ისეთი ბალერინა იყო, რომ სულ რომ არ იცეკვოს და სცენაზე ერთი ხელი გაიქნიოს, ესეც საკმარისია.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში მაია პლისეცკაიამ აღნიშნა, რომ ბალეტში სპორტი შემოვიდა, ეთანხმებით?**

- დიახ, ეს სულ უფრო ინტენსიურად ხდება. ხშირად ილეთებს გვაჩვენებენ, შესრულება კი ნაკლებადაა. მოცეკვავე ახტება, დაატრიალებს 10 პირუეტს - ეს არ არის ბალეტი. ჩემი აზრით, ეს ევროპიდან შემოდის (მართლა დიდი თეატრებს არ ვგულისხმობ). დღეს კლასიკა აღარსად იდგმება. იდგმება ნეოკლასიკა და თანამედროვე ბალეტი, სადაც ფეხშიშველები ცეკვავენ. თუმცა, ამის გაკეთებაც უკეთ შეიძლება.

**- მსოფლიოში რომელ ჟანრს ჰყავს უფრო მეტი მაყურებელი?**

- ევროპაშიც და ამერიკაშიც თანამედროვე ბალეტისკენ უფრო არიან. კლასიკა უმაღლეს დონეზე უნდა იცეკვო. თანამედროვე ცეკვაში უფრო თავისუფალი მოძრაობებია და შენზეა აგებული. ბალეტმაისტერი აკეთებს იმას, რაც მოცეკვავეს შეუძლია.

**- ვინ არის ადამიანი, რომელიც ცეკვავს?**

- ეს არაჩვეულებრივი მოვლენაა... ამას წინათ სამეფო უბნის თეატრში სპექტაკლს ვუყურებდი და პირველად ვიგრძენი, რა ბედნიერია ადამიანი, რომელიც სცენაზე დგას. როდესაც ბალეტს ვუყურებ, სხვანაირი განცდები მაქვს - დაძაბული ვარ, ვერ ვტკბები. დრამატულ თეატრში უბრალო მაყურებელი ვიყავი და მივხვდი, რა არის ბედნიერება - სცენაზე დგახარ და გყავს მაყურებელი, რომელიც შენს სანახავად მოდის.

მოცეკვავე უფრო რთული რამ არის - მსახიობიც უნდა იყო, ყველაფერი გააკეთო და ხალხს მხოლოდ მოძრაობით უნდა აუხსნა, ვინ ხარ და რისი თქმა გინდა. ჩვენი მაყურებელი ამ საქმეში კრიტიკულია.

**- როგორც ჩანს, მაყურებელი ქართველი მოცეკვავეებიისადმი უფრო კრიტიკულია, არა?**

- დიახ. როდესაც ჩამოვედი და პირველი სპექტაკლი გავმართე, ვგრძნობდი, ხალხი ჩასაფრებული მიყურებდა, ამდენ ხანს წასული რომ იყო, აბა, რა ისწავლაო... თუ კარგი ბალერინა, მოცეკვავე ხარ, ყოველდღე, ყოველ სპექტაკლზე უნდა ამტკიცო, რომ იმაზე უკეთესი ხარ, ვიდრე გუშინ იყავი.

**- ჩვენს თეატრში მოცეკვავეს ზრდის, განვითარების საშუალება აქვს?**

- თვეში 4 საბალეტო და 4 საოპერო დადგმაა. ეს მინიმუმის მინიმუმია... დანარჩენი დრო ოპერა სხვებს, აბსოლუტურად ყველას ეკუთვნის.

**- ალბათ, გაქირავების ფული შენობისა და დასების შენახვას ხმარდება...**

- როგორ გითხრათ... რეპეტიციის დროს ისე დავეცი, რომ მთელი თვე ველარ ავდექი. მხოლოდ მაშინ გამოიძებნა ლინონიუმის დასაგები თანხები, ეგ იყო და ეგ.

**- აბუნტდით მერე... რა ხალხი ხართ ეს არტისტები, თეატრალებმა მარადიული თავმჯდომარე აირჩიეს, თქვენ ხართ და...**

- ეს ხალხზეც არის დამოკიდებული. ჩემი ინიციატივით ერთი-ორი კრება ჩავატარეთ და ეს იყო. თეატრში ინტერესები ნაკლებად მაქვს. იმ ორ სპექტაკლს ისედაც ვიცეკვებ და ასედაც. ახალგაზრდებს ვუთხარი, თქვენთვის ვაკეთებ, რომ ცოტათი ამოიწიოთ-მეთქი... ყველამ თანხმობა განაცხადა, გვერდით გიდგავართო. კინაღამ ვარდით შევედი ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ისე მოხდა, რომ ერთი დღე თეატრში არ მივედი და ყველა გაჩუმდა... ასე ხომ არაფერი გამოვა, მარტო ხომ ვერაფერს გავაწყობ.

**- თუ საიდუმლო არ არის, რამდენია თქვენი ხელფასი?**

- გამომუშავებაზე ვართ. თუ არ ვიცეკვე, 70 ლარი მაქვს.

**- საყვარელი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლის ჟღერადობაც ცეკვისას გეხმარებათ და დამატებით ძალებს გაძლევთ?**

- ყველა ინსტრუმენტი მიყვარს. ერთი-ორჯერ ორკესტრს შენიშვნაც მივეცი - ჩასაბერი ინსტრუმენტის ხმა ვერ გავიგე, არადა, უნდა გამეგო. მაესტრომ ეს აპატია, მაგრამ მე ცეკვა შევწყვიტე და ვიკითხე, სად არიან საყვირები, აქ ხომ უნდა უკრავდნენ-მეთქი... ძალიან მიყვარს ფორტეპიანო. ვიოლინოს კი ვაღმერთებ.

**- რა არის ის, რისი ხილვაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენზე გსურთ?**

- ძალიან ბევრი რამ... პირველ რიგში, მინდა, რომ თეატრი ისეთი იყოს, როგორიც ვახტანგის დროს იყო - ცხენოსანი პოლიცია იდგა და შემთხვევითი ადამიანი სპექტაკლზე ვერ მოხვდებოდა. მინდა, რომ იქ შესვლა პრობლემა იყოს, მინდა, რომ თეატრი ფეხზე დადგეს და ლამაზი იყოს. იმდენი რამ არის შიგნით გასაკეთებელი... მიკვირს, ამდენი წლის მანძილზე ერთი ნათურაც არ არის დამატებული. საკუთარი ხელით მომაქვს და ვაყენებ ნათურას... ეს მე გულს მტკენს. მინდა, რომ ყველა თავის საქმეს აკეთებდეს, რომ მოცეკვავე ცეკვავდეს, რეპეტიტორი კარგად გამეცადინებდეს, ადმინისტრაცია დასზე ზრუნავდეს - აი, ეს მინდა. სხვაგვარად ცეკვის მაღალ დონეს ვერ მიაღწევ. საბალეტო დასი დღეს ძალიან აგდებულია და სიმართლე გითხრათ, მრცხვენია და ვერავის ვეუბნები, რომ ბალერინა ვარ. ასე მგონია, ვარ პროვინციაში, სადაც არავინ იცის, რა არის ხელოვნება და დამცინიან... სხვათა შორის, უფრო ხშირად ვამბობ, რომ სპორტსმენი ვარ - სპორტულად მაცვია, მაქვს კუნთები და ადვილად იჯერებენ.

**- ბალეტის ერთგული გულშემატკივრები არ შემცირებულან?**

- არსებობენ. ერთი ხანშიშესული ქალია, ბავშვობიდან აბსოლუტურად ყველა სპექტაკლზე დადის, ერთი არ ჩაუგდია. მას უფასო შემოსვლის უფლება აქვს. გიჟდება ბალეტზე.

**- საქართველოში ბალეტი მორჩა?**

- იმედია, არა. მიმაჩნია, რომ ყველაფერი ამოიწევა. რამენაირად ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ და იქნებ, მალე აღარ შემრცხვეს იმის თქმა, რომ ვარ ბალერინა.







ილია ლომთაძის ფოტო




## თეატრები

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
მზია ნიორაძის გასტროლი
"კარმენი"
დას: 18:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
სანდრო კაკულია
"ფანჯარა"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
უილიამ შექსპირი
"ვენეციელი შექსპირი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
"ცხოვრება მშვენიერია"
(ვთამაშობთ ჩეხოვს)
სასცენო კომპოზიციის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 18:00 სთ.

## ცირკი

"ღიპუც-დისკო"
საბავშვო გასართობი წარმოდგენა
დას: 15:00 სთ.

## კინოთეატრები

**"რუსთაველი"**
"ამნეზია"
დას: 12:00; 17:00; 22:00 სთ.

"დღე ხვალის შემდეგ"
დას: 14:30; სთ.

**"ამირანი"**
"მოკალი ბილი 2"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**შარდენი**
დათო მონავარდისაშვილისა და თინა კლდიაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
ვახტანგ კაკულიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
არქიტექტორ გერა ხეჩინაშვილის ნამუშევართა პერსონალური გაომფენა

**"ქარვასლა"**
ნოდარ მალაზონიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# დღეს წიგნის VI ფესტივალი იხურება

თამარ სუხიშვილი

დღეს წიგნის ფესტივალის ბოლო დღეა. ასე რომ, თუ აქამდე ვერ მოახერხეთ ფილარმონიაში მისვლა, უნდა იჩქაროთ - საღამომდე არცთუ დიდი დრო დარჩა. ისე, მე თუ მკითხავთ, კარგი იქნებოდა, წიგნის ფესტივალს კვირასაც ემუშავა; დასვენების დღეებში ხომ უფრო მეტი ხალხი ახერხებს ხოლმე თავისუფალი დროის გამონახვას და წიგნიც დასვენების დღეებში დასვენებულ გონებაზე უფრო კარგად იკითხება.

წიგნის ფესტივალის გუშინდელ პუბლიკას პირობითად სამ კატეგორიად დავყოფდი. ერთნი (შემორბენაზე რომ იყვნენ ისინი) სწრაფად დაივლიდნენ დახლებს და სტენდებს, ასეთივე სისწრაფით ყიდულობდნენ (თუ ჯიბე გასწვდებოდათ) სასურველ წიგნს და, სამსახურში არ დაგვაგვიანდესო, ჩქარი ნაბიჯით ტოვებდნენ ფოიეს; მეორენი საგანგებოდ ამა თუ იმ პრეზენტაციისთვის და ნაცნობ-მეგობართა სანახავად მოდიოდნენ და, შესაბამისად, წასვლასაც არ ჩქარობდნენ, დინჯად ათვალიერებდნენ სტენდებს და ღიმილით ეგებებოდნენ ახლად შემოსულ ნაცნობებს; და მესამენი - ფესტივალის მცირერიცხოვანი, მაგრამ მუდმივი მკვიდრნი, რომლებმაც, ძირითადად, ფილარმონიის ფოიეს მეორე სართულზე დაიდეს ბინა, "პარნასისა" და წიგნის სახლის კაფეებში გამოეფინნენ, ლუდით გრილდებოდნენ და თან სიტუაციას ზემოდან "აკონტროლებდნენ".


მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*წიგნის ფესტივალის გუშინდელ პუბლიკას პირობითად სამ კატეგორიად დავყოფდი.*

გუშინდელი საპრეზენტაციო პროგრამა გამომცემლობა "საარმა" გახსნა და აუდიტორიას მანანა გიგინეიშვილის სამი ძალიან საინტერესო თარგმანი წარუდგინა: ჩილელი პოეტის – ნობელის პრემიის ლაურეატის გაბრიელა მისტრალის პროზაული პოემებისა და მოთხრობების თარგმანები, ხუან რამონ ხიმენესის "პლატერო და მე", რომელსაც ქართველი მკითხველი უკვე კარგად იცნობს (ეს თარგმანი ამ რამდენიმე წლის წინ გამოიცა, ხოლო ახლა გამომცემლობა "საარმა" ის ხელახლა დასტამბა), და არაბი მხატვრისა და მწერლის – ჯიბრან ხალილ ჯიბრანის "იესო, ძე კაცისა". როდესაც 1923 წელს ინგლისურ ენაზე ჯიბრან ხალილ ჯიბრანის წიგნი "წინასწარმეტყველი" გამოქვეყნდა, მას აღფრთოვანებით შეხვდა ლიტერატურული კრიტიკა და ძალიან მცირე ხანში წიგნის 10 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა, - ვკითხულობთ წინასიტყვაობაში. "წინასწარმეტყველი" 20-ზე მეტ ენაზე ითარგმნა. კიდევ უფრო მეტი პოპულარობა ხვდა ნაწარმოებს - "იესო, ძე კაცისა", რომელსაც ახლა ქართველი მკითხველიც გაეცნობა. როგორც პრეზენტაციაზე გამომსვლელებმა აღნიშნეს, მანანა გიგინეიშვილის თარგმანებით ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურას მშვენიერი ნიმუშები შეემატა.

გუშინ ფესტივალზე ერთი წლის იუბილე იზეიმეს გამომცემლობა "ლინქის" წარმომადგენლებმა და მკითხველს ქართულ-ნიდერლანდური თარგმანები წარუდგინეს. იოკე ვან ლეეუვენის "ჰიპ!" – ბავშვებისათვის და თანამედროვე ფლანდრიული ლიტერატურის წარმომადგენლის, სტეფან ჰერტმანსის პოეზიის თარგმანები (თარგმანი: დავით ღოლიჯაშვილი, ზაზა თვარაძე) – უფროსებისათვის. ამ გამომცემლობის დახლზე შეგიძლიათ ნახოთ ერლომ ახვლედიანის "ვანო და ნიკოს" თარგმანიც, რომელიც ქართველი მკითხველისთვის 40 პროცენტიანი ფასდაკლებით იყიდება, მაგრამ მაინც საკმაოდ ძვირია, 28 ლარი ღირს.

დღეს, წიგნის VI ფესტივალის ბოლო დღეს, ფილარმონიის ფოიეში შემდეგი პრეზენტაციებია დაგეგმილი. დღის ორ საათზე Pen-მარათონის პირველი გამარჯვებულის, ქართველი მკითხველისთვის ახლა უკვე კარგად ცნობილი გელა ჩქვანავას წიგნის - "კოლორიტების" პრეზენტაცია გაიმართება. ეს წიგნი გამომცემლობა "დიოგენემ" დასტამბა; გამომცემლობა "მერანი" კი მანანა დუმბაძის ახალ წიგნს - "წერილებს" წარმოგვიდგენს

ფესტივალის დახურვაზე კიდევ ერთი სიახლეა. "მწვანე აქციის პრეზენტაცია" - გვამცნობს აფიშა. რას ნიშნავს, ახლავე აგიხსნით. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ, რომელიც იწყებს საბავშვო წიგნების გამოცემას ბუნების შესახებ, თბილისის მერიის მხარდაჭერით ე.წ. მწვანე აქციის მოწყობა გადაწყვიტა და აქციას ასეთი სახელი შეურჩია: "იყიდე წიგნი – დარგე ხე!" თუ გსურთ, აქციის მონაწილე გახდეთ, მწვანე აქციის სტიკერიანი წიგნი უნდა შეიძინოთ, და თქვენ მიიღებთ სპეციალურ ბარათს, რომელზეც თქვენი სახელი ჩაიწერება. მერე თბილისის ზღვაზე აქციის მონაწილეთა სახელზე ხეებს დარგავენ. თბილისის ზღვის გამწვანება შემოდგომაზე დაიწყება. დღევანდელი აქცია კი პირველ საათზეა დაგეგმილი.

# მეტამორფოზები მეტალისა და თექის თემაზე

### შარდენზე დავით მონავარდისაშვილისა და თინა კლდიაშვილის გამოფენა გაიხსნა

მადი სერებრიაკოვა

"მეტამორფოზები" - ამ სათაურით შარდენის ქუჩაზე მეტად უჩვეულო გამოფენა გაიხსნა. მსუბუქ, გამჭვირვალე აბრეშუმს, რბილსა და ფუმფულა თექაში გახვეული ლითონის ნაჭრების, მავთულების, სხვადასხვა რკინა-კავეულობისგან შექმნილი კარკასები, მეტალის ჟანგიანი სიმკაცრე და ტექსტილის ნათელი, მკვეთრი ფერები - ეს ორი სრულიად განსხვავებული ავტორის ორიგინალური შემოქმედებითი ტანდემის ძალზედ მცირე და ზოგადი აღწერაა. დავით მონავარდისაშვილის ლითონის კუნსტრუქციებისა და თინა კლდიაშვილის ტექსტილის "მეტამორფოზები" შარშან დაიწყო, როდესაც ორმა ავტორმა პირველად სცადა საკუთარი შემოქმედება ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა. ექსპერიმენტმა გაამართლა: დავით მონავარდისაშვილისა და თინა კლდიაშვილის დუეტმა არატრადიციული ხელოვნების მოყვარულთ სავსებით უტილიტარული დანიშნულების ნივთების ძალზედ ორიგინალური ინტერპრეტაციები შესთავაზა.

დეკორატიული ნათურები, სკამები, ტანისამოსი... ეს მცირე ჩამონათვალია იმ ნივთებისა, რომლებმაც დათო მონავარდისაშვილის და თინა კლდიაშვილის ფანტაზიისა და მარჯვე ხელების წყალობით განიცადეს მეტამორფოზა: **"საყოფაცხოვრებო ნივთები, საგნები თავის ფუნქციას იცვლის, ერთი შეხედვით შეუთავსებელი ფაქტურის, მასალის წყალობით სრულიად სხვა ესთეტიკაში გადადის"** - აღწერს საკუთარ ნამუშევრებს დავით მონავარდისაშვილი. ორი ავტორის პროექტის ძირითადი კონცეპცია სიმძიმისა და სიმსუბუქის, სიმკვრივისა და გამჭვირვალობის ზღვარის ძიება იყო. სწორედ ამ ზღვარზე მერყეობდა მათი ნამუშევრები.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*დავით მონავარდისაშვილი თავის მოსესთან ერთად.*

"ხაზის ქანდაკება" – პირობითად ასე განსაზღვრავს დავით მონავარდისაშვილი საკუთარ სტილს. ნამუშევრების შესაქმნელად იგი სრულიად მოულოდნელ ჯართსა თუ რკინეულობას იყენებს. გაგიკვირდებათ, რომ ასეთი უხეში და მძიმე მასალისგან დამზადებული ქმნილებები ძალზედ პლასტიკურები და, შეიძლება ითქვას, ფაქიზებიც კი არიან. გამოფენაზე საკუთრივ დავით მონავარდისაშვილის ობიექტებიც იყო წარმოდგენილი (გალერეის სივრცესთან ერთად, შარდენის ქუჩის ტერიტორიაც იყო ათვისებული) და მისი და თინა კლდიაშვილის ერთობლივი ნამუშევრებიც, ასევე, თინა კლდიაშვილის პანოები და კოსტიუმები.

თინა კლდიაშვილი ტექსტილის, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. მას შესწავლილი აქვს ტრადიციული ქართული თექის მრავალსახეობა. თუმცა, იგი ტრადიციულ გამოცდილებას არ დასჯერებია და საკუთარი შემოქმედება თამამი ექსპერიმენტებით გაამდიდრა – ექსპერიმენტებით, როგორც მასალის, ისე ობიექტების შერჩევის სფეროში. მხატვარმა ერთმანეთს უნაზესი და უმსუბუქესი აბრეშუმი და თექა შეურია. ამ უჩვეულო მასალით კი, კიდევ უფრო უჩვეული საგნების დამზადება დაიწყო: დეკორატიულ ნივთებთან ერთად, რომლებიც უმეტესად დავით მონავარდისაშვილის მიერ შექმნილ ლითონის კონსტრუქციებს აკრავდა, გამოფენაზე თექისა და აბრეშუმის ნაზავით შექმნილი ტანისამოსიც ამშვენებდა. განსაკუთრებით საინტერესო კი ის იყო, რომ ერთი შეხედვით უხეში, მძიმე და თბილი მატყლისგან, თურმე არაჩვეულებრივად მსუბუქი, გამჭვირვალე და ნაზი საზაფხულო კოსტიუმები, საქორწილო კაბებიც კი შეიძლება დაამზადო. კოსტიუმები გამოფენაზე სპეციალურ მანეკენებზე იყო წარმოდგენილი. თუმცა, როგორც გაირკვა, ისინი ცოცხალმა სხეულებმაც დიდი წარმატებით შეუძლიათ ატარონ – თუ, რა თქმა უნდა, საამისოდ გამბედაობა და შესაძლებლობა ეყოფათ. ასეთი კოსტიუმის დამზადება ხომ მეტად ძვირი და რთული საქმიანობაა.



# ყველაზე თავისუფალი კინო-მხატვარი

თეონა ჯაფარიძე

**კინოსეანსის წინ:** წარმოიდგინეთ თბილისური ბოჰემით ავსებული, თბილისში მხოლოდ ორთაგან ერთ-ერთი ფეშენებელური კინოთეატრი "რუსთაველი". კინოპრემიერის მოლოდინი, თანაც ქართული ფილმის, თანაც ისეთი რეჟისორის, როგორიც გოგიტა ჭყონიაა. ეს სახელი მოლოდინს კიდევ უფრო დაძაბულსა და აზარტულს ხდის: - ეკრანიდან ყველაფერს ან არაფერს მივიღებთ (თანაც პუბლიკა უკვე დაკომპლექსებულია ახალი ქართული კინოპრემიერებით). ამდენი და ამ თაობის "კინოშნიკი" კარგა ხანია მზის სინათლეზე აღარ მინახავს. პუბლიკის ბირთვს რეჟისორის თაობა წარმოადგენს. გოგიტა ჭყონიაზე კი ოფიციალურად და ორიოდე სიტყვით ეს შეიძლება ვთქვათ: **ექსცენტრული ექსპერიმენტატორი და ნონკონფორმისტი 80-იანელთა თაობიდან**. მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირულად და რაღაცნაირად გაპრანჭული ნათქვამია.

ვილაც მიკროფონში მკვეთრი ხმით აცხადებს, რომ ფილმი ნახევარ საათში დაიწყება, მანამდე კი კინოთეატრის ფოიეში აქცია ტარდება. რა აქცია, რის აქცია, მხოლოდ ბოლო ხმაზე აწეული მუსიკა ისმის. პუბლიკა ღიზიანდება. იგივე ხმა კი ჯიუტად მოითხოვს რომ მის წინ ტელეკამერები მოგროვდეს...

აღმოჩნდა, რომ ეს პროექტის კოორდინატორი და რეჟისორის მეუღლეა. ის საავტორო ხელოვნების განვითარების საკოორდინაციო ცენტრ "მარადისს" წარმოადგენს. ნინო ნაცვლიშვილი "სახელდახელო პრესკონფერენციასავით" აკეთებს. ხმა ცოტა ნერვიული აქვს და სულმოუთქმელად ისვრის ასეთ ფრაზებს: "გოგიტა არაკომერციულ ფილმებს აკეთებს. ეს არ არის პოპ-კულტურაზე აგებული ხელოვნება. ეს მოდური და ძვირადღირებული ხელოვნებაა. ამ ფილმზე 90-იანი წლებიდან მოყოლებული მუშაობს. ფაქტიურად ყოველგვარი კატაკლიზმები, აფხაზეთის ომი და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რამ გადავიტანეთ. მომსწრე ვარ უამრავი გრანტის უშედეგო ხარჯვისა, რომელმაც არანაირი შედეგი არ გამოიღო კულტურული ინტეგრაციის ხელის შესაწყობად. **ამ ფილმმა უნდა იაროს.** თავდაპირველად როტერდამის ფესტივალზე უნდა მოხვდეს. ამისათვის კი ფილმის მეორე ასლი უნდა გავაკეთოთ: - სტერეოგახმოვანებაზე უნდა დავბეჭდოთ და არა მონოზე. დასავლური კინოთეატრები სტერეოზეა გადასული. აქცია იმაში მდგომარეობს, რომ ბილეთის ფასი ნებაყოფლობითი და თავისუფალია. ბილეთები კინოთეატრის სალაროებში იყიდება."

ფილმი იწყება. უცნაური წვეტიანი ტიტრები გვაუწყებენ, რომ ფილმს "ფსევდომორფოზა" ჰქვია და "ის ხუთი ნოველაა საბჭოთა იმპერიის ნანგრევებში მოყოლილ თავისუფალ კინო-მხატვარზე."

პირველივე კადრებიდან "სეანსისწინა გაღიზიანება" სადღაც ქრება და აქციას უკვე ვეთანხმები: "ფილმმა უნდა იაროს." პირველი კადრები კინოსამონტაჟოს ინტერიერს უჩვენებს. ფირები, ბევრი ფირები და ამ ფირებში მოსიარულე თავად რეჟისორი. პირველ ნოველაში გოგიტა ჭყონია თავად თამაშობს. ეს ავტოპორტრეტი უფროა რეჟისორისა, რომელსაც სიგიჟემდე უყვარს კინო. თან ირონიაცაა და დიალოგიც რეჟისორისა კინოსთან. ეკრანზე ვხედავთ, როგორი სიშმაგით ამონტაჟებს რეჟისორი საკუთარ თვითმკვლელობას. გვერდითი სკამიდან დამწყები რეჟისორი ჩურჩულით მეუბნება: "მაგარი ხმა აქვს სამონტაჟოს. ეგეთი სიამოვნება არ არსებობს." არა, ახალი თაობისა და ქართულ კინოსთან დაკავშირებულ წუწუნზე სულაც არ ვაპირებ საუბარს. ხმის დრამატურგიაზე მინდა მოგახსენოთ, რაზეც, ფაქტობრივად, აგებულია ფილმი და კიდევ იმაზე, რომ როცა გოგიტა ჭყონიას კინოზე ვსაუბრობთ, ჩემი აზრით ქართული კინოსაგან დამოუკიდებლად უნდა ვისაუბროთ მასზე, იმიტომ რომ ის დიდი დოზით ინდივიდუალურია, არასოდეს არ აცდუნებს მოდა, ანუ მისი კინო-ენა მოდისაგან ყოველთვის თავისუფალია. და კიდევ ქართული კინოს კრიზისი მას ნაკლებად ეხება, მიუხედავად იმისა, რომ მინიმალისტური ხერხებითა თუ, თუ გნებავთ, მინიმალისტური თანხებით (ანუ კრიზისის შესაბამისი საშუალებებით) აკეთებს კინოს. მაგრამ აკეთებს მაინც იმას, რაც სურს. და ეს საინტერესოა.

ხმის დრამატურგიაზე მოგახსენებდით. ფილმიდან ერთი ნოველა მთლიანად მინდობილია კინემატოგრაფის ამ რთულ ხერხს. მაგრამ მაყურებელი ვიზუალურად ვერანაირ დისკომფორტს ვერ გრძნობს. პირიქით დაძაბულად უყურებს ერთსა და იმავე კადრს – თავსხმა წვიმაში მოტივტივე ბურთსა და ბოთლს და ხელახლა განიცდის 9 აპრილის დრამატურგიას სწორედ ხმის საშუალებით.

ახალი ფილმის ერთი ნოველა ანიმაციურია. ნოველა ვიდეო-არტისა და ანიმაციის საუკეთესო ნიმუშია. ამ ნოველას ძალზე რომანტიული და ზღაპრულ-სევდიანი, მსოფლიო-სევდისგვარი სახელწოდება აქვს: - "პიეროს ღამე". მოკლედ, ფილმზე ბევრი შეიძლება ითქვას, მაგრამ უფრო პროფესიონალური იქნება, თუ მასზე კინომცოდნეები ისაუბრებენ. მე კი მხოლოდ იმას დავამატებ, რომ დაახლოებით 15 წლიანი პაუზის შემდეგ დიდ ეკრანზე პირველად ვიხილე სრულმეტრაჟიანი, საინტერესო ფილმი, რომელმაც ფესტივალები უნდა ნახოს და აუცილებლად "უნდა იაროს".



ლევან ხერხეულიძის ფოტო

პრემიერის წინ. მხატვარი თემო ჯაფარიძე და რეჟისორი გოგიტა ჭყონია.



კადრი ანიმაციური ფილმიდან "პიეროს ღამე".

# საჩუქრებით სავსე სასახლე

ეს ამბავი კარგა ხნის წინათ, 2000 წლის სექტემბერში დაიწყო, სიდნეის ოლიმპიური თამაშების დროს. დანიის ტახტის მემკვიდრე ფრედერიკი ესპანეთის უფლისწულ ფელიპესთან ერთად ბარში შევიდა და იქ მშვენიერი ავსტრალიელი ქალი, მერი ელიზაბეტ დონალდსონი გაიცნო.

შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა: წელიწადნახევრის შემდეგ დანიის სამეფო კარმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ მომავალ მეფეს ავსტრალიელი ქალი უყვარს. ეს ავტრალიელი ქალბატონი სულ მალე დანიაში გადასახლდა და "მაიკროსოფტის" იქაურ ფილიალში მუშაობა და დანიური ენის და ქვეყნის ისტორიის შესწავლაც დაიწყო.

ცხადია, ქვეყანაში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. გაზეთებში ფოტოსურათიც გამოაქვეყნეს, სადაც ფრედერიკი მერის კოცნის – მართალია, ლოყაზე, მეტი ვერაფერზე ჩაავლეს. თუმცა, ტახტის მემკვიდრე გრძნობებს არც მალავდა. მან ინტერვიუებში თავისი დიდი სიყვარულის ამბავი მთელს სამეფოს შეატყობინა, დედოფალმა მარგარეტმა ნიშნობის ამბავი გამოაცხადა და წელს, 24 მარტს, დანიის პარლამენტმა მერი ელიზაბეტ დონალდსონს საჩუქარიც მიართვა, სრულიად განსაკუთრებული – დანიის მოქალაქეობა.

ასე და ამგვარად, პრინცი ფრედერიკი და მერი დონალდსონი ცოლ-ქმარი გახდნენ. მათ კოპენჰაგენში, საკათედრო ტაძარში დაიწერეს ჯვარი.

ამჟამად კი, ქორწილის ღირსშესანიშნავი დღიდან ერთი თვის თავზე, ყოველ დანიელს შეუძლია ქრისტიანსბორგის სასახლეში მიბრძანდეს და საკუთარი თვალით იხილოს, თუ რა საჩუქრები მიიღეს საქორწინოდ მათმა მომავალმა მეფე-დედოფალმა, 35 წლის ფრედერიკმა და 32 წლის მერიმ.

1822 დასახელების ძღვენის აღწერისას გაზეთმა "ჯულენდს პოსტენმა" ძველი სიბრძნე გაიხსენა: ვისაც აქვს, მას მიეცემაო. რეპორტიორს არც იმის თქმა დაეზარა, რომ ზოგიერთი საჩუქარი "სიძულვილის გამოხატულებას ჩამოჰგავდა". რას გულისხმობდა კეთილი მეგაზეთე, დაუდგენელია, ერთი კია, რომ საჩუქრები მრავლადაა და თან ძალიან ძვირფასი: ხუთი ავტომობილი, ხელით მოხატული ფაიფურის ჭურჭელი, უზარმაზარი აღმოსავლური ხალიჩები თუ შესანიშნავი ავეჯი. ერთი საჩუქარი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს – დანიური ლუდის ყუთი, რომელიც ნახევრად ცარიელია, რადგან შორეული პროვინციიდან მისი ჩამოტანის დროს ოთხ ახალგაზრდას თავის შეკავება გასჭირვებია და ლუდს მისძალებია. ამან არავინ გააჯავრა, პირიქით, ყველა გაერთო.

ფრედერიკისა და მერის წიგნების თაროს ერთი უჩვეულო წიგნიც შეემატა: "კლინიკური რევმატოლოგიის სახელმძღვანელო", საკმაოდ სქელი ტომი – ნეტა, რად უნდათ ასეთი წიგნი გვირგვინოსნებს? სასახლეში მათი ოთახები სულ სხვადასხვა ხარისხისა და ხასიათის ნახატებით აივსო, რომლებიც მათ საქორწინოდ მოსიყვარულე მოქალაქეებმა მიართვეს. ყოველი ნახატი (მათი ძირითადი მოტივი, ცხადია, საკურთხევლის წინ მდგომი მერი და ფრედერიკი არიან) გამოფენილია და საბოლოოდ ამალიენბორგის სასახლეში დაიდებს ბინას.

ამ სამეფო გამოფენაზე მისული დანიელები თანამოძმეთა გემოვნებაზე დაობდნენ და ფრიად მოხიბლული იყვნენ იმ უძვირფასესი ნივთებით, რომლებიც გვირგვინოსანი წყვილისთვის მეწარმეებმა და პოლიტიკოსებმა გაიმეტეს.



საქორწინო ცერემონიალი.



მერის საქორწინო გვირგვინი დედოფალ მარგარეტეს საჩუქარია.

## ათეულები

| კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
| [illegible] | [illegible] | | 48.4 |
| [illegible] | [illegible] | "[illegible]" | 6.8 |
| [illegible] | [illegible] | "[illegible]" | 5.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4.8 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4.4 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.8 |
| ჭაბუა ამირეჯიბი | ჭაბუა ამირეჯიბი | [illegible] | 2.8 |
| [illegible] | [illegible] | "[illegible]" | 2.8 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.4 |
| [illegible] | [illegible] | "[illegible]" | 2.4 |

| კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 34,910,393 | 157,975,042 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 24,289,165 | 24,289,165 |
| "შრეკი-2" | [illegible] | [illegible] | 23,316,930 | 353,333,317 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 21,727,611 | 21,727,611 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 21,406,781 | 21,406,781 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 14,538,226 | 153,144,814 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,705,336 | 31,284,112 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,417,016 | 125,604,418 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,535,013 | 3,717,37 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1,486,032 | 81,303,696 |









| თანამედროვე როკის კვირის ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის პოზიცია | ჩარტებში გატარებული კვირები |
| "[illegible]" | Ch-Check It Out | 2 | 6 |
| "[illegible]" | Lying From You | 1 | 17 |
| "[illegible]" | Slither | 5 | 9 |
| "[illegible]" | Cold Hard Bitch | 3 | 18 |
| "[illegible]" | The Reason | 4 | 19 |
| "[illegible]" | Float On | 6 | 12 |
| Incubus | Talk Shows On Mute | 7 | 10 |
| Seether | Broken | 9 | 8 |
| Muse | Time Is Running Out | 10 | 11 |
| Three Days Grace | Just Like You | 11 | 9 |



ევრო 2004

# მთავარი მატჩი წინ არის

მატჩის შემდეგ დანიის ნაკრების მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა თქვა, რომ მთავარი მატჩი წინ არის. მან გადაწყვიტა, მინდორზე კრისტიან პოულსენის ნაცვლად ნახევარდაცვაში ტომას გრავესენი გამოეშვა. "ევერტონის" ჰავბეკმა "სკუადრე აძურასთან" მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ახლა კი ის მინდორზე დალ ტომასონთან და დანიელ იენსენთან ერთად გამოჩნდა. როგორც წესი, სკანდინავიელებმა მატჩი 4-3-3- სისტემით ჩაატარეს. ბულგარეთის ნაკრებში კი წინა მატჩთან შედარებით დაცვაში ერთადერთი ცვლილება განხორციელდა. პაჟიჩის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში ილიან სტოიანოვმა ითამაშა. შეტევაში კი ბულგარელებმა დიმიტარ ბერბატოვი და ზორან იანკოვიჩი გაამწესეს. სლავებმა ცვლილებები კი განახორციელეს, მაგრამ მათ უბედურებას ვერც ამან უშველა.

ბულგარეთის ნაკრები ყველაზე სუსტია ევროპის ჩემპიონატზე. სკანდინავიელებმა ისინი ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაამარცხეს და ჯგუფიდან გასვლის უაღრესად კარგ შანსს ინარჩუნებენ.






REUTERS

# იტალიელებმა მდგომარეობა გაირთულეს

პირველ მატჩთან შედარებით შვედეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ერთადერთი ცვლილება მოხდა. ტრავმირებული ტედი ლუჩიჩის ნაცვლად მინდორზე ბელგიის "ანდერლეხტის" ფეხბურთელი კრისტიან ვილჰელმსონი გამოვიდა. მან ნახევარდაცვის ფლანგზე დაიკავა ადგილი. რაც შეეხება იტალიის ნაკრებს, აქ ძირითად შემადგენლობაში ანდრეა პირლო გამოჩნდა, ხოლო მაურო კამორანეზიმ და კრისტიანო ძანეტიმ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლეს. "სკუადრა აძურას" მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის შვედებთან მატჩში ტოტის გარეშე მოუხდა თამაში, რომელიც სამმატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის. მან დანიელ კრისტიან პოულსენს შეაფურთხა. ტოტის არყოფნაში შეტევაში ანტონიო კასანომ ითამაშა. ითამაშა და იტალიის ნაკრების პირველი გოლიც გაიტანა ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე მაინც მონახა ბუფონის კარში დაუცველი ადგილი და ქუსლით ზუსტად გაგზავნა ბურთი. ამჟამად ჯგუფში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ყველაფერი მესამე, დასკვნითი ტურის შეხვედრებში გადაწყდება. ამჟამად შვედებს და დანიას 4-4 ქულა აქვთ. იტალიას კი 2.






REUTERS

www.pfl.ge

# შოკური თერაპია ქართული საკლუბო ფეხბურთის გადასარჩენად

აკა ტონია

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შტაბბინაში გაიმართა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის კონფერენცია. ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების სისტემის შეცვლის, კლუბების ლიცენზირებისა და სხვა საკითხების განსახილველად უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელები შეიკრიბნენ. თითოეულ კლუბს თითო პირი, ძირითადად, პრეზიდენტები წარმოადგენდნენ. კონფერენციას არ ესწრებოდა თბილისის "დინამოს" პრეზიდენტი დავით პეტრიაშვილი, რომელიც პორტუგალიაში, ევროპის ჩემპიონატზეა და იქ მატჩების დირექტორის ფუნქციას ასრულებს. "დინამოს" კახა ჭუმბურიძე წარმოადგენდა.

კონფერენციაზე საბოლოოდ გადაწყდა ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების სისტემის შეცვლის საკითხი. კლუბების ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს პროფესიული ლიგის წინადადებას, რომ მომავალი ჩემპიონატი ოთხ წრედ ჩატარდეს. ასე რომ, საქართველოს რიგით მე-16 პირველობაზე თამაშების რიცხვი 44-მდე გაიზრდება. საქართველოს პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობას უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდების რაოდენობის 10-მდე შემცირება სურდა, თუმცა, გადაწყდა, რომ მომავალ ჩემპიონატში ისევ 12 კლუბი მიიღებს მონაწილეობას, ხოლო 10-გუნდიან სისტემაზე მე-17 ჩემპიონატიდან გადავალთ. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ამ საკითხში ცვლილებები მოხდეს, ანუ გუნდების რაოდენობა უკვე მომავალ ჩემპიონატში შემცირდეს. ეს უმთავრესად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ჩაივლის კლუბების ლიცენზირება. სწორედ ლიცენზირება იყო გუშინდელი კონფერენციის შემდეგი საკითხი. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტი და პროფესიული ლიგის მიერ შექმნილი საგანგებო კომისია ერთობლივად იმუშავებენ. დაათვალიერებენ უმაღლესი ლიგის კლუბებს, შეისწავლიან მათ ფინანსურ მდგომარეობასა და შეამოწმებენ სტადიონებს. პროფესიული ლიგის ხელმძღვანელთა განცხადებით, უმთავრესი ყურადღება მოედნების მდგომარეობას მიექცევა. მოგეხსენებათ, ლიგის მიერ შექმნილ კომისიაში მინდვრის სპეციალისტებიც შედიან. კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ერთი და იმავე სტადიონზე, უმაღლესი ლიგის მხოლოდ ორ კლუბს ექნება თამაშის უფლება. ეს კანონი, ცხადია, მოედნების მდგომარეობის გამოსწორების სურვილით არის ნაკარნახევი. დავუბრუნდეთ ლიცენზირების საკითხს და იმით დავამთავროთ, რომ უმაღლესი ლიგის თითოეულმა გუნდმა საკუთარ საბანკო ანგარიშზე 300 ათასი ლარის ოდენობის თანხა უნდა წარმოადგინოს. თუ რომელიმე კლუბს ეს თანხა არ აღმოაჩნდება, მაშინ მას პირველ ლიგაში მოუწევს გადანაცვლება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 10-გუნდიან სისტემაზე, შესაძლოა, ამავე სეზონში გადავიდეთ. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი კლუბების საკმარისი რაოდენობა ვერ გაივლის ლიცენზირებას. ასე რომ, ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, თუ რამდენი გუნდი იასპარეზებს საქართველოს მე-16 ჩემპიონატში.

სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ მომავალი სეზონიდან საქართველოს პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდების რიცხვი 14-დან 16-მდე გაიზრდება. პირველი ლიგიდან აქამდე ხუთი გუნდი ქვეითდებოდა რეგიონულ ლიგაში. ახლა კი მხოლოდ სამი "გავარდება". ასე და ამრიგად, "ამერი" და ხაშურის "ივერია" პირველ ლიგაში გააგრძელებენ ასპარეზობას.

კონფერენციაზე განიხილეს კიდევ რამდენიმე საკითხი. კლუბების პრეზიდენტებმა ბოლნისის "სიონის" საკითხიც განიხილეს და ფეხბურთის ფედერაციას ამ კლუბისთვის 10-მატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხსნის შესახებ გაუგზავნეს რეკომენდაცია. მოგეხსენებათ, სხვა საჯარიმო სანქციებთან ერთად, "სიონს" საკუთარ სტადიონზე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ათი მატჩის გამართვა აეკრძალა. იყო კიდევ ერთი მოთხოვნა, თუმცა, ეს მოთხოვნა სხვა კლუბის მიმართ სოლიდარობის გამოხატვას ნამდვილად არ ნიშნავდა. "ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი გურამ რუხაძე გამოვიდა ინიციატივით, რომ საქართველოს შიდა სატრანსფერო სეზონი მომავალი ჩემპიონატის დაწყებამდე, ანუ 24 ივლისს შეწყდეს. რუხაძის ამ წინადადებას, თბილისის "დინამოს" გარდა, კონფერენციის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი. საქმე ის არის, რომ "ვიტ ჯორჯიას" რამდენიმე ფეხბურთელს, მათ შორის, "დინამოს" მიერ მოწონებულ გიორგი ადამიას, "ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი მიმდინარე წლის აგვისტოში უმთავრდებათ. ამ ფეხბურთელების გადაბირებით დაინტერესებულმა კლუბებმა, იგივე "დინამომ", რუხაძისთვის სატრანსფერო თანხის გადახდას, აგვისტომდე მოცდას და ამ მოთამაშეების უსასყიდლოდ გადაბირებას ამჯობინებენ. რუხაძე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ამ ფეხბურთელების შენარჩუნებას სატრანსფერო სეზონის შეკვეცით ფიქრობს. სწორედ ამიტომ "დინამო" ამ გადაწყვეტილების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ასეა თუ ისე, ეს საკითხი სფფ-ის გადასაწყვეტია და, ვისი აჯობებს, ჯერ უცნობია.

კონფერენციის შემდეგ პროფესიული ლიგის ხელმძღვანელებმა პრესკონფერენცია გამართეს. პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ გვამცნო. მან თავისი კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტით, რომ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე გულშემატკივართა რიცხვმა საგრძნობლად იმატა, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთი დიდად ჩამორჩა ევროპულ ქვეყნებს: "შესაძლოა, ჩვენი გადაწყვეტილებები ზედმეტად მკაცრია, მაგრამ საქართველოს საკლუბო ფეხბურთი იმდენად ჩამორჩა საერთო ევროპულ დონეს, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად პატარა სასწაულის მოხდენაც კი დაგვჭირდება. ჩვენ ბევრი მუშაობა და მკაცრი გადაწყვეტილებების მიღება გვჭირდება".

კიკბოქსინგი

## საქართველო მსოფლიო კიკბოქსინგში

11-14 ივნისს გერმანიაში, ტრიერში ჩატარდა მსოფლიო თასი კიკბოქსინგის ოთხ სახეობაში 18 წლამდე და უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის. ასპარეზობაში ორმოცდაათამდე ქვეყანა მონაწილეობდა, მათ შორის, საქართველოს ნაკრების თორმეტი წევრი ორ სახეობაში. ქართველმა სპორტსმენებმა 9 საპრიზო ადგილი დაიკავეს: სამი პირველი, ოთხი მეორე და ორი მესამე.

ბოულინგი

## ბოულინგკლუბის ახლებური კონცეფცია

მიხეილ აბაიშვილი

ხუთი წლის განმავლობაში ბოულინგი სპორტის ეგზოტიკური სახეობიდან გართობისა და დასვენების ტრადიციულ საშუალებად იქცა, რაშიც მთავარი წვლილი თბილისის ბოულინგცენტრს მიუძღვის. ამ პერიოდში ბოულინგმა, მართლაც, უამრავი მოყვარული თუ მიმდევარი გაიჩინა. თუ ადრე ბოულინგცენტრის უცხოელი სტუმრები ერთგვარი ირონიითაც კი უმზერდნენ ბოულინგის ბილიკებთან მოჯახირე თბილისელებს, რომლებიც ერთი ან ორი კეგლის წაქცევისთვისაც სიხარულს გამოხატავდნენ, დღეს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ჩვენი, ჯერჯერობით მოყვარული ბოულერები, ისეთ შედეგებს აჩვენებენ, რომ აქტუალური ხდება საქართველოს ბოულინგის ფედერაციის შექმნა და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობაზე ფიქრი. თუმცა, ბოულინგცენტრი მხოლოდ სპორტული განხრით არ იზიდავს თბილისელებს. "ჯი ემ სი" ჯგუფის ეს ობიექტი თავის უკვე მუდმივ კლიენტებს, რომელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება, თითქმის ყოველდღე ათასგვარი სიურპრიზით ანებივრებს მათ. გთავაზობთ ინტერვიუს "ჯი ემ სი" ჯგუფის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან მაკო ჯაოშვილთან. პირველი კითხვა სწორედ ამ სახეობის პროპაგანდასთან დაკავშირებულ ასპექტებს შეეხო.

ბოულინგის ხუთწლიანი ისტორიის მანძილზე, მართლაც, მასშტაბური მუშაობა ჩატარდა. ჩვენ მცდელობა არ დაგვიკლია, რათა ბოულინგი ქართულ ცნობიერებაში დამკვიდრებულიყო, როგორც აზარტული გასართობი და საინტერესო სპორტული მიმდინარეობა. ვფიქრობ, ჩვენს ძალისხმევას უშედეგოდ არ ჩაუვლია, რაკი საკმაო ინტერესი გამოიკვეთა ტურნირების მიმართაც. ვგეგმავთ, ჩავატაროთ მასმედიის დასკვნითი ტური, რომელშიც ერთანეთს გაეჯიბრება რადიოტელეკომპანიებისა და პრესის წარმომადგენელთა გამარჯვებული გუნდები. ტურნირი უფრო ადრე იყო დაგეგმილი, მაგრამ მონაწილეთა მოუცლელობის გამო აქამდე გადაიდო. ბოულინგის ბილიკები დიდი ხანია მზადაა მონაწილეთა საასპარეზოდ. ზაფხულის სეზონში სხვა საინტერესო მოვლენებითაც გაგახალისებთ.

**მაინც რა სიახლეს უნდა ველოდოთ?**

"ჯი ემ სი" ჯგუფი მთელი სარესტორნო ქსელის მასშტაბით სიურპრიზებით გამორჩეულად ანებივრებს თავის სტუმრებს. არც ბოულინგცენტრია გამონაკლისი. სულ ახლახან ჩვენი თაოსნობით კლუბმა უმასპინძლა თეატრალიზებულ დეფილეს. ეს იყო ქალბატონ მარიკა ნაცვლიშვილის კონცეპტუალური და ფუნქციონალური მოდის ჩვენება კახა ბაკურაძის მოძრავ თეატრთან ერთად. ჩვენი მხრიდან ეს თამამი ექსპერიმენტი იყო, რომელიც ძალიან მოეწონა საზოგადოებას. გადავწყვიტეთ, ამგვარი სალამოები სისტემატურად გავმართოთ.

**- ამით ბოულინგცენტრის რიტმი არ დაირღვევა?**

პირიქით, კლუბის ცხოვრება უფრო შინაარსიანი გახდება. ჯერ ერთი, აქაურობა განსხვავებული ტიპის სერვისით დაიტვირთება. სამოდელო სააგენტოებიც არანაკლები ინტერესით მუშაობენ ამ უჩვეულო პროექტზე. სივრცე უდავოდ საკმარისია სანახაობრივი წარმოდგენისთვის. მეორე მხრივ, სპორტული კოსტიუმების დემონსტრირების შემდეგ, შესაძლოა, ბოულინგური ჩვენება ტრადიციული ტურნირის სახითაც გაგრძელდეს. ვფიქრობ, დიზაინერები სიამოვნებით შეიმუშავებენ რაიმე კონცეფციას საგანგებოდ ასეთი გამოსვლის მოსაწყობად.

ფრენბურთი

## დავმარცხდით

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

პაატა თოთაძე

საქართველო 0:3 სლოვენია

(18:25, 20:25, 19:25)

მესამე მატჩი ჩაატარა საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე და მესამეჯერ დამარცხდა. შვედებისა და მოლდოველების შემდეგ ქართველები სლოვენიელებმა დაამარცხეს. ახალშექმნილ, გამოუცდელ გუნდს ბევრს ვერაფერს მოსთხოვ. ამ შემთხვევაში მთავარია გამოცდილების მიღება და კლასის ამაღლება, რათა მომავალში ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავდეს. ამასთან, ფრენბურთის პოპულარიზაციაც დიდად საჭირო საქმეა. ნაკრებს სჭირდება გულშემატკივარი, რომელიც გუშინ სპორტის სასახლეში ძალიან ცოტა იყო.

ჯგუფის ლიდერთან წარმატების შანსი თითქმის არ გვქონდა, თუმცა, ის კი ნამდვილად ვიცოდით, რომ ჩვენი გოგონები უბრძოლველად არაფერს დათმობდნენ. იმედს ისიც აძლიერებდა, რომ ჩვენს გუნდს ერთი მაღალი კლასის ფრენბურთელი, სლოვენიაში მოთამაშე მაშა ცარენკო შეემატა. ცარენკომ ბოლომდე ვერ გაამართლა გულშემატკივართა იმედი, თუმცა, ეს უფრო შეუთამაშებლობის ბრალია. თავდასხმაში ჩვენი გუნდი სუსტად გამოიყურებოდა. მატჩის შემდეგ ჩვენი გუნდის მწვრთნელმა აღნიშნა კიდეც, გამთამაშებელმა და თავდამსხმელმა ერთმანეთს ვერ გაუგესო.




*ჩვენმა გოგონებმა ბევრი იბრძოლეს, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო.*

მომავლისთვის, ალბათ, ამ საქმესაც ეშველება. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც საქართველოს ნაკრებს აწუხებს, სიმაღლის პრობლემაა. ეს შვედებთან მატჩშიც გამოჩნდა და გუშინდელშიც. ამას დაუმატეთ რამდენიმე ელემენტარული შეცდომა - მეტოქის მოწოდებაზე გუნდი არასწორად დაეწყო, რის გამოც სლოვენიელებმა უბრძოლველად მოიგეს ქულები – და მივიღებთ იმ შედეგს, რომელიც მატჩის ბოლოს ტაბლოზე დაფიქსირდა.

მომავალ მატჩს საქართველოს ნაკრები ხვალ გამართავს ხორვატიის ეროვნულ გუნდთან. წარმატების დიდი შანსი არც ამ დაპირისპირებაში გვაქვს, თუმცა, ჩვენები ნამდვილად გუშინდელზე უკეთ ითამაშებენ. დიდ როლს შეასრულებს გულშემატკივარიც – მატჩზე დასწრება უფასოა. ასე რომ, ქომაგობას ნუ მოვაკლებთ ჩვენს გუნდს, რომელიც ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს.

ჩოგბურთი

# მესამე "დიდი სლემი"

ორშაბათს სტარტს აიღებს "დიდი სლემის" მესამე ტურნირი წლევანდელ სეზონში - უიმბლდონი. წელს ეს ტურნირი იმით არის განსხვავებული, რომ მასში მონაწილეობას არ იღებენ ქალთა ჩოგბურთის პირველი ნომრები, ბელგიელები - ჟიუსტინ ენინ-არდენი და კიმ კლიისტერსი. ორივე ავადმყოფობამ დატანჯა. სამაგიეროდ მწყობრშია მსოფლიოს პირველი ნომერი ვაჟთა შორის როჟე ფედერერი, რომელმაც შარშანდელი ტურნირი მოიგო და წელსაც არ იტყვის უარს გამარჯვებაზე.

როჟე ფედერერი უიმბლდონზე მეხუთედ თამაშობს. 2000 წელს მსოფლიოს პირველმა ნომერმა წყვილთა თანრიგი მოიგო, ხოლო შარშან ერთეულთა თანრიგშიც მიაღწია წარმატებას. ფედერერი უკვე 52 კვირაა ლიდერობს პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგს და, ალბათ, უიმბლდონის დამთავრების შემდეგაც პირველი იქნება.

რაც შეეხება ქართველ ირაკლი ლაბაძეს, ჩვენი თანამემამულე უიმბლდონის ტურნირზე მესამედ გამოდის. ყველაზე დიდი მიღწევა კი მეორე წრეში გასვლა. იყო. ირაკლი წელს კარგ ფორმაშია და შეეცდება გააუმჯობესოს შედეგი. 1999 წელს კი ლაბაძე უიმბლდონის ახალგაზრდული ტურნირის ფინალშიც კი გავიდა და სწორედ როჟე ფედერერს დაუთმო გამარჯვებულის ტიტული. პირველ წრეში ქართველი ჩოგბურთელი ბელგიელ ვლიეგენს გაეჯიბრება. საინტერესოა, რომ არც ბელგიელი დაიკვეხნის დიდი შედეგებითა და გამოცდილებით. ასე რომ, ირაკლის შანსი აქვს დაამარცხოს მეტოქე.

ქალთა თანრიგს რაც შეეხება, აქ განთესილთა ნუსხას სათავეში ამერიკელი სერენა უილიამსი უდგას. სერენამ უიმბლდონის ტურნირი ზედიზედ ორჯერ - 2002 და 2003 წლებში მოიგო. იმავე წლებში თავის დასთან, ვინუსთან ერთად წყვილთა თანრიგში გაიმარჯვა. ერთ დროს პირველი ჩოგანი ამტკიცებს, რომ აპირებს ჩოგბურთის მწვერვალზე დაბრუნდეს და დაბრუნება სწორედ უიმბლდონიდან უნდა დაიწყოს. საინტერესოა, რომ ბელგიელების ერა საჩოგბურთო სამყაროში მაშინ დაიწყო, როცა დები უილიამსები ტრავმის გამო დიდი ხნით ჩამოშორდნენ აქტიურ ჩოგბურთს. ახლა კი ტრავმა ბელგიელებს - ჟიუსტინ ენინ-არდენსა და კიმ კლიისტერსს აწუხებთ. სერენას კი სჯერა, რომ ეს მისი შანსია.

"დროა, პირველობაზე ვიფიქრო. ამისთვის მე დიდი ხნის განმავლობაში ვემზადებოდი. სიურპრიზი შეიძლება რამდენიმე ჩოგბურთელმა შემომთავაზოს, მაგრამ მე ნებისმიერი სიურპრიზისთვის მზად ვარ. ჩემს სამომავლო გეგმებზე კი იმას ვიტყვი, რომ თუ უიმბლდონის ტურნირი წარმატებული გამოვიდა, შევეცდები "დიდი სლემის" ბოლო ტურნირი - ამერიკის ღია ჩემპიონატიც მოვიგო, რაც ერთი სეზონისთვის ცუდი შედეგი ნამდვილად არ იქნება" - ამბობს სერენა უილიამსი.

რაც შეეხება მის დას, ვინუს უილიამსი ცოტა მორიდებით საუბრობს მორიგ ოჯახურ ფინალზე, მაგრამ ოპტიმიზმს არ ფარავს და სჯერა, რომ ფინალში სწორედ ის ითამაშებს.

## განთესილთა ნუსხა

| | ვაჟები | ქალები |
|---|---|---|
| 1 | რ. ფედერერი | ს. უილიამსი |
| 2 | ე. როდიკი | ა. მისკინა |
| 3 | გ. კორია | ვ. უილიამსი |
| 4 | დ. ნალბანდიანი | ა. მორესმო |
| 5 | ტ. ჰენმანი | ლ. დევენპორტი |
| 6 | ხ.კ. ფერერო | ე. დემენტიევა |
| 7 | ლ. ჰიუიტი | ჯ. კაპრიატი |
| 8 | რ. შუტლერი | ს. კუზნეცოვა |
| 9 | კ. მოია | პ. სუარესი |
| 10 | ს. გროსჟანი | ნ. პეტროვა |
| 11 | მ. ფილიპუსისი | ა. სუგიამა |
| 12 | ს. შალკენი | ვ. ზვონარევა |
| 13 | პ. შრიჩაპხანი | მ. მარაპოვა |
| 14 | მ. ფიში | ს. ფარინა ელია |
| 15 | ნ. მასუ | პ. შნაიდერი |
| 16 | ი. ნოვაკი | ა. ს-პისტოლეზი |
| 17 | ი. ბიორკმანი | ჩ. რუბინი |
| 18 | ფ. ლოპესი | ფ. სკიავონე |
| 19 | მ. საფინი | ფ. სულეიმა |
| 20 | ტ. რობრედო | ე. ბოვინა |
| 21 | ხ. ი. ჩელა | მ. მალეევა |
| 22 | ა. მაურელი | კ. მარტინესი |
| 23 | მ. მირნი | ჯ. დოკიჩი |
| 24 | ფ. გონსალესი | მ. პიერსი |
| 25 | დ. ჰრბატი | ნ. დეში |
| 26 | ტ. დენტი | ლ. რეიმონდი |
| 27 | რ. ჯინეპრი | ა. მოლიკი |
| 28 | ი. ლიუბიჩიჩი | ე. ლიხოვცევა |
| 29 | ნ. კიფერი | დ. საფინა |
| 30 | ვ. სპადეა | ე. დანილიდუ |
| 31 | მ. იუჟნი | ა. ფრეიზერი |
| 32 | ჰ. არაზი | მ. შონესი |

Source: AELTC © GRAPHIC NEWS

## ვაჟები




## ქალები




## კონკურსი ევრო 2004

ლიდერთა მდგომარეობა 7 მატჩის შემდეგ და მათი პროგნოზები

| ადგ | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქულა | პროგნოზი 08 | 09 | 10 |
|---|---|---|---|---|---|
| 1-2. | გიორგობიანი მერაბ რევაზის ძე | 60 | 1:1 | 1:1 | 1:3 |
| 1-2. | ჯიბლაძე ნიკოლოზ ლერის ძე | 60 | 2:1 | 1:1 | 1:2 |
| 3-4. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 55 | 1:2 | 0:1 | 0:3 |
| 3-4. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 55 | 1:2 | 1:1 | 0:3 |
| 5-9. | დიდიძე გიორგი ზურაბის ძე | 54 | 1:2 | 1:1 | 1:3 |
| 5-9. | დოლიძე დავით პაატა | 54 | 1:3 | 1:2 | 0:2 |
| 5-9. | თავბერიძე ზურა კახის ძე | 54 | 1:0 | 1:1 | 1:1 |
| 5-9. | ნიქაბაძე ალექსანდრე თამაზის ძე | 54 | 2:1 | 2:1 | 0:4 |
| 5-9. | ჯინჭარაძე ნიკა გიორგის ძე | 54 | 2:1 | 0:0 | 0:2 |
| 10-22. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 49 | 2:1 | 0:1 | 0:3 |
| 10-22. | ახვლედიანი ვასილ ვასილის ძე | 49 | 1:2 | 1:1 | 1:2 |
| 10-22. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 49 | 2:1 | 1:1 | 0:3 |
| 10-22. | გეთიაშვილი გიორგი გოჩას ძე | 49 | 3:2 | 2:1 | 0:2 |
| 10-22. | დარბინიანი ვოსკან ძე | 49 | 2:0 | 0:1 | 1:2 |
| 10-22. | ზაზაშვილი ზურაბ ბეჟანის ძე | 49 | 2:1 | 1:1 | 0:4 |
| 10-22. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 49 | 0:1 | 1:1 | 0:2 |
| 10-22. | კახელიშვილი მამუკა ნოდარის ძე | 49 | 2:1 | 2:2 | 1:2 |
| 10-22. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 49 | 2:1 | 0:1 | 0:2 |
| 10-22. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | 49 | 2:1 | 2:1 | 0:2 |
| 10-22. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | 49 | 2:1 | 0:1 | 0:2 |
| 10-22. | ჩინჩალაძე ლევან ალექსანდრეს ძე | 49 | 2:2 | 1:2 | 0:2 |
| 10-22. | წიკლაური თამაზ ალექსანდრეს ძე | 49 | 1:1 | 0:0 | 0:3 |
| 23-32. | გელაძე გელა ტარიელის ძე | 48 | 2:2 | 1:1 | 1:3 |
| 23-32. | დავითულიანი გიორგი როლანდის ძე | 48 | 1:1 | 2:2 | 0:2 |
| 23-32. | იმნაიშვილი არჩილ ვაჟას ძე | 48 | 2:1 | 1:1 | 0:2 |
| 23-32. | მუმლაძე მარეხ შოთა | 48 | 1:2 | 0:1 | 0:1 |
| 23-32. | ნაცვლიშვილი შოთა ოთარის ძე | 48 | 2:1 | 0:0 | 1:3 |
| 23-32. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | 48 | 2:0 | 1:2 | 0:2 |
| 23-32. | ყირიმლიშვილი ჯაბა ელგუჯას ძე | 48 | 1:1 | 1:2 | 0:2 |
| 23-32. | შავაძე ალექსანდრე გიგოს ძე | 48 | 1:1 | 1:1 | 0:3 |
| 23-32. | ჩარგაზია კახა გიორგის ძე | 48 | 1:1 | 1:1 | 0:2 |
| 23-32. | ჩაჩანიძე არჩილ ტიტეს ძე | 48 | 2:2 | 1:1 | 0:3 |
| 33-40. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 44 | 1:2 | 1:1 | 0:3 |
| 33-40. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 44 | 1:2 | 1:1 | 0:3 |
| 33-40. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 44 | 2:1 | 1:0 | 1:3 |
| 33-40. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 44 | 2:1 | 0:0 | 0:3 |
| 33-40. | მამაცაშვილი თეო გურამის ას | 44 | 2:2 | 1:1 | 0:2 |
| 33-40. | მაწარაშვილი ელგუჯა ზაალის ძე | 44 | 3:0 | 1:2 | 0:2 |
| 33-40. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 44 | 1:2 | 1:1 | 0:3 |
| 33-40. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 44 | 2:2 | 1:2 | 1:3 |
| 41-82. | ადიკაშვილი დანიელ დავითის ძე | 43 | 3:2 | 2:1 | 1:3 |
| 41-82. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 43 | 1:1 | 1:2 | 1:3 |
| 41-82. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 43 | 2:1 | 2:1 | 0:2 |
| 41-82. | ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე | 43 | 2:1 | 2:1 | 0:2 |
| 41-82. | ბეჟუაშვილი ზურაბ ალექსანდრეს ძე | 43 | 3:1 | 1:1 | 1:5 |
| 41-82. | ბეჟუაშვილი ზურაბ ალექსანდრეს ძე | 43 | 3:1 | 1:1 | 1:5 |
| 41-82. | ბიგვავა მიხეილ გურამის ძე | 43 | 2:1 | 0:1 | 0:3 |
| 41-82. | გეთიაშვილი რობი გოჩას ძე | 43 | 2:1 | 1:1 | 0:4 |
| 41-82. | გელაშვილი ზურა ვაჟას ძე | 43 | 3:2 | 1:3 | 1:3 |
| 41-82. | გოგიბერიძე თენგიზ ალექსანდრეს ძე | 43 | 2:2 | 1:1 | 0:2 |
| 41-82. | გოდერძიშვილი ლაშა ძე | 43 | 1:1 | 2:2 | 0:2 |
| 41-82. | გრიშაშვილი მამუკა იურის ძე | 43 | 2:2 | 0:0 | 1:3 |
| 41-82. | გულისაშვილი ლევან სოლომონის ძე | 43 | 1:0 | 1:1 | 0:1 |
| 41-82. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | 43 | 0:0 | 0:0 | 0:1 |
| 41-82. | თავართქილაძე მირიან იოსების ძე | 43 | 2:1 | 1:2 | 0:2 |
| 41-82. | კალანდარიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე | 43 | 2:1 | 1:1 | 0:2 |
| 41-82. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | 43 | 1:1 | 1:1 | 0:2 |
| 41-82. | კობერიძე ბესარიონ ამბროსის ძე | 43 | 1:1 | 0:0 | 0:2 |
| 41-82. | კუბლაშვილი თენგო მიხეილის ძე | 43 | 1:1 | 1:1 | 1:2 |
| 41-82. | ლაგვილავა ედემ ტერენტის ძე | 43 | 2:1 | 2:1 | 0:2 |
| 41-82. | მატარაძე ლევან მამუკას ძე | 43 | 2:1 | 1:0 | 0:3 |
| 41-82. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 43 | 1:2 | 0:1 | 0:3 |
| 41-82. | მელაშვილი დავით დიმიტრის ძე | 43 | 2:2 | 1:2 | 1:3 |
| 41-82. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | 43 | 0:1 | 2:2 | 0:3 |
| 41-82. | ნამჩევაძე ბადრი გურამის ძე | 43 | 0:0 | 1:1 | 0:2 |
| 41-82. | ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე | 43 | 2:1 | 1:1 | 0:3 |
| 41-82. | პავლიაშვილი გიორგი ავთანდილის ძე | 43 | 2:1 | 0:0 | 1:4 |
| 41-82. | ქაჯაია ლევან კარლოს ძე | 43 | 0:1 | 0:0 | 0:2 |
| 41-82. | ქებულაძე თამაზ ვარლამის ძე | 43 | 2:1 | 2:2 | 1:2 |
| 41-82. | ჩუბინიძე მერაბ ვლადიმერის ძე | 43 | 2:1 | 2:2 | 0:2 |
| 41-82. | ცინცაძე დავით გიორგის ძე | 43 | 1:2 | 0:0 | 0:3 |
| 41-82. | ხახუტაიშვილი თენგო შუქრის ძე | 43 | 1:1 | 1:1 | 0:3 |
| 41-82. | ხვედელიანი ირაკლი მიხეილის ძე | 43 | 2:2 | 1:0 | 1:3 |
| 41-82. | ჯაბაური დავით ლევანის ძე | 43 | 0:0 | 2:2 | 0:3 |
| 41-82. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 43 | 1:1 | 1:1 | 0:2 |
| 41-82. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 43 | 1:1 | 1:1 | 1:1 |
| 41-82. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 43 | 1:1 | 0:0 | 0:2 |
| 41-82. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | 43 | 1:2 | 2:1 | 0:2 |
| 41-82. | ჯამბურია ლევან გივის ძე | 43 | 2:1 | 2:1 | 0:2 |
| 41-82. | ჯაყელი ანრი გიორგის ძე | 43 | 3:1 | 1:2 | 0:2 |
| 41-82. | ჯიქია ლაშა ვლადიმერის ძე | 43 | 1:1 | 1:1 | 1:1 |
| 41-82. | ჯიშკარიანი გუჯა ნუგზარის ძე | 43 | 1:0 | 2:2 | 0:2 |
| 83-94. | გაბედავა დავით მიხეილის ძე | 42 | 2:1 | 1:1 | 0:2 |
| 83-94. | გელაშვილი გიორგი ჯემალის ძე | 42 | 2:1 | 1:1 | 0:3 |
| 83-94. | გუსეინოვი თემურ ჰამლეტის ძე | 42 | 0:1 | 2:2 | 0:3 |
| 83-94. | დანელია არველოდ ილიას ძე | 42 | 2:1 | 1:2 | 1:2 |
| 83-94. | ნოზაძე გრიგოლ თამაზის ძე | 42 | 1:2 | 3:2 | 0:4 |
| 83-94. | ტარიელაშვილი თემურ სერგოს ძე | 42 | 1:0 | 1:2 | 0:2 |
| 83-94. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 42 | 1:2 | 1:1 | 0:2 |
| 83-94. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | 42 | 1:1 | 1:1 | 0:2 |
| 83-94. | ღაღანიძე სერგო ივანეს ძე | 42 | 2:0 | 2:2 | 1:3 |
| 83-94. | ჩიტაიშვილი გიორგი თომას ძე | 42 | 3:2 | 2:2 | 0:2 |
| 83-94. | ძურძუკი ვოვა სერგოს ძე | 42 | 2:2 | 0:0 | 0:2 |
| 83-94. | ხუროშვილი გიორგი გელას ძე | 42 | 1:1 | 0:0 | 0:2 |
| 95-135. | ასლამაზიშვილი შალვა თამაზის ძე | 38 | 2:1 | 0:0 | 0:4 |
| 95-135. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 38 | 1:2 | 0:1 | 0:3 |
| 95-135. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 38 | 1:1 | 1:1 | 0:3 |
| 95-135. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 38 | 2:1 | 0:1 | 0:3 |
| 95-135. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 38 | 1:1 | 1:1 | 0:3 |
| 95-135. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 38 | 1:2 | 1:0 | 0:3 |
| 95-135. | ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე | 38 | 2:2 | 0:0 | 1:2 |
| 95-135. | ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე | 38 | 1:2 | 1:1 | 1:2 |
| 95-135. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | 38 | 1:1 | 1:1 | 0:3 |
| 95-135. | გარაყანიძე გოდერძი უშანგის ძე | 38 | 0:1 | 1:1 | 0:2 |
| 95-135. | გელენავა გიორგი ზაურის ძე | 38 | 1:0 | 0:1 | 0:0 |
| 95-135. | გრიშაშვილი მამუკა იურის ძე | 38 | 1:2 | 1:2 | 1:3 |
| 95-135. | დარჯანია გიორგი რევაზის ძე | 38 | 1:2 | 2:2 | 0:3 |
| 95-135. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | 38 | 2:1 | 1:1 | 1:4 |
| 95-135. | კაკუბავა გიორგი კარლოს ძე | 38 | 1:0 | 2:1 | 2:3 |
| 95-135. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 38 | 2:1 | 1:1 | 1:3 |
| 95-135. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 38 | 1:1 | 1:0 | 1:3 |
| 95-135. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 38 | 1:2 | 1:1 | 0:3 |
| 95-135. | კალანდარიშვილი დავით გიორგი | 38 | 1:2 | 1:1 | 1:3 |
| 95-135. | კალანდაძე ბადრი გივის ძე | 38 | 2:1 | 0:1 | 0:1 |
| 95-135. | კაპანაძე იოსებ აბელი | 38 | 1:1 | 0:0 | 0:3 |
| 95-135. | კაპანაძე იოსებ აბელი | 38 | 2:1 | 0:0 | 0:3 |
| 95-135. | ლაგვილავა ედემ ტერენტის ძე | 38 | 1:2 | 1:1 | 1:2 |
| 95-135. | ლომსაძე ლევან დავითის ძე | 38 | 2:1 | 2:1 | 1:3 |
| 95-135. | მატარაძე ოთარ მამუკას ძე | 38 | 2:1 | 0:1 | 0:2 |
| 95-135. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 38 | 1:1 | 0:1 | 0:3 |
| 95-135. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | 38 | 1:1 | 0:1 | 0:2 |
| 95-135. | მახვილაძე რევაზ ომარის ძე | 38 | 1:1 | 1:1 | 0:3 |
| 95-135. | მეცხოვრიშვილი დავით ჯემალის ძე | 38 | 2:1 | 1:1 | 0:2 |
| 95-135. | ონიანი დავით როლანდის ძე | 38 | 1:2 | 0:1 | 0:2 |
| 95-135. | ჟღენტი მურთაზ ნოდარის ძე | 38 | 2:1 | 2:2 | 0:1 |
| 95-135. | რობაქიძე ოთარ მურმანის ძე | 38 | 0:2 | 0:3 | 1:3 |
| 95-135. | სუთიაშვილი არჩილ ზურაბის ძე | 38 | 2:0 | 1:1 | 0:0 |
| 95-135. | ფაცია გიორგი მურმანის ძე | 38 | 0:0 | 2:4 | 0:3 |
| 95-135. | ქავთარაძე გივი ილია | 38 | 0:0 | 0:1 | 0:3 |
| 95-135. | ქებულაძე თამაზ ვარლამის ძე | 38 | 1:1 | 1:1 | 0:2 |
| 95-135. | ღალანიძე ზვიად სერგოს ძე | 38 | 1:0 | 1:2 | 0:2 |
| 95-135. | ყურაშიძე ვახტანგ მიხეილის ძე | 38 | 1:0 | 1:1 | 0:1 |
| 95-135. | ჯამბურია ლევან გივის ძე | 38 | 1:2 | 1:1 | 1:2 |
| 95-135. | ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე | 38 | 2:1 | 1:2 | 1:2 |

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

განახლებული გადაცემა "ხალხის პირისპირ" სექტემბრიდან კვლავ გავა რუსთავი 2-ის ეთერში. [illegible]

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელეპროექტი "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: [illegible]

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია: [illegible]

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? [illegible]

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? [illegible]

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადამხდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? [illegible]

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

ხალხის პირისპირ

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მხოლოდ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

„ხალხის პირისპირ“ - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი
ბინის მისამართი
სამსახურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

წესები კითხვის შედგენისთვის:

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# ჩერჩილის თუთიყუში... არსებობდა კია?

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

თავისთავად, თუთიყუში არსებობდა და არსებობს. საკითხავი ისაა, ეკუთვნოდა თუ არა ის დიდ ინგლისელ სახელმწიფო მოღვაწეს, ვინსტონ ჩერჩილს, და ფლობდა თუ არა იმ თვისებებს, რომლებსაც მიაწერენ ხოლმე?

ყველაფერი დაიწყო სტატიით, რომელიც ჯერ კიდევ იანვარში ლონდონურ "დეილი მირორში" გამოქვეყნდა. სტატიის ავტორი, ბილ ბოროუზი, ჟურნალ "მაქსიმის" ინგლისური გამოცემის რედაქტორი, წერდა, რომ მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ბრიტანელ პრემიერს ჰყავდა თუთიყუში სახელად ჩარლი, რომელსაც მან ნაცისტებისა და მათი ფიურერის, ადლოფ ჰიტლერის დედის გინება ასწავლა. "დეილი მირორში" გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ჰყვებოდა, რომ უზნეო ჩარლი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების შესახებ გეგმების შესამუშავებლად ჩერჩილის კაბინეტში შეკრებილ მინისტრებს, გენერალებს და ადმირალებს ამხიარულებდა და თან აკრთობდა, როცა მოკამათეებს დაჰყვირებდა ხოლმე: Fuck the Nazis! და Fuck Hitler! თან გინების დროს ჩარლი თავისი სახელგანთქმული პატრონის აქცენტს ბაძავდა.

ამჟამად ჩარლი 104 წლისაა. ეს თუთიყუში (სხვათაშორის, მდედრობითი სქესისა) ინგლისში ყველაზე ხანდაზმულ ფრინველად ითვლება. მისი ახლანდელი მფლობელის, პიტერ ორამის თქმით, ლურჯად და ოქროსფრად შეფერილი ჩარლი ჩერჩილს მისმა ცხონებულმა სიმამრმა მიჰყიდა, რომელიც კროიდონში ცხოველების პოპულარული მაღაზიის მფლობელი იყო. ჩერჩილის გარდაცვალების შემდეგ, 1965 წელს, ორამი და მისი სიმამრი საგრაფო კენტში, ჩერჩილის მამულში, ჩარტველში მიიწვიეს, და რაღაც ცხოველების უკან წაყვანა სთხოვეს, მათ შორის თუთიყუში ჩარლისაც. ამგვარად, ჩარლი კვლავ ორამის მაღაზიაში აღმოჩნდა. მაგრამ ყაზარმულ არასაწესდებო ლექსიკას მიჩვეული გენერლებისა და ადმირალების თანდასწრებით გინება სხვაა, ამ ლექსიკის პროვინციელი ქალბატონებისა და, განსაკუთრებით, მათი მცირეწლოვანი ჩამომავლების თანდასწრებით დემონსტრირება კი – სულ სხვა. ამიტომ ორამი იძულებული გახდა, გინების მოყვარული ჩარლი თავისთან, სახლში გადაეყვანა.

უკანასკნელი თორმეტი წელია, ჩარლი ორამის სახლის ეზოში განლაგებულ ყვავილების მაღაზიაში ცხოვრობს. ის იქაური ღირსშესანიშნაობაა. და არა მარტო ადგილობრივი მაშტაბისა. მის სანახავად უცხოელი სტუმრებიც დადიან, განსაკუთრებით, შეერთებული შტატებიდან და გერმანიიდან. უკანასკნელთა ინტერესი თავისთავად გასაგებია. თუმცა, მსოფლიო დიდება ჩარლის "დეილი მირორში" გამოქვეყნებულმა ზემოთაღნიშნულმა სტატიამ მოუტანა. დიდი ამბავი ატყდა. ტურისტებმა დედამიწის ყოველი კუთხიდან იხუვლეს. ინდოეთიდან და ავსტრალიიდანაც კი. საბრალო ორამი უწყვეტმა სატელეფონო ზარებმა და ჟურნალისტთა ურდოებმა ცუდ დღეში ჩააგდეს. "დეილი მირორში" გამოქვეყნებული სტატია მსოფლიოს მრავალ გაზეთში იყო გამოქვეყნებული.

დრო არავის ინდობს. ჩარლისაც კი. წლებმა თავისი ჰქნა, მით უმეტეს, რომ ის უკვე ასზე მეტი წლისაა. ჩარლი, უკვე რა ხანია, აღარაა ის ლურჯ-ოქროსფერი მზეთუნახავი – როგორც მოგახსენეთ, გოგოა. იმ დროის შემდეგ, რაც ჩერჩილთან ერთად ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდა, მას ბუმბული დაუხუნდა და გაუმეჩხერდა. გულდასაწყვეტია, მაგრამ დღეს ის ძალიან ჰგავს ნახევრადგაპუტულ ქათამს. "ბიტერ ბიკის" სპრეის მეშვეობით მისი წარსული მშვენების აღდგენის მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. ოდესღაც ცოცხალი და მუსვენარი ჩარლი დღეს გაუნძრეველ ცხოვრების წესს ამჯობინებს. ის ხშირად ცალ ფეხზე მდგომი შემდება და იშვიათად თუ ისკუპებს სადმე. ფრენა დაავიწყდა.

არასახარბიელო გარეგნობა, სიბერე და გაუნძრევლობა ამაყ ჩარლის თავსთავად თრგუნავს. მაგრამ ეს ყველაზე საშინელი ამბავი როდია. ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ მან მეტყველების უნარი დაკარგა! მხოლოდ ხანდახან თუ ამოხდება ხოლმე გაუგებარი ხმები, ესა და ეს. არც იგინება, არც ნაცისტებს აგინებს და, მით უმეტეს, არც ადოლფ ჰიტლერს. წარმოიდგინეთ ომის ვეტერანი, რომელმაც არამარტო ფეხი, ხელი ან თვალი დაკარგა, თან ისიც აღარ შეუძლია, რომ ერთი გემრიელად აგინოს თავის მტერს – და ჩარლის სულიერ მდგომარეობასაც მიხვდებით.

აი, აქ იბადება საკრამენტული კითხვა, რომელზეც თავად ჩარლიც ვეღარ იძლევა პასუხს: იგინებოდა კია, თუ ეს მხოლოდ ლეგენდა იყო, რომელიც ჰიტლერიზმთან ბრძოლის წლებში ბრიტანელების საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად იყო მოწოდებული? ბატონი ორამი ამასთან დაკავშირებით ამბობს, რომ ჩარლი 1899 წელს დაიბადა. მისმა ბოსმა და ამავე დროს სიმამრმა, რომელიც ფრინველების ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული, ჩერჩილს რამდენიმე ჩიტი, მათ შორის ჩარლიც მიჰყიდა, რომელიც პოლიტიკოსის გარდაცვალებამდე მასთან ცხოვრობდა, შემდეგ კი, გარდაცვლილის ნათესავების თხოვნით, მშობლიურ სანახებს – ჰიმფილდის ორანჟერეას დაუბრუნდა.



ჩერჩილს, როგორც მის თუთიყუშს ჩარლის, სძულდა ნაცისტები.



ჩარლი, როგორც ამბობენ, ყველაზე ასაკოვანი ფრინველია. ის 104 წლისაა.

იგინებოდა თუ არა ჩარლი? დიახ, იგინებოდა. ქალბატონი სილვია მარტინი, ორანჟერეის დიასახლისი ამბობს, რომ ჩარლის მის სანახავად მოსული უმსგავსო ხალხი ასწავლიდა გინებას. მაგრამ, ნაცისტების და ჰიტლერის გინება ქალბატონ მარტინს ჩარლისგან არ გაუგონია. თავად მისტერ ორამი რადიო ბიბისიზე გამოსვლისას ამტკიცებდა, რომ ჩარლი იგინებოდა, მაგრამ "არა ჩერჩილისებრი, არამედ ნამდვილი თუთიყუშის აქცენტით". "დეილი მირორში" გამოქვეყნებული სტატიის ავტორი, ბოროუზი, ახლა აღიარებს, რომ ზუსტად არ ახსოვს, საიდან მოიტანა მასალა თუთიყუშის შესახებ, შესაძლოა, ინტერნეტიდან. "ჩარლის პირადად არ შევხვედრივარ და არც მისაუბრია," ამბობს ის, "თუთიყუშისგან ტელეფონით ინტერვიუს აღება კი ძნელი საქმე გამოდგა".

გაგრძელება: ქალბატონი ჯუდიტ სიუორდი, ჩერჩილის მამულის, ჩარტველის ტურიზმისა და მარკეტინგის მენეჯერი ამბობს, რომ არ არსებობს არავითარი მონაცემი, რომელიც მამულში ან ლონდონში, დაუნინგ სტრიტის 10-ში ჩარლის ყოფნის დამამტკიცებელი იქნებოდა. ჩერჩილის ქალიშვილი, ქალბატონი სომსი, სწორედ ის, რომელიც მამას მოსკოვსა და იალტაში ახლდა, ჩარტველის დიასახლისის ამ სიტყვებს ადასტურებს. ორივე ლედი ამბობს, რომ ჩერჩილს სინამდვილეში ორი ფრინველი ჰყავდა: ერთი ადგილობრივი, ჩერტვილის ჯიშისა – ბაჯრიჯერი, მეორე კი – თუთიყუში, მაგრამ ჩარლი სულ სხვა ჯიშისაა. ისინი არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ 1965 წელს ორამმა და მისმა სიმამრმა თუთიყუში ჩარლი ჩარტველიდან წაიყვანეს, მაგრამ ის, როგორც ჩანს, ჩერჩილის რომელიმე მსახურს ეკუთვნოდა.

ლედი სომსის სიტყვები მწარედ მოხვდა გულზე ქალბატონ მარტინს, რომელიც ახლა ღონემიხდილ ჩარლიზე ზრუნავს. "ლედი სომსის გამონათქვამმა გული დამწყვიტა. როგორც ჩანს, მას ფრინველები არ უყვარს," ამბობს ის.

ჩარლისა და ჩერჩილის ირგვლივ კამათი გრძელდება. მაგრამ სანამ ექსპერტები გულდასმით იკვლევენ ფაქტებს, დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ადამიანები ჰილფილდის ორანჟერეაში დადიან ამ ლეგენდარული თუთიყუშის მოსანახულებლად. მათ მდაბიური ფაქტები არ აინტერესებთ. მათ ამაღლებული ჭეშმარიტებისა სწამთ. როგორც ინგლისელი ისტორიკოსი, ჯეიმს ჰიუმი აღნიშნავს, "ჩერჩილი, უკვე რა ხანია, ჩვენთან აღარაა, მაგრამ მისი სული და მტკიცე, გამომწვევი სიტყვები, რომლებსაც ჩარლის ნისკარტი წარმოთქვამს, კვლავ ცოცხალია".

ასე იწერება ისტორია...

## სკანვორდი



## TV პროგრამა

19 ივნისი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "ჯადოქარი" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ოქროს ვარდის გამოქვაბული **12.20** "სიმფსონები" **12.45** მხ. ფილმი "გამოჩენილ ჯენტლმენთა ლიგა" (გ) **15.15** მხ. ფილმი "ჯონ კიუ" (გ) **17.05** "დისკავერი" **18.00, 04.00** კურიერი **18.20** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **21.00** კურიერი **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** სერიალი "საჰარის საიდუმლო" **23.45** ევროპის ჩემპიონატი. "ნიდერლანდები"-"ჩეხეთი" **02.00** "ფსიქო"- "სიყვარულის გაკვეთილები". რეჟ. ბუ ვიდერბერგი (18).

### TV5

**08.35** ღია ბარათი გურმანი. **09.25** 19 საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" 3-5 წლის ბავშვებისთვის. გადაცემის მეორე ნაწილი განკუთვნილია 6-10 წლის ბავშვებისთვის, ხოლო მესამე ნაწილი მოუხმობს მოზარდებს 10 წლის ზევით. 11.00(კანადა), **07.00, 13.00, 16.00, 21.00,** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00,**TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **20.05** დედოფალ ელიზაბეტის მუსიკალური კონკურსი 2004. დოკ.ფილმი. **22.25** საკმაოდ მახინჯი იმისთვის რომ იყოს ლამაზი. მხ.ფილმი. **24.05** ჩრდილის სტუმრები. პერ ლა შეზის სასაფლაო.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.20** მოამბე **08.15** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** საქართველო არის ესე-ლეხურას ხეობა **12.15** "გაზაფხულის ზარები" **14.05** სერიალი "ძვირფასი მარიანა" **15.20** სერიალი "რვაფეხა-4" **16.25** დოკ. სერიალი "ცხოველთა სტრატეგია" მე-2ს. **17.30** იმღერე რამე **18.00** "ვესტნიკი" **18.30** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **18.40** ცაიტნოტი **20.45** "ევრო-2004". (ლატვია-გერმანია). **22.55** ფორტუნა **23.30** "საღამოს საუბარი" **00.30** "მუსიკალური არჩევნები" **01.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **01.20** მხ. ფილმი "მამები" (12)

### JIST

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **03.00** "ბრავო"

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ჰამლეტი" (მ. გიბსონი) (გ) **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "პერლ ჰარბორი" (ბ. აფლეკი) (გ) **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "ნამცეც ნამცეც" (ვუდი ალენი) (18)

### მზე

**09.00** მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" **09.30** საბ. სერიალი "საოცარი მითები და ლეგენდები" **10.00** მულტფილმი "ალადინი" **11.00** საბ. სერიალი "დინოტოპია" **12.30** მხ. ფილმი "ტაქსი" (გ) (სემი ნასერი) **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.30** მხ. ფილმი "ადამიანი ბორტს მიღმა" (გ) (კურტ რასელი) **16.30** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **17.10** ვესტერნი მზეზე "ლარედოს ქუჩები" **18.05** სერიალი "წყალდიდობა" **19.00** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.30** მხ. ფილმი "პარიზელი ქალი" (12) (ბრიჯიტ ბარდო) **23.00** მხ. ფილმი "სიყვარულის ექო" (15) (ჯონათან კოი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** მუსიკალური ოქტაგონი **22.00** მხ. ფილმი "წითელი მზე" (12)

### კავკასია

**17.00** მუსიკა **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30** დილის ფოსტა **11.00** "იმედითა შენითა" **11.15, 16.50, 18.00, 02.40** იმედის მელოდიები **11.30, 01.50** ტვ-მარკეტი **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.35** არჩევანი თქვენ **15.15** მხ. ფილმი "პრაქტიკანტი ქალი" (გ) **17.05** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **20.00** სერიალი "მართლმსაჯულების 18 ბორბალი" **22.00, 02.20** ქრონიკა **22.30** კლიპ-ლოტო **23.30** მხ. ფილმი "დორზი" (18)

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "მშვენიერი ემილი" **19.35** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.20** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "ცისფერი ანგელოზი" (15)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 01.50** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** სათავგადასავლო ფილმი "ზვიგენები-2" **10.30** მუსიკა **11.00** კომედია "ოჯახური გეგმა" **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** თრილერი "სისხლიანი სპორტი" **14.15** მუსიკა **14.30** ისტორიული ფილმი "ელისაბედი" **16.45** მულტფილმი "ციური ჯარისკაცები" **18.05** მუსიკა **18.20** მელოდრამა "სიცოცხლე და მეტი არაფერი" **21.00** კომედია "აგენტი ჯონი ინგლიში" **22.25** მუსიკა **23.00** წინაარჩევნო პროექტი "არჩევნებამდე" **00.00** მხ. ფილმი "გუვერნანტი" **02.10, 05.25** მუსიკა **02.25** ისტორიული ფილმი "სპარტაკი"

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10 Сериал "Все путешествия команды Кусто" 07.50 Георгий Жженов в фильме "Третья ракета" 09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** "Смак" **11.30** "Возвращение домой. Владимир Спиваков. Санкт-Петербург" **12.10** Концерт с участием Ларисы Долиной, Филиппа Киркорова. **13.10** История с географией. "Братья по крови: Всеядные" **14.10** "Дог-шоу" **15.00** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" **15.40** Умницы и умники **16.20** "Пестрая лента". Юрий Визбор **17.10 Рутгер Хауэр в боевике "Слепая ярость" 18.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России **19.10** "Ералаш" **19.30** Песня года. Лето **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.20** "Розыгрыш" **23.35 Футбол. Чемпионат Европы. Сборная Голландии - сборная Чехии. 01.40** Гоша Куценко в боевике **"Антикиллер" 03.50** Джек Леммон в комедии **"Первая полоса" 05.50** Мистический триллер **"В плену у призраков".**

### НТВ

**06.50** Шон Коннери в фильме **"НИКОГДА НЕ ГОВОРИ "НИКОГДА" 09.00, 13.00, 17.00** Сегодня **09.20** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.00** Кулинарный поединок. **12.00** Квартирный вопрос. **13.20** "Дикий мир: живущие в сети". Экспедиция Тимофея Баженова. **13.55** Вкусные истории. **14.05** Клинт Иствуд в фильме **"ЗА ПРИГОРШНЮ ДОЛЛАРОВ" 16.00** Криминальная Россия: домодедовский упырь. **17.20** "Женский взгляд". Раиса Рязанова. **17.55 Сериал "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА: МАГНИТНАЯ ВОРОНКА". 19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00** Красная стрела. Спецвагон. **21.15** Александр Цекало в комедии **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ". 23.15** Джордж Клуни в боевике **"ТРИ КОРОЛЯ" 01.40** Дэрил Ханна в триллере **"БОДРОСТЬ ДУХОВ" 03.25** Двое в городе. **03.55** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

# სამხატვრო აკადემია ყოფილ სტუდენტებს მასპინძლობს

ნანა ბასილაშვილი

და-ძმა ანა-მთვარისა და დავით მარკოზიებმა საკუთარი გამოფენის მოწყობა, არა რომელიმე საგამოფენო დარბაზში, არამედ მშობლიურ სასწავლებელში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში გადაწყვიტეს. ეს, ალბათ, ძალზედ მარტივი საშუალებაა უმცროს კოლეგებთან გაცნობისა და ყოფილი პედაგოგების შეფასებისათვის.

"პროფესორ-მასწავლებლებისთვის ეს ერთგვარი შეხსენება იყო ჩვენი და ჩვენი შემოქმედების"; "აქ გავიზარდე როგორც მხატვარი, პედაგოგების შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია", - და-ძმამ ერთობლივ გამოფენაზე ჩანაფიქრი ზუსტად განახორციელეს. სტუდენტები წლების წინ კურსდამთავრებულთა ნამუშევრებს ეცნობოდნენ, აკადემიის ლექტორები კი ყოფილი სტუდენტებისთვის მილოცვებსა და საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ.

მარკოზიებმა აკადემიის ფოიეში გუაშით შესრულებული ფერწერული ტილოები, პეიზაჟები, ნატურმორტი, გობელენები და ხატები გამოფინეს. გამოფენა მცირე ზომისაა, თუმცა საკმაოდ შინაარსიანი, აქ მრავალი საინტერესო ნამუშევარია წარმოდგენილი.

"დავითს სტუდენტობიდან ვიცნობ, იგი ყოველთვის გამორჩეული იყო. ამ გამოფენამ კიდევ ერთი საინტერესო მხატვარი გამოავლინა. მადლობელი ვარ, რომ საკუთარი ნამუშევრები სწორედ ჩვენთან გამოფინა", - სახვითი ხელოვნებისა და დაზგური ფერწერის ფაკულტეტის ყოფილ სტუდენტს, დეკანი გივი მიზანდარი აფასებს.

ანა-მთვარისა მარკოზია მშობლიურ აკადემიაში გობელენების სპეციალობას დაეუფლა. შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრებასა და მოღვაწეობას იგი საბერძნეთში აგრძელებს, სადაც, მართლმადიდებლური ხატწერის ერთწლიან კურსებს ამთავრებს და პროფესიონალურად ეუფლება ხატწერას. საბერძნეთშივე იგი არაერთხელ გამოიფინა ხატწერის ჯგუფურ გამოცემებში.

"ყოველთვის გამორჩეული იყო თავისი მონაცემებით, ნიჭით, შრომისუნარიანობითა და პასუხისმგებლობით. ანა მუშაობდა მხატვრული ქსოვილის გაფორმებაში და ძალზედ კარგად იცნობს ამ სპეციალობას, არა მხოლოდ მხატვრულ მხარეს, არამედ ოსტატურად ფლობს მას. ყველა ტექნიკასა და ტექნოლოგიას დაუფლებულია და თავისუფლად შეუძლია ნებისმიერი ჩანაფიქრი გადმოსცეს. იგი ამავე დროს მისთვის სრულიად ახალ სახეობაში ხატწერითაც დაინტერესდა. ქსოვილის მოხატვა, მხატვრულად დამუშავება და ხატწერა, ეს შემოქმედების სრულიად სხვადასხვა მხარეა. ახალი სფერო მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. რაც შეეხება დავითს, მის მიერ შექმნილი ნატურმორტებში, თავისუფალ კომპოზიციებსა და პეიზაჟებში, საკმაოდ ღონიერი, თვითმყოფადი ხელი შეინიშნება, რაც თითოეულ მონახაზში იგრძნობა. კარგი ფერმწერია და ნამდვილად საინტერესო ხედვა აქვს", - ამბობს ხელოვნებათმცოდნე ნანა კიკნაძე.

აკადემიის რექტორი, მხატვარი გია ბუღაძე, რომელიც თბილისში გამართული ყველა გამოფენის დამთვალიერებელია, რასაკვირველია, აკადემიაში გამართულ გამოფენასც ეწვია. ჩემთან ერთად მის შეფასებას გამოფენის ავტორებიც დიდი ინტერესით უსმენდნენ. "მომწონს, როდესაც ადამაინს შეუძლია საკუთარი თავი კარგად წარმოაჩინოს. ამ შემთხვევაში გამოკვეთილად ფერმწერთან გვაქვს საქმე. იმის მიუხედავად, რომ გუაშია, თითქოს, ერთი შეხედვით არაფერმწერული მასალა, ძალიან ფერწერულად ფლობს მას. განსაკუთრებით მომწონს მისი ნატურმორტები და პეიზაჟები; აქვს ჟანრული ტილოებიც, მაგრამ ნატურმორტსა და პეიზაჟში აქ იგი განსაკუთრებულად თავისუფლად მოქმედებს და თხემით ტერფამდე ფერმწერია. ის რომ დღეს ჟანრული გამიჯვნა აღარ არსებობს ფერწერასა და გრაფიკულობას შორის, ამას დათოს მხატვრობაც ამტკიცებს. რეალურად ეს არის გრაფიკა, მაგრამ ამავე დროს არის ფერწერული გრაფიკა და პირიქით, მაგრამ შესანიშნავია. მომავალში დათო მარკოზიას განვითარების ჯანმრთელ პოტენციალს ვგრძნობ. რაც შეეხება ანას, მე მას მაძიებელ მხატვარს დავარქმევდი. შესანიშნავად მუშაობს თავისი, გობელენის სპეციალობით. ამ სფეროში მას ყოველთვის სიახლეები შეჰქონდა. ხატწერის სპეციალობასაც არაჩვეულებრივად ფლობს. თუმცა, მე მერჩია, რომ მას გობელენის მიმართულებით ემუშავა, რადგანაც იგი ძალიან კარგად ფლობს ურთულეს მასალას."
















## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.